CIAN MAGENTA YALLOW BLACK


# ალია

N184/3305/ 4-7 დეკემბერი 2015 წ

PRESS

ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE


## კარტელური შეთანხმების თანახმად, მოქმედებს ორი მსხვილი მონოპოლიზებული კომპანია — „პსპ“ და „ავერსი“, რომელთა საქმიანობასაც ხელს უწყობს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი გია თვალავაძე

7

## შს მინისტრი „ოცნებას“ უჩალიჩებს და ხალხს — მინიმუმ 300 ათას მძღოლს უმხედრებს „დედა პარტიას“?

3

## რას დაჰპირდება ივანიშვილი წინასაარჩევნოდ ხალხს, რომელიც თავს მისგან მოტყუებულად თვლის და აღარ ენდობა?

5

## მამა ელიზბარი:

„ჯინმეს სადმე გინახავთ, რომ ბიძინა ივანიშვილს იმ იმედგაცრუებისთვის, რაც ხალხს მოუტანა, ჯინმესთვის შენდობა ეთხოვოს და ეთქვას, შემეშალა, მაპატიეთ და კაცი არ ვიყო, თუ არ გამოვასწორო... პირიქითაცაა, იხტიბარს არ იტეხს და ხალხს თვალში ნაცარს აყრის, იმაზე მეტი გავაკეთე, რაც დაგპირდით, ის გაკეთეთ... “



9

## „არც ერთი მძღოლის ხმა ქართულ ოცნებას“!

12

## და ახლა რა ვქნათ, „ოცნება“, ზეთი, ყურძენი, წყალი და გაზი ჯანდაბას, ეს ყავა, ჩაი და კაკაო რომ გაგვიძვირდა, რა გვეშველება, მასოხზე გადავიდეთ? ეს რა გაგვიკეთე, რა დღეში ჩაგვაგდე შე შეუბრალებელო, შენა, პაააპ?!

2

## მურუსიძის ციხეში გაშვება ნებისმიერ წუთს შეიძლებაო, „ოცნება“ და აბა, მიდი, გაუშვი, თუ მაგარი ხარ? აააა, არ გაწყობს, გჭირდება მონა მოსამართლეები, არა?!

8

## ისე, დარწმუნებული ვარ, „შუსუსუ“ ფეხებს გაფშეკს და კატეგორიულად უარყოფს, რა ტოტალური კონტროლი, რის პოლიციური სახელმწიფო, მოქალაქეების უსაფრთხოებაზე ფიქრში ვათენ-ვაღამებთ

7

## ღადაობა არ იქნება, მარგველაშვილმა მიშასთვის მოქალაქეობის გაუქმების მოთხოვნასაც ვეტო დაადოს?

10

## „ყიწყებ აქციას! „მეარყარსაშიში“ — მარჯყენასაჭიანი აყტომობილების მძღოლების პროტესტი მთავრობის ინიციატივის წინააღმდეგ

10

## გირჩი, მირჩი ეძახეთ თქვენ და კი ამბობს კრისტალ სიმართლეს!



6

## მართლმადიდებელი ეკლესია დღეს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღეს აღნიშნავს



2

## უკრაინული მედიის მორიგი ფარული ჩანაწერი: „სააკაშვილი — უცხო თავისიანებში, უცხო უცხოებს შორის“





4

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რომ აჭიანურებთ, აჭრაჭუნებთ და „აჭრაკებთ“, მაგას ყჩიყით ჩვენც და თურმე, წულუკიანიც!

თბილისის მერი დავით ნარმანია გზის მშენებლობასთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრის პრეტენზიებს პასუხობს.

მისი თქმით, სამუშაოების გაჭიანურება კონტრაქტორი კომპანიის გამო მოხდა.

როგორც დედაქალაქის მერმა განაცხადა, ამის გამო გზის აღნიშნულ მონაკვეთზე მუშაობას სხვა კომპანია გააგრძელებს.

– სოფელ დიღომში მიმდინარე წლის სამუშაოები ჯერ არ დაგვისრულებია, საგზაო სამუშაოები ამ ეტაპზეც მიმდინარეობს, სამუშაოები გაგვიჭიანურდა. იყო კონტრაქტორ კომპანიასთან პრობლემები, რაც გადაწყდა, სხვა კომპანია ჩაენაცვლა, რომელიც სამუშაოებს აგრძელებს, – განაცხადა დავით ნარმანიამ. (ნიუპოსტი)

**და რატომ მიეცით არაკომპეტენტურ და უპასუხისმგებლო კომპანიას მუშაობის უფლება, არ შეისწავლეთ, რა პროექტები და როგორ ჰქონდა განხორციელებული?**

**უი, ჰო — ვარკეთილში, ჯავახეთის ქუჩაზე, „თათრების ბაზრობასთან“ ისეთი საშინელება ხდება ლამის ორი თვეა, მანქანით კი არა, ვერტმფრენით ვერ გასცდები ტერიტორიას, საცობში რომ არ გაიჭედო და იქაც შეცვალეთ მაშინ სამუშაოების შემსრულებელი, არაფრის აზრზე არ არიან არც ეგენი!!!**

## მართლმადიდებელი ეკლესია დღეს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღეს აღნიშნავს

მართლმადიდებელი ეკლესია დღეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღეს აღნიშნავს.

ამასთან დაკავშირებით ტაძრებში სადღესასწაულო საღმრთო ლიტურგია შესრულდება.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მშობლებს, წმინდა იოაკიმესა და წმინდა ანას შვილი ორმოცდაათი წლის განმავლობაში არ ჰყავდათ. წმინდა ანამ უფალს აღუთქვა, თუ წყალობას მოიღებდა, შვილს მასვე შესწირავდა. მას მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა, რომ ასული – მარიამი ეყოლებოდა, რომლის წიაღიდანაც ქვეყნიერებას მაცხოვარი მოევლინებოდა.

სამი წლის განმავლობაში მარიამი სახლში იზრდებოდა. შემდეგ კი მშობლებმა ის აღსაზრდელად იერუსალიმში ტაძარში მიიყვანეს. (ინტერპრესნიუსი)

## რატომ აიღო ნინო გვენეტაძემ 8 დღეში 1137 ლარის დანამატი – უზენაესი სასამართლოს განმარტება




უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ნინო გვენეტაძე თავისი უფლებამოსილების განხორციელებას 2015 წლის 20 მარტს შეუდგა.

უწყებიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ ნინო გვენეტაძეს მარტში აღებული აქვს თანამდებობრივი სარგო 2 666 ლარის ოდენობით. ასევე, დარიცხული აქვს დანამატი 1137 ლარი.

კითხვაზე, რის საფუძველზე აიღო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ 8 სამუშაო დღეში აღნიშნული ოდენობის დანამატი, შემდეგი პასუხი მივიღეთ:

– გაცნობებთ, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეებისთვის ყოველთვიური დანამატისა და შვებულებით სარგებლობის შემთხვევაში, ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით დანამატის გაცემის შესახებ დადგენილება მიღებულია უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ, ხოლო პლენუმის უფლებამოსილებას ადგენს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“.

აღნიშნული კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, პლენუმი უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მის სხდომას ესწრება პლენუმის წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა სხდომის მონაწილეთა არანაკლებ ორმა მესამედმა. იგივე რაოდენობაა საჭირო პლენუმის დადგენილების გასაუქმებლად.

პლენუმის აღნიშნული დადგენილებით საშვებულებო და ყოველთვიურ დანამატს იღებს უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლე.

რაც შეეხება, თქვენს შეკითხვას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისთვის მარტში გაცემულ დანამატთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ მარტში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დანამატი გახლდათ 2 985 ლარი (შემდეგი თვეებიდან დანამატს ერიცხება დაზღვევის თანხა). ვინაიდან, ქალბატონი ნინო გვენეტაძე თანამდებობაზე დაინიშნა 2015 წლის 20 მარტს, მისი დანამატი დაანგარიშდა შემდეგნაირად: 2985 ლარი: 21 (მარტი შედგებოდა 21 სამუშაო დღისგან) X 8 (მარტში თავმჯდომარის სამუშაო დღეების რიცხვი გახლდათ 8). ამ დაანგარიშების თანახმად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დანამატი მარტი იყო 1137,14 ლარი.

ამასთანავე, ვაზუსტებთ, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ქალბატონი ნინო გვენეტაძის აგვისტოს შრომის ანაზღაურება (ხელფასი) შეადგენს: თანამდებობრივი სარგო – 7000 ლარს; დანამატი – 10203.50 ლარს; სულ: 17203.50 ლარი. საშემოსავლო 20 პროცენტი – 3440.70 ლარი; ხელზე ასაღები თანხა – 13762.80 ლარი. (ipress.ge)

**ეუხ, რა ამომწურავი პასუხი გაუშალეს, ბატონებო! ეს ბატონი ალბათ ფიქრობს, ჩვენ ასეთ ამბებს ვერ ვიგებთ, ან ვერ ვიგებ, ან ეს ამბავი ჩვენ ასეთ ამბებს

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03

**ისეთი პირი უჩანს და ისეთი აქტიურობა დაიწყო „შუსუსუმ“, მარჯვენასაჭიან ავტომობილებს 2016 წლის მარტიდან, დიდი ალბათობით, მართლა დავემშვიდობებით — ვისაც გვყავს, საშვილიშვილოდ შეგვრჩება და ველარ გავყიდით, ხოლო ვისაც მანქანის იაფად შეძენა უნდოდა, სურვილი სურვილად დარჩება. გარდა ამისა, დაზარალდება ქვეყნის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც „ქართული ოცნებისგან“ დასაქმებას ელოდა, ელოდა, ელოდა და საშველი რომ აღარ დაადგა, ისესხა ნათესავებისგან, მეზობლებისგან, ბანკებისგან გარკვეული თანხა და იაპონური მარჯვენასაჭიანი ავტომობილი შეიძინა — ევროპულსა და ამერიკულზე იაფია და იმიტომ და იმედგაცრუებულმა ტაქსაობა დაიწყო.**

**ისე, ამ იდეის ავტორებსა და მხარდამჭერებს უნდა ვუთხრათ — დაგვასაქმეთ, ჩემო ბატონო, გადაგვიხადეთ მაღალი ხელფასები და ისეთ „ფირმა“ მანქანებს „მივცემთ“, თვალები ზედ დარჩება ყველას. ჰოდა, სანამ ამის ერთი ადგილი არ აქვს ხელისუფლებას, ელემენტარულ პირობებს თუ საკუთარი ძალებით ვიქმნით, ამას მაინც ნუღარ გვისპობთ!..**

**როგორც შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ამბობს, ვისაც ჰყავს მარჯვენასაჭიანი მანქანები, შეუძლია, მთელი ცხოვრება ჰყავდესო — ტყუილია!**

**აღდგება ისევ ტექდათვალიერება და ნლოვანებიდან გამომდინარე, არაერთი ავტომობილი ჩამოიწერება. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ „ტეხასმოტრს“ ნამდვილად ვემხრობით, უბრალოდ, მინისტრის ტყუილი გავშიფრეთ, ეს არის და ეს.**

მღებრიშვილი იმასაც ამბობს, რომ საქართველოში მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების იმპორტის სტატისტიკა საგანგაშოა და ის 50 პროცენტს გაუტოლდა, ასეთი სიტუაცია კი მხოლოდ ავღანეთსა და ბირმაში ფიქსირდება.

– ასეთი რამ მსოფლიოს 2 ქვეყანაშია, სადაც მარჯვენასაჭიანი მანქანებით არის ნებადართული გადაადგილება, ეს ქვეყნებია ავღანეთი და ბირმა. თუ ჩვენ გვინდა დავემსგავსოთ ავღანეთს და ბირმას, შეგვიძლია, დავრჩეთ იგივე რეჟიმში და გავაგრძელოთ ამ ავტომანქანების იმპორტი. მაგრამ მაქსიმალური პროცენტი ყველა ევროპულ ქვეყანაში არის 10 პროცენტი, – აცხადებს გიორგი მღებრიშვილი და ისევ იტყუება.

ჯერ ერთი, მარჯვენასაჭიანი მანქანებით გადაადგილება მხოლოდ ავღანეთსა და ბირმაში არ არის ნებადართული. ჰო, შესაძლოა, მინისტრს აქ უნებური შეცდომა ჰქონდეს დაშვებული ან სხვა რამეს გულისხმობდეს, მაგრამ ფაქტი მაინც ის არის, რომ არასწორ ინფორმაციას გვაწვდის, რასაც მარტიდავ დაგიმტკიცებთ!

სხვათა შორის, პატივცემულო მინისტრო, თავად იაპონიაც მარცხენა საჭიანი ავტომობილების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის და მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ „მერსედეს-ბენც გელენდვაგენს“ დაგისახელებთ, რომლითაც სავსეა იქაურობა. კარგით, „გელენდვაგენი“ იქით იყოს და რაღა ავღანეთი და ბირმა მოგყავთ მისაბაძ მაგალითად, იაპონიას შევედაროთ, კაცო, არ ჯობია?! აააა, ეს არ განწყობთ და არ ჯდება ინიციატივის „გაპრავების“ ლოგიკაში, არა? გასაგებია, გასაგებია!..

მოკლედ, რადგან შეგპირდით, რომ დავამტკიცებთ თქვენი სიტყვების მცდარობას, აგერ, ინებეთ არგუმენტები:

2014 წლის მონაცემებით, მეორადი იაპონური მარჯვენასაჭიანი ავტომობილების გაყიდვების მაჩვენებელი ასეთია:

1. მიანმა (ბირმა) — 132,210;
2. რუსეთი — 114,494;
3. **არაბეთის გაერთიანებული საამიროები — 92,094;**
4. ახალი ზელანდია — 62,467;
5. კენია — 54,601;
6. ყირგიზეთი — 44,621;
7. სამხრეთ აფრიკა — 43,398;
8. ტანზანია — 30,761;
9. საქართველო — 29,606;
10. მონღოლეთი — 29,325;
11. პაკისტანი — 28,989;
12. შრი-ლანკა — 25,289;
13. ფილიპინები — 23,109;
14. მალაიზია — 23,053;
15. უგანდა — 22,330;
16. მოზამბიკი — 18,557;
17. ზამბია — 17,616;
18. ბანგლადეში — 15,873;
19. ტრინიდადი და ტობაგო — 12,009;
20. სურინამი — 10,413.

**როგორც ხედავთ, კი, ბირმა ნამდვილად პირველ ადგილზეა, მაგრამ ოცეულში არც კი შედის ავღანეთი. ესეც რომ არ იყოს, საქართველო ამ რეიტინგში მე-9 ადგილზეა და არა მესამეზე, როგორც ამას „შუსუსუს“ მინისტრი გვიმტკიცებს.**

## ბევრისმთქმელი საკნატუნო სტატისტიკა

რადგან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების თემა ამ დღეებში ძალიან აქტუალური გახდა, ინტერნეტში რაღაცრუღაცები მოვჩხრიკეთ და საინტერესო დეტალებზე მოგიყვებით:

– სტატისტიკის თანახმად, დედამიწის მოსახლეობის 66 პროცენტი მარჯვენა მიმართულებით მოძრაობს, მათ შორის, ჩვენც, ქართველებიც, 34 პროცენტი კი მარცხენა მიმართულებით. გზების მხრივ კი 72 პროცენტი მარჯვენა მიმართულებას უკავია, ხოლო 28 პროცენტი – მარცხენას;

– მარცხენა მიმართულებით მოძრავ ქვეყანაში მარჯვენასაჭიანი ავტომობილით (და პირიქით) შესვლა უმეტეს შემთხვევაში, საგზაო მოძრაობის წესების შესახებ ვენის 1968 წლის კონვენციის თანახმად, აბსოლუტურად ლეგალურია. საკმარისია მხოლოდ ის, რომ ავტომობილი შეესაბამება იმ სახელმწიფოს წესებს, სადაც რეგისტრაცია აქვს გავლილი;

**— მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრირება არ ხდება სლოვაკეთსა და ლიტვაში, ევროპის სხვა ქვეყნებში კი ასეთი აკრძალვა არ არსებობს;**

– დასავლეთში პირველი კანონი, რომელიც მოძრაობის მიმართულების რეგლამენტირებას ახდენდა, ინგლისში ჯერ კიდევ 1756 წელს იქნა მიღებული. ამ კანონის თანახმად, ლონდონის ხიდზე მოძრაობა მხოლოდ მარცხენა მიმართულებით იყო დასაშვები. 20 წლის შემდეგ ინგლისში ისტორიული „საგზაო აქტი“ გამოიცა, რომელმაც მოძრაობა მარცხენა მიმართულებით სავალდებულო მთელ ქვეყანაში გახადა, მათ შორის, ცვლილება მოგვიანებით რკინიგზასაც შეეხო;

– საერთოდ, „მემარცხენეობის“ მთავად „დამნაშავედ“ სწორედ ნისლიან ალბიონს მიიჩნევენ, რომელმაც ნელ-ნელა დანარჩენ მსოფლიოზეც მოახდინა გავლენა;

– ბუნებრივია, პირველ რიგში, ბრიტანეთმა გავლენა იქონია საკუთარ კოლონიებზე, რის გამოც ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ინდოეთი, პაკისტანი, ავსტრალია, სატრანსპორტო საშუალებების მარცხენა მიმართულებით მოძრაობა იქნა შემოღებული. 1859 წელს დედოფალ ვიქტორიას ელჩმა სერ ალკოკმა დაარწმუნა ტოკიოს ხელისუფლება, რომ მათაც მარცხენა მიმართულებით მოძრაობა აერჩიათ;

– მოძრაობა მარჯვენა მიმართულებით ხშირად საფრანგეთს უკავშირდება. საფრანგეთის რევოლუციისას, 1789 წელს გამოცემულ დეკრეტში მითითებული იყო, რომ ყველას უნდა ემოძრავა „უბრალო ხალხის“, ანუ მარჯვენა მხარეს. ცოტათი მოგვიანებით ნაპოლეონ ბონაპარტემ სამხედროებს მარჯვენა მხრიდან მოძრაობა უბრძანა, რათა ნებისმიერი, ვინც ფრანგულ არმიას შეხვდებოდა, მისთვის გზა დაეთმო. მოძრაობის ასეთი წესი, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, XIX საუკუნის დასაწყისის დიდ პოლიტიკას უკავშირდებოდა. შედეგად, ვინც ნაპოლეონს უჭერდა მხარს – ჰოლანდია, შვეიცარია, გერმანია, იტალია, პოლონეთი, ესპანეთი, მარჯვენა მიმართულების მოძრაობა შემოიღო. მეორე მხრივ, ვინც ნაპოლეონის არმიას ეწინააღმდეგებოდა: ბრიტანეთი, ავსტრია-უნგრეთი, პორტუგალია – მემარცხენეობა აირჩია.

ავსტრიაში განსაკუთრებით საინტერესო მდგომარეობა იყო: პროვინციების ერთ ნაწილში მარჯვენა მიმართულებით მოძრაობდნენ, მეორე ნაწილში – მარცხენა მიმართულებით. და მხოლოდ გერმანიის ანშლუსის შემდეგ, 1930-იან წლებში მთელმა ქვეყანამ გვერდი მარჯვნივ იცვალა;

– პირველი ავტომობილების გამოჩენის შემდეგ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოძრაობის განსხვავებული წესები მოქმედებდა. დიდი ნაწილი მარჯვენა მიმართულებით მოძრაობდა, რაც, როგორც უკვე გითხარით, ჯერ კიდევ ნაპოლეონის დროს იქნა შემოღებული. განსხვავებული მდგომარეობა იყო ინგლისსა და შვედეთში, იტალიის სხვადასხვა ქალაქში კი ერთმანეთისგან განსხვავებული წესები მოქმედებდა;

**— რაც შეეხება საჭის განლაგებას, რაც დღეს ქართველებისთვის თავში საცემ მორიგ თემად იქცა, ავტომობილების უმეტესობაში საჭე მარჯვენა მხარეს ყენდებოდა, მიუხედავად იმისა, რომელი მიმართულების მოძრაობა იყო დაკანონებული. ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ის, რომ მძღოლს მანქანიდან პირდაპირ ტროტუარზე გადასვლა შეეძლო და არ ხვდებოდა გზის სავალ ნაწილზე;**

– შემდგომში სტანდარტად იქცა მარცხენა საჭე, რაც გასწრებისას მძღოლს სიტუაციის უკეთესად კონტროლის საშუალებას აძლევდა...

**P.S. ერთი აქეთ მოიხედეთ, რამე უნდა გითხრათ — 3 წელზე მეტია, ხელისუფლებაში ხართ და რატომ მოგაფიქრდათ ეს სისულელე სწორედ ახლა, სწორედ მაშინ, როცა არჩევნები მოახლოვდა?! როგორ, კაცო, შს მინისტრი „ოცნებას“ უჩალიჩებს და ხალხს — მინიმუმ 300 ათას მძღოლს უმხედრებს „დედა პარტიას“? თუ ის ამბავია, რომ ფული ისე მოაკლდა ბიუჯეტს, უკვე აღარც პოტენციური ამომრჩევლის დამოკიდებულება გადარდებთ?! თვით ყველაფრის ფეხებზე დამკიდებელი მიხეილ სააკაშვილიც კი ერიდებოდა ხოლმე ასეთი წიაღსვლების ამომრჩევლის გაღიზიანებას და რა გამოდის, თუ იცით? რა, ჩემო ბატონო და — მიშაზე უარესები ყოფილხართ!**

**არ მიიღებთ ასე კარგ შედეგს, თორემ მიდით, იბაირამეთ, მაგრამ ისიც იცოდეთ, რომ ხალხს უკვე ისე მობეზრდით, აგერ, ახლა პაატა ბურჭულაძეზე გადაერთო დიდი ნაწილი, ბევრი უკვე „ნაცების“ მოსვლაზეც კი წაიოცნებებს ხოლმე და ბოლო-ბოლო ჩამოყალიბდით, რა გინდათ — მხარდაჭერა თუ ზიზღი და უკმაყოფილება?!**

# შს მინისტრი „ოცნებას“ უჩალიჩებს და ხალხს — მინიმუმ 300 ათას მძღოლს უმხედრებს „დედა პარტიას“?

**რას გეტყვით, პატივცემულო შს მინისტრო, იცით? შეგვიქმნას ხელისუფლებამ პირობები, დაგვასაქმოს და ისეთ მანქანებს ვიყიდით, თვალები ზედ დაგრჩებათ თქვენც, ავღანელებსაც და ბირმელებსაც!**

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...**

## ISIS-ის მიერ „რუსი ჯაშუშის“ მკვლელობა უპასუხოდ არ დარჩება — რამზან კადიროვი

ჩეჩნეთის პრეზიდენტის, რამზან კადიროვის განცხადებით, „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტების მიერ მოკლული „რუსი ჯაშუში“ ეთნიკური ჩეჩენი იყო და მისი მკვლელობა უპასუხოდ არ დარჩება.

– არ მჯერა მისი ჯაშუშობის. ის აიძულეს, ეს ყველაფერი ეთქვა. ის, ვინც ჩვენი სახელმწიფოს წარმომადგენელი მოკლა, ვერ გადარჩება. მას იმქვეყნად გასამგზავრებელ ბილეთს მივცემთ, – განაცხადა კადიროვმა.

შეგახსენებთ, რადიკალურმა ისლამისტურმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ მორიგი ვიდეორგოლი გამოაქვეყნა. როგორც ისლამისტები ირწმუნებიან, კადრებზე რუსი ჯაშუშია ასახული, რომელიც სიკვდილით დასაჯეს. ჯიჰადისტების თქმით, ნარინჯისფერ კომბინეზონში ჩაცმული ტყვე აღიარებს, რომ რუსულ დაზვერვაზე მუშაობდა და სირიაში იმ ისლამისტების პოვნა ევალებოდა, რომლებიც რუსეთში ტერაქტების განსახორციელებლად აპირებდნენ ჩასვლას.

ვიდეორგოლში „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი რუსულად მეტყველებს და ვლადიმერ პუტინს ემუქრება.

– ვიცით თქვენი სისხლიანი ისტორია ავღანეთსა და ჩეჩნეთში. ჩვენ დიდხანს ველოდით თქვენთან შეხვედრას. რუსეთი უსაფრთხოდ არ იქნება. ჩვენ დავხოცავთ თქვენს ყველა ბავშვს, აქ მოკლული ყველა ბავშვის გამო, – აცხადებს ჯიჰადისტი. (ნიუპოსტი)

## „თუ ჩვენ საზოგადოება გვქვია, მურუსიძის ადგილი არ არის სააპელაციო სასამართლოში“

„ახალი მემარჯვენეების“ პოლიტიკურმა მდივანმა მანანა ნაჭყებიამ, „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარემ კახა კუკავამ და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა ოქროყანის სასაფლაოსთან ერთობლივი ბრიფინგი გამართეს და სააპელაციო სასამართლოში მოსამართლე ლევან მურუსიძის შესაძლო დანიშვნა გააპროტესტეს.

– ჩვენ შეგნებულად ამოვედით სწორედ აქ, ოქროყანის სასაფლაოზე, რათა გაგვემძაფრებინა საზოგადოებისთვის განცდები, რაც გვქონდა მაშინ, როდესაც სრულიად ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ბიჭი სანდრო გირგვლიანი შსს-ს თანამშრომლებმა ამოიყვანეს და სიცოცხლე მოუსწრაფეს. დღეს იმ მოსამართლეს, რომელმაც ციხიდან ვადაზე ადრე გამოუშვა სანდროს მკვლელები, ხელისუფლება უპირებს, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ დანიშნოს... თუ ჩვენ საზოგადოება გვქვია, არ უნდა დავუშვათ, რომ ლევან მურუსიძე ამჯერად უკვე უვადოდ მოგვევლინოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, – განაცხადა მანანა ნაჭყებიამ. (ნიუპოსტი)

# უკრაინული მედიის მორიგი ფარული ჩანაწერი: „სააკაშვილი — უცხო თავისიანებში, უცხო უცხოებს შორის“




უკრაინულმა საიტმა **uarevo.in.ua** მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი შემქმნელის, გოკა გაბაშვილისა და მისი ძმის, ლადოს საუბრის აუდიოჩანაწერი გამოაქვეყნა.

უკრაინული საიტი წერს:

„დასაწყისისთვის, მოდით, უფრო ახლოს გავიცნოთ აუდიოჩანაწერის გმირები. ძმა გოკა თბილისში ცხოვრობს, პარლამენტის წევრი და სააკაშვილის პარტიის ლიდერი გახლავთ. პრინციპში, სულ ესაა, რაც მის შესახებ შეიძლება ითქვას, თუ არ დავამატებთ იმას, რომ ის სააკაშვილთან შესახვედრად უკრაინაში რამდენიმეჯერ ჩამოვიდა. აი, ლადოს ბიოგრაფია კი უფრო საინტერესოა — უკრაინის ხელისუფლებაში ალექსანდრე კვიტაშვილის მოსვლისთანავე, ლადომ ფარმაცევტული ბიზნესი სადმე კი არა, უკრაინაში დაიწყო. უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროში სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა თავად მინისტრთან შესახვედრად. საერთო ჯამში, უკრაინის პოლიტიკაში ჯანდაცვის მინისტრის მოსვლისა და ყველასთვის უცნობი ლადო გაბაშვილის ფარმაცევტულ გენად გაღვიძების დრო, თითქმის, წამიწამზე ემთხვევა ერთმანეთს.

და იცხოვრებდა ეს ორი ძმა, ერთი — კიევში, მეორე — თბილისში, ყოველგვარი მწუხარებისა და სევდის გარეშე, მაგრამ სააკაშვილი მათ მოსვენებას არ აძლევს.

სამამულო პოლიტიკაზე უცხო ხალხის ფართო გავლენების მიმართ, ოდესის მაცხოვრებლებს ბუნებრივი გაღიზიანება დაუგროვდათ, გაღიზიანება დაუგროვდათ უცხო გუბერნატორის დაბალი მორალური თვისებებისა და მისი კორუმპირებული ზონდერბრიგადის მიმართ, რომელთათვისაც სააკაშვილი ასევე უცხოა... როგორ დამთავრდება უცხოს გუბერნატორობა, მეცნიერებისთვის ეს ჯერ ცნობილი არ არის...“

„ალია“ გავრცელებული ჩანაწერის ტექსტურ ვერსიას გთავაზობთ (სტილი დაცულია):

**გოკა გაბაშვილი:** რავი, ლადო, იმას შვებიან, რა... ნუ, ეხლა, ჯერჯერობით, იღრინებიან, მარა დაალაგებენ ტრა...ბს, არ ვიცი... თუ არ დაალაგებენ და კიდევ შეგვასკდებიან.

**ლადო გაბაშვილი:** და რას იღრინებიან, რაო?

**გოკა გაბაშვილი:** ნუ, არ ეგუებიან იმას, რომ ვუგებთ, რა და დაბოღმილები არიან და რაღაცებს „კუჩკა-კუჩკა“ დადიან და ჭრიჭინებენ, რომ კიდევ სხვა პოსტზე ვცადოთ, ახლა რაღაც ყრილობა მოვიწვიოთ და რაღაც... ჩვენ შევუთვალეთ, რომ ეგ ყრილობა არ დამთავრდება კარგად თქვენთვის და არავისთვის-თქო, „ვაფშე“ პარტიისთვის-თქო...

**ლადო გაბაშვილი:** რა სჭირთ, ბავშვები არიან?

**გოკა გაბაშვილი: ჩვენ ვეუბნებით, რომ შიდა კონფლიქტის გარეთ გამოტანა არავის არ აწყობს ეხლა და თუ ვინმეს აწყობს და რამეს გადაწყვეტს, თვითონ იქნება პასუხისმგებელი. იმედი მაქვს, მაინც დალაგდებიან, რა ვიცი...**

**ლადო გაბაშვილი:** და ვინ არის ამის ინიციატორი? სათვალეებიანი, თუ ისა?

**გოკა გაბაშვილი: მიშა არის, კაცო! ვითომ ახლა თვითონ არ ჩანს, მარა ადეიშვილი, ვაშალომიძე, მურთაზა ზოდელავა, მაქაური პრო...ბი, საყვარელიძეც და ციხიდან ბაჩო და ნუ, რაღაცა... ყველას ერთად, ბოკერიას, მე, გიგის, ჩვენს სასტავს ასე ვთქვათ, გვებრძვიან და უნდათ ჩაჩოჩება და ეხლა ჩვენ ვეუბნებით, რომ შედეგი თუ გინდათ არჩევნებზე, აგერ ვართ და თუ არა და შეიტენეთ ტრა...ში და ვნახოთ, რასაც იზამთ, თქვენი დედაც მოვ...ან-თქო.**

**ლადო გაბაშვილი:** არა, რა, რაღაცა ის არის, ტო, ყ...ობაა, რა...

**გოკა გაბაშვილი: ყ...ობაა. იმის მაგივრად, რომ ბიძინაზე ფიქრობდეს, ჩვენზე ფიქრობს ტიპი და ჯერ ერთი, ოდესაზე უნდა ფიქრობდეს, წესით, მერე ბიძინაზე და ბოლოს ჩვენზე, რა... პირველ რიგში, ჩვენზე ფიქრობს და მერე ყველაფერ დანარჩენზე, რა. ეჭვიანობს, რა.**

**ლადო გაბაშვილი:** ხოდა, რას ეჭვიანობს, მაგის კამანდა ხართ.

**გოკა გაბაშვილი:** იმიტომ ეჭვიანობს, რომ ისე დავლაგდებით, რომ ეგ აღარ დაგვჭირდება. ეჭვიანობს, რა, გიჟია.

**ლადო გაბაშვილი:** ნუ, ეხლა, ეგ რო აღარ დაგჭირდებათ, ეგ რო აბსურდია, ხომ იცის თვითონაც? ეგ სულ დაგჭირდებათ.

**გოკა გაბაშვილი:** არ იცის, ეტყობა, არ იცის. რას იზამ ეხლა, მის ტვინში აზრს ხომ ვერ შეცვლი.

**ლადო გაბაშვილი:** არა, ესენი აგიჟებენ...

**გოკა გაბაშვილი:** აბა, რად უნდა უნდოდეს ეხლა ბაჩოს და ადეიშვილის დალაგებული პარტია, რა? ვერ გამოჩნდება, რომ ბაჩო და ადეიშვილი ალაგებენ, თუ რა? და ხალხი აღფრთოვანებით შეეგებება ამ ორი დიდი მოღვაწის ქართულ პოლიტიკაში გაბლატავებას ისეგ, თუ რა იქნება? იმის მაგივრად, რომ ყველანაირად აჩოჩებდეს და მალავდეს თავის ყოფილ „პაზორნი“ ძალოვნებს, ისეგ იმათ ეყრდნობა და მარტო იმათი იმედი აქვს და ნუ, იყოს, რა ვუყოთ ეხლა ჩვენ?

**ლადო გაბაშვილი:** ხოდა, ნუ, რატომ სჭირს ეს, ბოზის შვილი ვიყო? ჭკვიანი კაცია...

**გოკა გაბაშვილი:** გიჟია, რა�ა... ხელისუფლების გიჟია.

**ლადო გაბაშვილი:** გასაგებია, ხო არ კარგავს ამ ხელისუფლებას, ვერ გავიგე? ჯანმრთელ ძალას დაეყრდნოს.

**გოკა გაბაშვილი: მონები უნდა, ლადო, არ უნდა ადამიანები, რომლებიც ჯანმრთელები არიან და ჯანმრთელად ელაპარაკებიან და რაღაცაზე წინააღმდეგობას უწევენ და რაღაცაზე „არას“ ეუბნებიან. არ უნდა ეს, მონები უნდა და ჩვენ მონები ვერ გავხდებით და ვინც ჰყავს მონები, იმათ ეყრდნობა, რა, მონურ პონტში.**

**ლადო გაბაშვილი:** არ ვიცი, რა... ყ...ობაა, რა...

**გოკა გაბაშვილი: და სამ კვადრატულ მეტრში მჯდომ გიგის ებრძვის იქიდან და რა ვიცი... მაგდენი ნამუსიც არ აქვს, რომ გიგისთან ბრძოლა არ იკადროს. რეკავს ხალხთან და ეუბნება, რომ უგულავას ხალხია, უგულავას ხალხია...**

**ლადო გაბაშვილი:** კაროჩე, რა... ეს ამის აჩემება თუ არის, კაი ხანი არ დალაგდება.

**გოკა გაბაშვილი:** დალაგდება, თუ მიხვდება, რომ აზრი არ აქვს.

**ლადო გაბაშვილი:** ეგ თავისით ვერ მიხვდება, იქნებ ვიღაცა... გიგა და შენ ჩამოხვიდეთ, დაელაპარაკოთ, დაანყნაროთ, დაამშვიდოთ. რაღაცა ეგეთი იქნებ ქნათ, გოკა.

**გოკა გაბაშვილი:** ეგრეც ვიზამთ, ალბათ, მაგრამ შენ არ იბაზრო ეხლა მანდ ქართველებში არაფერი.

**ლადო გაბაშვილი:** არა, ბიჭო, რა უნდა ვიბაზრო! ღადაობ, შეჩემა?

**გოკა გაბაშვილი:** ენის მიტანმოტანა და რაღაც...

**ლადო გაბაშვილი:** არა, ბიჭო, რა უნდა ვიბაზრო, შენ შიგ ხო არ გაქ, გადაირიე? ამასთან რამის თქმა როგორ შეიძლება „ვაფშე“, შეჩემა? რას მელაპარაკები? მაგის თქმაც არ გჭირდება, შეჩემა.

**გოკა გაბაშვილი:** ხო... ნუ, ამას რაღაც პატარა ჯგუფი ყავს ამ ვაშაძეს, მარა ნუ, ძირითადად, გამოყ...ბული ბავშვები არიან.

**ლადო გაბაშვილი:** ხო, ნუ, „კამსამოლი“, რა...

**გოკა გაბაშვილი:** თვითონ როგორი „კამსამოლიც“ არის, ეგეთი სასტავი ყავს, რა.

**ლადო გაბაშვილი:** თვითონ კატასტროფაა, ბოზის შვილი ვიყო!

**გოკა გაბაშვილი:** ჭიათურელი, ნაგლი კომკავშირელია, რა, მეტი არაფერი არ არის! ტიპი „ვაფშე“ ღირებულებების და პრინციპების გარეშეა, დედა მოტ...ული!

**ლადო გაბაშვილი:** ხო, რა... კარიერისტი კარობე, რა, მეტი არაფერი. რავი, მე თუ დამიჯერებთ, ჯობია, რომ შენ და გიგამ...

**გოკა გაბაშვილი:** კი, გავაიასნებთ რაღაცას, დაველაპარაკები.

**ლადო გაბაშვილი:** „დაჟე“ ვასილიჩმაც თუ გარისკა და წამოვიდა, თქვენ სამნი რომ დაუჯდეთ ამას...

**გოკა გაბაშვილი:** ვასილიჩი ვერ ჩამოვა, მარა ნუ, გიგა ჩამოვა...

**ლადო გაბაშვილი:** შენ არ გინდა, ხო?

**გოკა გაბაშვილი:** ბიჭო, ნუ, რავი, მე „ვაფშე“ უფულოდ ვარ ეხლა და ეგ მაქედან არაფერს არ იმას მიზამს და რაღაც თუ მოვახერხე აქედან, რა ვიცი, აბა?

**ლადო გაბაშვილი:** ხო, მოკლედ, შეხედე შენ, თუ მაგას გააძრობ, რასაც მე გეუბნები, რომ ამას დაელაპარაკოთ, ძალიან კარგი იქნება. „დაჟე“ ჩხუბით და იმით რომ დაინყოთ, მარა ბოლო-ბოლო, დავლაგდეთ, მე მგონი, კარგი იქნება.

**გოკა გაბაშვილი:** შეიძლება, ვნახოთ, შევხედოთ.

**ლადო გაბაშვილი:** ხო, ბოზის შვილი ვიყო. მგონია, ლაპარაკი ყოველთვის ყველაზე კაი პონტია, რა, რომ ამ სიშორიდან რაღაცა ისე...

**გოკა გაბაშვილი:** არაფერი შორი არ იყო, კაცო, მანდ ვიყავით და ველაპარაკეთ ტკბილად და მშვიდად და მერე ისეგ გააკეთა ესე. ვნახოთ, რა... შევხედოთ...

**ლადო გაბაშვილი:** ბიჭო, ესენი აგიჟებენ, ბოზის შვილი ვიყო, მე ხომ ვიცი, რა ვითარებაა, რა. ესენი აგიჟებენ ამას, ეს სასტავი, ვაშაძე და ესენი აგიჟებენ, ეს დედა მოტ...ული სათვალეებიანი „გლავნი“ პ...ჭი!

**გოკა გაბაშვილი:** კი, ეგ არის „გლავნი“.

**ლადო გაბაშვილი:** ხო, ეგ არის „გლავნი“, ეგ თესლი, ეგა!

## შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ მიმართულებებზე:

**I. სტომატოლოგიის მიმართულებით შემდეგი სასწავლო კურსების წასაკითხად**

**1. თერაპიული სტომატოლოგია**
პროფესორი – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**2. ორთოპედიული სტომატოლოგია**
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**3. ყბა-სახის ქირურგია**
პროფესორი – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**ფარმაციის მიმართულებით**
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 2 ვაკანსია

**II. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად სამედიცინო მიმართულების შემდეგი სასწავლო კურსების წასაკითხად**

**1. ადამიანის ანატომია**
პროფესორი – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**2. ჰისტოლოგია**
პროფესორი – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**3. პათოლოგიური ანატომია**
პროფესორი – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**4. ზოგადი ქირურგია**
პროფესორი – 2 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**5. მეანობა გინეკოლოგია**
პროფესორი – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**6. შინაგანი მედიცინა**
პროფესორი – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**7. ოტორინოლარინგოლოგია**
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**8. რადიოლოგია**
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**9. ოფთალმოლოგია**
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**10. ნევროლოგია**
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**11. პედიატრია**
პროფესორი – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**12. ფსიქიატრია**
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**13. დერმატო-ვენეროლოგია**
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 1 ვაკანსია

**III. სამართლის მიმართულებით შემდეგი სასწავლო კურსის წასაკითხად**

**1. საერთაშორისო სისხლის სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, საერთაშორისო საჯარო სამართალი.**
პროფესორი – 3 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია
ასისტენტი პროფესორი – 3 ვაკანსია

**აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები:**
პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტი პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტი პროფესორი აირჩევა 4 წლის ვადით.

**აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (განცხადების ელვერსია იხილეთ ვებგვერდზე);
- კონკურსანტის ანკეტა (ანკეტის ელვერსია იხილეთ ვებგვერდზე);
- ავტობიოგრაფია **(CV)**;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- 1 ფოტოსურათი (ზომით 3X4);
- უმაღლესი განათლების, აკადემიური ხარისხის ან სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- ინფორმაცია ბოლო 10 წელიწადში საკონკურსო მიმართულების/დარგის შესაბამისად შესრულებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის (შრომის წიგნაკის) ასლი ან ცნობა; ასევე, დამსაქმებლის ან საარქივო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს შესაბამის გამოცდილებას.

**კონკურსი გამოცხადდეს 2015 წლის 4 დეკემბრიდან. საბუთების მიღება იწარმოებს 2016 წლის 5 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით 10.00-18.00 სთ. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა №24 შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის 28 იანვარს.**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

# რას დაჰპირდება ივანიშვილი წინასაარჩევნოდ ხალხს, რომელიც თავს მისგან მოტყუებულად თვლის და აღარ ენდობა?

**„მე მქონდა არაფორმალური ურთიერთობა „ქართული ოცნების“ ლიდერებთან... დაახლოებით იგრძნობოდა ის განწყობა, რაც შიგნით არის. „ოცნების“ ლიდერთა ნაწილს არჩევნების წაგების შემთხვევაში არ ემუქრებათ ციხეში საკნის ხეხვა, მაგრამ არიან კონკრეტული ლიდერები – ჯანყარაშვილის, თამაზაშვილის, ზედელაშვილისა და კალაძის გუნდის სახით, რომელთათვისაც არჩევნების წაგება ნიშნავს საკანში მოხვედრას და რა თქმა უნდა, ამ ლიდერთა შორის ემოციები არის განსხვავებული“**

კოალიცია, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შექმნა და ჩამოაყალიბა, ისევ ივანიშვილის ხელმძღვანელობით მიიღებს მონაწილეობას 2016 წლის არჩევნებში, – აცხადებს კონსერვატორი, ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური. პრინციპში, აქ ახალი და უჩვეულო არაფერია.

**„ალია“ ჯერ კიდევ 3 თვის წინ წერდა, რომ გარდაუვალი იქნებოდა, კოალიცია „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის გარეშე გასულიყო არჩევნებზე. ფაქტობრივად, ეს არის გაკოტრებული ძალა, რომელმაც საზოგადოება მოატყუა და დაპირების უდიდესი ნაწილი არ შეასრულა. თუმცა დინამიკას თუ დავუკვირდებით, მმართველი გუნდი გაცილებით გააქტიურებულია და ისეთი დაპირებების შესრულებას იწყებს, რომელიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა ეს ხდება ნაწილობრივ და სანახევროდ... მაგალითად, ის, რომ პენსია 20 ლარით გაიზარდა, ლარის დევალვაციის ფონზე დიდს არაფერს ნიშნავს. სამაგიეროდ, ხელისუფლებას სათქმელი ექნება, პენსიების გაზრდას დაგპირდით და ვაკეთოთო.**

ამ ფონზე საინტერესოდ გამოიყურება მთავარი პროკურორის გააქტიურება. თუკი ირაკლი შოთაძემ შეძლო აღებული ტემპის შენარჩუნება, ის გახდება ფიგურა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ წითელ ზღვარს გადაალახვინებს.

პროკურორად მოსვლის პირველივე დღიდან შოთაძემ საინტერესო ინიციატივები დააყენა. „ნაციონალების“ შემდეგ პირველი პროკურორია, რომელმაც მოქალაქეთა მიღების საათები დააწესა. პირველივე დღიდან მან უკანონოდ ჩამორთმეული მანქანები გადასცა მეპატრონეებს, ასევე, ძვირად ღირებული ნივთები და ჰპირდება ხალხს, რომ ძალიან მალე რეზონანსული საქმეებიც გაიხსნება და შედეგები დაიდება.

„ქართული ოცნებისთვის“ ეს არის პრინციპული საკითხი, მათთვის ამომრჩეველს სოციალური საკითხების გადაწყვეტა ისე არ უთხოვია, როგორც სამართლიანობის აღდგენა. ეს იყო თითოეული ქართველის ღირსების საკითხი, მაგრამ

**ბიძინა ივანიშვილმა დივიდენდად იმდენი დაპირება გასცა, რაც 2012 წლის ოქტომბერში საჭირო სულაც არ იყო, ორი წლის თავზე კი ხელისუფლებიდან უკანუკან წავიდა, წავიდა, რადგან ისევ დაბრუნდეს... და თუკი ვინმეს გაუჩნდება პრეტენზია ივანიშვილის მიმართ არჩევნების წინ, რომ მან არ შეასრულა ის, რასაც ხალხს დაპირდა, ივანიშვილი მას უპასუხებს, — მე რასაც დაგპირდით, გავაკეთე, მოგაცილეთ საკაკაშვილი, ვთქვი, ხელისუფლებიდან წავიდოდი და დავტოვე გუნდი, პრეტენზიები ჩემთან კი არა, გუნდთან უნდა გქონდეთ და მე მოვდივარ იმისთვის, რომ, რაც ვერ გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“, მე გავაკეთო და შევცვალო ქვეყანა...**

ერთადერთი ანალიტიკოსი იყო იურისტი ვალერი გელბახიანი, რომელიც პოლიტიკური სცენარის ამგვარად განვითარებას ბოლო ერთი წლის განმავლობაში პერმანენტულად აანონსებდა. მისი პროგნოზი სრულდება, თუმცა არის მისი ანალიზის მეორე ნაწილიც, სადაც ის ამბობდა, რომ არჩევნებამდე სამი თვით ადრე გამორიცხული არ იყო, ბიძინა ივანიშვილს მთავრობა გადაეყენებინა, თუკი დაინახავდა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება გამონვევებს ვერ პასუხობს. აშკარად იგრძნობა, რომ ხელისუფლება გამოფხიზლების გზით წავიდა, თუმცა ეს არ არის საკმარისი, რომ ამომრჩევლის გული მოიგოს, ეს წინასაარჩევნო ფანდია. სწორედ ამიტომაც ერთვება მძიმეწონოსანი ფიგურა პოლიტიკაში, ისეთი როგორიც არის ბიძინა ივანიშვილი. როგორი იქნება წინასაარჩევნო გარემო და რომელი ოპოზიციური ძალა გაუწევს სერიოზულ წინააღმდეგობას „ქართულ ოცნებას“? ეს არის კითხვა, რომელიც ბევრს აწუხებს.

**პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ყოფილი თანამებრძოლის, პოლიტიკური მეგობრის ზვიად ძიძიგურის განცხადებასთან დაკავშირებით, „ალიასთან“ კომენტარს აკეთებს:**

**— განცხადება, რომელიც ზვიად ძიძიგურმა გააკეთა, შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვეტილია, ვინაიდან ხედავენ, „ქართული ოცნების“ რეიტინგი ყოველდღიურად ეცემა და თუ მათ რაიმე გადაარჩენს, მხოლოდ დიდი ფინანსური ინექცია. მათ იციან, რომ ბიძინა ივანიშვილი არჩევნებში ფულს არ ჩადებს, თუ თავად არ მიიღებს მონაწილეობას, ის ფულს მხოლოდ თავის თავში დააბანდებს. ამიტომაც აქვთ ასეთი დიდი სურვილი, ბიძინა ივანიშვილი პირველ ნომრად წარდგეს, რათა დიდი ფული დახარჯოს.**

**— თქვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ რატომ აკეთებს განცხადებას „კონსერვატორი“ ზვიად ძიძიგური და არა, მაგალითად, უმრავლესობის რომელიმე ლიდერი? ხომ არ ფიქრობთ, რომ ზვიად ძიძიგური კვლავ „ეტენება“ ბიძინა ივანიშვილს?**

– არ მგონია, მას რაიმე საფრთხე ემუქრებოდეს, საკმაოდ მყარი პოზიციები აქვს პოლიტიკაში. ამ განცხადებას იმიტომ აკეთებს, რომ მასაც ერგოს ივანიშვილისგან მილიონები.

**„ქართული ოცნების“ ლიდერები არარეალურად და არასერიოზულად უყურებდნენ მიმდინარე დინამიკას, ძალიან ბევრი ფიქრობდა, რომ „ქართული ოცნება“ კვლავ აიღებდა 50%-ს, ამიტომ ჰქონდათ აგრესიული ტონი საზოგადოებასთან და ოპოზიციასთან მიმართებაში.**

მე მქონდა არაფორმალური ურთიერთობა „ქართული ოცნების“ ლიდერებთან. მართალია, ჩვენი საუბრის ძირითადი თემა საარჩევნო კოდექსს შეეხებოდა, მაგრამ დაახლოებით იგრძნობოდა ის განწყობა, რაც შიგნით არის. „ოცნების“ ლიდერთა ნაწილს არჩევნების წაგების შემთხვევაში არ ემუქრებათ ციხეში საკნის ხეხვა, მაგრამ არიან კონკრეტული ლიდერები – ჯანყარაშვილის, თამაზაშვილის, ზედელაშვილისა და კალაძის გუნდის სახით, რომელთათვისაც არჩევნების წაგება ნიშნავს საკანში მოხვედრას და რა თქმა უნდა, ამ ლიდერთა შორის ემოციები არის განსხვავებული.

**— თქვენი აზრით, რას დაჰპირდება ივანიშვილი წინასაარჩევნოდ ხალხს, რომელიც თავს მისგან მოტყუებულად თვლის და აღარ ენდობა?**

– თეორიაში არსებობს კლასიკური წესი, თუ თქვენ ადამიანი მოატყუეთ, მაშინ ეს უნდა გადაფაროთ უფრო დიდი ტყუილით. ეს არის ყველა დროის ავანტიურისტთა და თაღლითთა კლასიკური წესი.

**ივანიშვილი იტყვის, რომ ჩვენ, უბრალოდ, დაგვემთხვა სირიის კრიზისი, საგარეო ფაქტორები და ვერ მოვასწარით, რომ პენსია საკმარისად გაზრდილიყო, მაგრამ გპირდებით, 2020 წელს საქართველოში იქნება 1000-დოლარიანი პენსია,**

– დაახლოებით ასეთ პათოსში გაიცემა მისი დაპირებები.

**— მმართველი გუნდის შიგნით რომ დიდი დაპირისპირებაა, ამაზე ბევრს ვწერთ. შავ სიაში მოხვედრილი დეპუტატთა ნაწილი ულტიმატუმს უყენებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ იქ მათთვის ადგილი მოიძებნოს. რა ინფორმაცია გაქვთ პოლიტიკური ვაჭრობის შესახებ?**

**— თქვენ იცით, რომ შემთხვევით გასაჯაროვდა მაჟორიტარების ნაწილში უმრავლესობის სია, აქედან ჩანს ერთი ტენდენცია, როგორ უყურებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მომავალი არჩევნებისთვის სარჩევნო სიის დაკომპლექტებას, „ოცნების“ უმრავლესობას ისინი უყურებენ, როგორც სრულ ბანკროტს. სიაში თქვენ შეგხვდებათ ნაწილობრივ ახალი სახეები, მაგალითად, როგორიც არის გიორგი მოსიძე, გიორგი უძილაური, უფრო დიდი უმრავლესობა მაჟორიტარების არის „ნაციონალებით“ დაკომპლექტებული. „ქართული ოცნება“ მიხვდა, რომ, მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონს ვერც „ქართული ოცნების“ რეიტინგი მოიგებს და ვერც ახალი სახე და იმიტომ გაჩნდა დავით ბეჟუაშვილი „ოცნების“ მაჟორიტარ დეპუტატთა სიაში, რადგან სწორედ ის მოიგებს. მათი ძირითადი საყრდენები იქნებიან ის მაფიოზები, რომელთაც ეყრდნობოდა არჩევნებზე მიხეილ საკაშვილი და მის წინ კი, ედუარდ შევარდნაძე.**

**— „ალიამ“ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივანთან ირაკლი კობახიძესთან გადაამოწმა რამდენად რეალური იყო „ოცნების“ მაჟორიტართა სიები, რაზეც ჩვენ მივიღეთ პასუხი, რომ ის იყო ცრუ ინფორმაცია და მსგავსი სია „ოცნების“ პარტიულ ოფისში არ არსებობს...**

– არ ვიცი, რა დაადასტურა, მაგრამ ვიცი, რომ ბეჟუაშვილმა დაადასტურა, რომ ის მიიღებს მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობას და თქვა, რომ გამორიცხული არაფერია და მას უკვე აქვს კონსულტაციები, რომ

**„ქართული ოცნება“ არ გამორიცხავს „ნაციონალური მოძრაობის“ მაფიოზური სახეების მაჟორიტარულ ოლქებში წარდგენას, ეს ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ გაბანკროტებულია. ირაკლი კობახიძემ კი მაჟორიტართა სია არა მარტო ჩემს მეილზე გამოუშვა, არამედ, ძალიან ბევრს მიუვიდა, დაახლოებით 100 მეილს მოიცავს. ექსელის ცხრილში მაჟორიტარული ოლქების სია და გვერდზე იყო კანდიდატების გვარ-სახელები. მათ გამოუშვეს ჩვენთან ეს სია ზუსტადაც იმიტომ, რომ გვენახა. ჩემი ინფორმაციით, „რესპუბლიკელებს“ შეხვდებათ ალასანიას კვოტები. რაც შეეხება საკუთრივ „ქართულ ოცნებას“, ისინი თვლიან, რომ „ქართულ ოცნებას“ სჭირდება მეჭიაურის ტიპის კანდიდატების ლოიალობა, ან ბეჟუაშვილის ფულის ტომრები იმ მაფიოზების სახით, რომლებიც რაც თავი გვახსოვს, სულ მაჟორიტარები არიან.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ოცნების ქალაქი“ დაიტბორა

ძლიერი წვიმის გამო, ხელვაჩაურში ე.წ. „ოცნების ქალაქი“ დაიტბორა. ყოფილი 53-ე და 25-ე ბატალიონების ტერიტორიაზე თვითნებურად შესახლებული მოსახლეობა დახმარებას მთავრობას სთხოვს. მოსახლეობის თქმით, მთელ ტერიტორიაზე წყლის გუბეები დგას, რის გამოც ბავშვები სახლებიდან გამოსვლასა და სკოლებსა და ბაღებში წასვლას ვერ ახერხებენ.

როგორც ე.წ. ოცნების ქალაქში მცხოვრებმა ნუგზარ ფუტკარაძემ განაცხადა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია 25-ე ბატალიონში მცხოვრები 17 ოჯახი, რომლებსაც ქონება დაუსველდათ და გაუნადგურდათ.

„ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს, დავზარალდით, განსაკუთრებით 17 ოჯახია მძიმე მდგომარეობაში. მათი ნივთები წყალში ცურავს. ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების გადმოყვანა ვერ ხერხდება. ბავშვების 70 პროცენტი სკოლებსა და ბაღებში ვერ წავიდა“, – აღნიშნა ფუტკარაძემ. უფლებადამცველ თამაზ ბაკურიძის თქმით, „ხანგრძლივი წვიმის შემდეგ დაიტბორა სახლები. ისე დაიტბორა და წყალი იმდენად დიდია, რომ მოსახლეობა გარეთ ვერ გამოდის, ნაწილი კი ვერ შედის სახლში. სამაშველო სამსახური და შესაბამისი სტრუქტურები არ მოსულან“, – აღნიშნა ბაკურიძემ.

ძლიერი წვიმების შედეგად აღნიშნული ტერიტორია ხშირად იტბორება. (ინტერპრესნიუსი)

## შვეიცარიაში ფიფა-ს ჩინოვნიკები დააკავეს

შვეიცარიაში ფიფა-ს ჩინოვნიკები დააკავეს. ყველა მათგანი კორუფციაშია ეჭვმიტანილი. როგორც „ნიუ-იორკ თაიმსი“ იტყობინება, ბრალდება შესაძლოა, 10-ზე მეტ ჩინოვნიკს წაუყენონ. ესენი არიან სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის ჩინოვნიკები, რომლებსაც ფულის გათეთრებასა და თაღლითობაში ადანაშაულებენ. დაკავებების სერია ციურიხში ჩატარდა, სადაც ფიფა-ს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა მიმდინარეობდა. დაკავებულთა ვინაობა ჯერ უცნობია, თუმცა როგორც „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერს, დაკავებულთა შორის არ არის ფიფა-ს ყოფილი პრეზიდენტი, ზეპ ბლატერი. ციურიხის პოლიციის ცნობით, დაკავების ოპერაცია ქვეყნის იუსტიციის სამინისტროსა და პოლიციის განკარგულებით ჩატარდა.

შეგახსენებთ: 23 ნოემბერს ფიფა-ს ეთიკის კომიტეტის საარბიტრაჟო პალატამ ზეპ ბლატერისა და უეფა-ს პრეზიდენტის მიშელ პლატინის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. ბლატერს პლატინისთვის ჰონორარის სახით 2 მილიონი შვეიცარიული ფრანკის გადახდაში ადანაშაულებენ.

ფიფა-ს რამდენიმე მაღალჩინოსანი კორუფციის ბრალდებით ციურიხში მაისშიც დააკავეს, კიდევ რამდენიმეს ბრალდება წაუყენეს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ერდოღანის საპასუხო ბრალდება — „რუსეთი ტერორისტებთან ნავთობით ვაჭრობს“

თურქეთის პრეზიდენტის საპასუხო ბრალდება და სკანდალური განცხადება – რეჯეპ ტაიპ ერდოღანის თქმით, თურქეთს მოეპოვება ინფორმაცია, რომ რუსეთი „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ნავთობით ვაჭრობს. მისი თქმით, ერთ-ერთი შემსყიდველი სირიელი ბიზნესმენი ჯორჯ ჰასვანი იყო, რომელსაც რუსეთის პასპორტი აქვს.

– ჩვენ გვაქვს მტკიცებულებები და ამას მთელ მსოფლიოს ვაჩვენებთ, – აცხადებს ერდოღანი.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, პუტინმა თურქეთი ტერორისტებთან ნავთობის ბიზნესის კავშირში დაადანაშაულა. რუსულმა მედიამ კი ისლამისტებთან ბიზნესკავშირში ერდოღანის ოჯახი და პირდაპირ პრეზიდენტის ვაჟი, ბილალ ერდოღანი დაასახელა. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ კი, მათივე მტკიცებით, ამ კავშირების ამსახველი ფოტომასალა წარადგინა. (პირველი რადიო)

**ზოგი ჭირი მარგებელიაო, ხომ იცით — ახლა იმდენ მამაძაღლობას წამოაძახებენ ერთმანეთს და რაც მთავარია, მტკიცებულებებსაც წარადგენენ, ერთი ის დაგვრჩენია, დავსხდეთ და ვუყუროთ, სადამდე გაგრძელდება ჩვენი მეზობლების ტლინკაობა...**

## გირჩი, მირჩი ეძახეთ თქვენ და კი ამბობს კრისტალ სიმართლეს!

პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების აკრძალვას ეხმაურება და მის უარყოფით შედეგებზე საუბრობს. ჯაფარიძე წერს:

– აკრძალვის შედეგი იქნება ზუსტად საპირისპირო:

1. მოქალაქეები, რომლებსაც შეიძლება ეფიქრათ ასეთი მანქანებით ოჯახის რჩენა ან უბრალოდ პირადი მოხმარებისთვის შეძენა, აღმოჩნდებიან გაუარესებულ მდგომარეობაში

2. ვისაც უკვე ჰყავს ასეთი მანქანები – არსებული ქონების ფასი შეუმცირდებათ, რადგან ასეთი მანქანის გაყიდვა გართულდება

3. მანქანები გაძვირდება – საშუალო ფასი აიწევს, რადგან იაფიანი მარჯვენასაჭიანი მანქანები აღარ შემოვა

4. ეკოლოგია – შემოვა მეტი შედარებით ძველი მარცხენასაჭიანი მანქანა და გამონაბოლქვი იქნება უფრო მეტი

5. სამთო ტურიზმი – სვანეთში ან სტეფანწმინდაში თუ ნამყოფი ხართ – მარჯვენასაჭიანი „მიცუბიში დელიკა“ არის ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავლის წყარო.

თბილისში არაერთი სერიოზული პრობლემაა როგორც საცობების, ისე პარკირების თუ გარემოს დაბინძურების მხრივ, მაგრამ ეს „გამოსავალი“ არის იდიოტობა, – წერს ზურაბ ჯაფარიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (პირველი რადიო)

# „მამაკაცი, რომელსაც გოგონა გაუჩნდა, იხვეწებოდა — როგორმე ჩემს შვილს ბიძინია დაარქვითო“

ცოტა ხნის წინ სოციალური ქსელით საჩხერის საავადმყოფოს მეანგინეკოლოგ სოფიო ცერცვაძის ინფორმაცია გავრცელდა, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერდა: „ბატონი ბიძინას პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ საჩხერეში 480 ბიჭი დაიბადა და აქედან 358-ს ბიძინა დაარქვეს. მეტიც, ერთ-ერთი მამაკაცი, რომელსაც გოგონა გაუჩნდა, ექიმებს ეხვეწებოდა, – როგორმე ჩემს შვილს ბიძინია დაარქვითო“(?!)

**ჩვენ მსახიობსა და პაროდისტ ბიძინა მახარაძეს დავუკავშირდით:**

– გამოგიტყდებით და ეს ამბავი სულაც არ მაკვირვებს, რადგან ახალშობილს სახელს ყოველთვის პირადი სიმპათიის მიხედვით არქმევენ. მაგალითად, იაპონიაში შოთა ჩოჩიშვილის ჭიდაობის შემდეგ, 100 ათასმა იაპონელმა დაარქვა თავის შვილს შოთა. ჰოდა, რა გასაკვირია, საჩხერეში ბიძინას პატივისცემით ბავშვებს ბიძინა რომ დაარქვეს? ეს არ არის ძალიან გავრცელებული სახელი. შეიძლება მესაკუთრე ვარ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ბიძინა მარტო მე ვარ.

**— თქვენ რა დაარქვით შვილებს?**

– მეც ჩემს შვილებს სახელები სწორედ პირადი სიმპათიის მიხედვით დავარქვი: ძალიან მიყვარდა ცნობილი იუმორისტი არკადი რაიკინი და მისი ხათრით ჩემს შვილს არკადი დავარქვი. ასე რომ, მე თავად ვარ ამის ჩამდენი და რაღა გამაკვირვებს? სხვათა შორის, მეც სხვისი ხათრით დამარქვეს ბიძინა: დედაჩემი სულ მეუბნებოდა – შენი სეხნია უკეთილშობილესი ადამიანი იყო და სახელიც სწორედ მისი ხათრით შეგირჩიეთო. ჩემს დასაც მე დავარქვი რომ იტალიაში არის მხარე, რომელსაც ბიძინი ჰქვია. ჩემს სახელთან დაკავშირებით კი, ერთ სახალისო ამბავსაც მოგიყვებით – მოსკოვში ვმუშაობდი და იქაურ ქართველ მსმენელთან მჭიდრო კონტაქტი მქონდა. ერთმა ქალბატონმა ასეთი უცნაური რამ მიამბო: გერმანიაში ბიძინასს ქალებს არქმევენ. ერთხელაც, ამ ქვეყანაში ყოფნის დროს, ჩემი ქმარი მირეკავს და მეკითხება, – სად ხარო? მეც მშვიდად ვუთხარი, – სასტუმროში ვარ ბიძინასთან ერთად და მალე მოვალ-მეთქი. ეს კაცი გაგიჟებულა, რას ჰქვია და ბიძინასთან ერთად მარტო ხარ სასტუმროშიო? ძლივს დავარწმუნე, რომ გერმანელი დაქალი მყავდა, რომელსაც სახელად ბიძინა ერქვაო...

**— იმის დასტურად, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოში სახელებს, შეიძლება სახელი ლუარსაბიც მოვიყვანოთ.**

– დიახ, ასეა. ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძის შემდეგ ჩვენში ამ სახელმა პოპულარობა დაკარგა. ზარმაცი და უქნარა შვილი არავის უნდა, ამიტომ ამ სახელს ქართველები შვილს დღესაც იშვიათად არქმევენ. ლუარსაბის სახე იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ ილიას ქართველი თავადაზნაურობა მოკვლასაც უპირებდა, ვიღაცები რომ არ გამოსარჩლებოდნენ, – ახალგაზრდაა, შეცდომა მოუვიდა, ვაპატიოთ და იქნებ, მომავალში კარგი საქმეებიც ჩაიდინოსო. როგორც ჩანს, იმ ვიღაცებს ენამ უყივლათ...

**— თქვენს გვარზე რას გვეტყოდით? — ფილიპე მახარაძე ჩვენს ქვეყანაში ბევრს არ უყვარს, მისი საქმიანობის გამო.**

– სხვათა შორის, გვარებზე გართულება მაქვს, ისიც ვიცი, რომ მახარაძეებში ბევრი კარგი ადამიანი აღზრდილა. ფილიპე მახარაძის მოღვაწეობის შესახებ რომ წავიკითხე, ნამდვილად არ აღვფრთოვანებულვარ, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ რასაც აკეთებდა, სწამდა კიდეც. სხვათა შორის, კოტე მახარაძეს ძალიან უყვარდა ეს გვარი, მახარაძეების გვარის შეკრებებზე სულ დადიოდა და ამ საზოგადოების პრეზიდენტიც იყო.

(kvirispalitra.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## ბრიტანეთმა სირიაში პირველი ავიაიერიშები განახორციელა

დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა სირიაში, „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებზე პირველი ავიაიერიში განახორციელა. კვიპროსის ბაზიდან ოთხი ბრიტანული ავიაგამანადგურებელი აფრინდა, რომელმაც ისლამისტების პოზიციები დაბომბა. სირიაში საჰაერო ოპერაციების დანყების საკითხს დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა 397 ხმით 223-ის წინააღმდეგ, 10-საათიანი დებატების შემდეგ დაუჭირა მხარი. საერთაშორისო კოალიციის ფარგლებში, დიდი ბრიტანეთი ამ დრომდე ავიაიერიშებს მხოლოდ ერაყის ტერიტორიაზე ახორციელებდა. სირიაში საჰაერო ოპერაციების დასაწყებად კი პარლამენტის მხარდაჭერა იყო აუცილებელი. (პირველი რადიო)

## ოჰ, გამოლოცვა დასჭირდება უკრაინაში მხარ-თეძოზე წამოწოლილ ადეიშვილს

აკურის ღვინის ქარხნის იძულებით ჩამორთმევის საქმეზე, იუსტიციის ყოფილ მინისტრს ზურაბ ადეიშვილს დაუსწრებლად პატიმრობა შეეფარდა. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს:

– 2015 წლის 02 დეკემბერს, თელავში მდებარე აკურის ღვინის ქარხნის იძულებით ჩამორთმევის საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა ბრალდებულების პირველი წარდგენის სხდომა. მოსამართლე გიორგი არევაძემ სრულად დააკმაყოფილა საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობა და ყოფილ გენერალურ პროკურორ ზურაბ ადეიშვილს დაუსწრებლად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა, ხოლო ამავე საქმეში წარმოდგენილი მეორე ბრალდებულის სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის ივანე მერაბიშვილის მიმართ წინასასამართლო სხდომა 2016 წლის 12 იანვარს ჩანიშნა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ზურაბ ადეიშვილსა და ივანე მერაბიშვილს ბრალი წარედგინათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, 2004 წელს ჩადენილი სისტემური დანაშაულისთვის, მიმართული მოქალაქეებისთვის ქონების იძულებით ჩამორთმევაზე, რომელშიც ერთობლივად და წინასწარ შეთანხმებული სქემით მონაწილეობდნენ იმჟამინდელი სამართალდამცავი ორგანოები და ეროვნული ბანკი, რის შედეგადაც დაზარალებულებს თეიმურაზ მეგრელიშვილსა და ნოდარ მოდებაძეს იძულებით ჩამოართვეს თელავში მდებარე აკურის ღვინის ქარხანა, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც პროკურატურა ავრცელებს. (პირველი რადიო)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

# კარტელური შეთანხმების თანახმად, მოქმედებს ორი მსხვილი მონოპოლიზებული კომპანია — „პსპ“ და „ავერსი“, რომელთა საქმიანობასაც ხელს უწყობს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი გია თვალავაძე

„თავისუფალი თაობის“ წევრი გიორგი მუხიგულაშვილი აცხადებს, რომ სააფთიაქო მონოპოლიას სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი გია თვალავაძე უწყობს ხელს.

„თვალავაძე უშუალოდ კურირებს მათ დავალებებს და არის მათი უსაფრთხოების გარანტი. როგორც კი კონკურენტი ფირმა დაიწყებს ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის გაწევას, მეორე დღესვე გაურკვეველი მიზეზებით აჯარიმებენ ამ ფირმებს. მათ არავინ უმარტავს, თუ რის გამო ჯარიმდებიან. ახლაც მიმდინარეობს სასამართლო დავები. დაახლოებით 16 კომპანია უჩივის გია თვალავაძეს.

რით ადასტურებენ თვალავაძის კავშირს მონოპოლიასთან? რას აპირებს „თავისუფალი თაობა“? რას აცხადებენ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში“?

„ალიას“ ორგანიზაცია **გიორგი მუხიგულაშვილი** ესაუბრა:

— „თავისუფალმა თაობამ“ ჩატარა კვლევა, შეისწავლა ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მაფია და ძალიან სავალალო და სამწუხარო ვითარება აღმოაჩინა. კარტელური შეთანხმების თანახმად, მოქმედებს ორი მსხვილი მონოპოლიზებული კომპანია — „პსპ“ და „ავერსი“, რომელთა საქმიანობასაც ხელს უწყობს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი გია თვალავაძე. ეს ადამიანი უშუალოდ კურირებს ამ ორი კომპანიის მიერ მიცემულ დავალებებს, არის მათი საქმიანობის გარანტი და ბიზნესის ხელშემწყობი.

დაახლოებით 16 კომპანიასთან აქვს გია თვალავაძეს სამართლებრივი დავა. უჩივიან, მაგრამ ბუზსაც ვერ უფრენენ ამ ადამიანს. ეს კაცი კიბოსავითაა მოკიდებული ფარმაცევტულ ბაზარს და წლებია, ეს ვითარება გრძელდება. მთელი ჯანდაცვის სამინისტრო ებრძვის ამ ადამიანს და ბოლო ვერ მოუღო მის პარპაშს. თავის დროზე, ის მიხეილ სააკაშვილის რეკომენდაციით დაინიშნა თანამდებობაზე

და მას მერე სისხლს სწოვს გაჭირვებულ ხალხს. ხელისუფლება დაგვპირდა, რომ შექმნიდა ანტიმონოპოლიურ სამსახურს, რომელიც ასეთი კომპანიების საქმიანობას შეისწავლიდა, შემდეგ შექმნა კიდეც კონკურენციის

ბით ერთი კვირის განმავლობაში შევიკრიბებით სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად და ეს საკითხი გადავა ფართო მასშტაბებში. არ შეიძლება აშავებდნენ კონკრეტული ადამიანები და ჯოხი მოსახლეობაზე ტყდებოდეს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ის,

**საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი გია თვალავაძე უწყობს ხელს.**

**„თვალავაძე უშუალოდ კურირებს მათ დავალებებს და არის მათი უსაფრთხოების გარანტი. როგორც კი კონკურენტი ფირმა დაიწყებს ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის გაწევას, მეორე დღესვე გაურკვეველი მიზეზებით აჯარიმებენ ამ ფირმებს. მათ არავინ უმარტავს, თუ რის გამო ჯარიმდებიან. ახლაც მიმდინარეობს სასამართლო დავები. დაახლოებით 16 კომპანია უჩივის გია თვალავაძეს.**

**რით ადასტურებენ თვალავაძის კავშირს მონოპოლიასთან? რას აპირებს „თავისუფალი თაობა“? რას აცხადებენ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში“?**

**„ალიას“ ორგანიზაცია გიორგი მუხიგულაშვილი ესაუბრა:**

**— „თავისუფალმა თაობამ“ ჩატარა კვლევა, შეისწავლა ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მაფია და ძალიან სავალალო და სამწუხარო ვითარება აღმოაჩინა. კარტელური შეთანხმების თანახმად, მოქმედებს ორი მსხვილი მონოპოლიზებული კომპანია — „პსპ“ და „ავერსი“, რომელთა საქმიანობასაც ხელს უწყობს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი გია თვალავაძე. ეს ადამიანი უშუალოდ კურირებს ამ ორი კომპანიის მიერ მიცემულ დავალებებს, არის მათი საქმიანობის გარანტი და ბიზნესის ხელშემწყობი.**

**— რომ ამბობთ, თვალავაძე მფარველობს მონოპოლიასო, კონკრეტული ფაქტები გაქვთ? რომ გიჩივლონ, რით დაიცავთ თავს?**

– ფაქტების მეტი რა გვაქვს. სასამართლომდე მივიდეს საქმე და აუცილებლად მოწმეებითა და აუდიოჩანაწერებით წარვდგები და დავამტკიცებ ჩემს ყველა სიტყვას. მე ჰაერზე არ ვსაუბრობ.

**— რას აპირებთ?**

– თუ ხელისუფლება არ მიხედავს ამ კაცის საკითხს, ეს ყველაფერი გადაიზრდება მასობრივ აქციებში. არ მოვითმენთ იმ მაფიოზურ მიდგომებს რაც არსებობს ფარმაცევტულ ბაზართან მიმართებაში. ვაანონსებთ – დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში შევიკრიბებით სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად და ეს საკითხი გადავა ფართო მასშტაბებში. არ შეიძლება აშავებდნენ კონკრეტული ადამიანები და ჯოხი მოსახლეობაზე ტყდებოდეს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ის, სააგენტო, მაგრამ მომაკვდავი ადამიანების ხარჯზე მილიონების მშოვნელებს პასუხი დღემდე არავისგან არ მოთხოვნია.

**— რომ ამბობთ, თვალავაძე მფარველობს მონოპოლიასო, კონკრეტული ფაქტები გაქვთ? რომ გიჩივლონ, რით დაიცავთ თავს?**

– ფაქტების მეტი რა გვაქვს. სასამართლომდე მივიდეს საქმე და აუცილებლად მოწმეებითა და აუდიოჩანაწერებით წარვდგები და დავამტკიცებ ჩემს ყველა სიტყვას. მე ჰაერზე არ ვსაუბრობ.

**— რას აპირებთ?**

– თუ ხელისუფლება არ მიხედავს ამ კაცის საკითხს, ეს ყველაფერი გადაიზრდება მასობრივ აქციებში. არ მოვითმენთ იმ მაფიოზურ მიდგომებს რაც არსებობს ფარმაცევტულ ბაზართან მიმართებაში. ვაანონსებთ – დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში შევიკრიბებით სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად და ეს საკითხი გადავა ფართო მასშტაბებში. არ შეიძლება აშავებდნენ კონკრეტული ადამიანები და ჯოხი მოსახლეობაზე ტყდებოდეს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ის, რაც საფთიაქო ბაზარზე ხდება, „ნაციონალური მოძრაობის“ მერ დანატოვარი კუდების წყალობით ხდება.

ამავდროულად მივმართავთ ახალ გენერალურ პროკურატურას, დაინტერესდეს ამ საკითხით. ეს არის პოლიტიკური მანიპულირების საგანი და ეს უნდა მოისპოს.

გიორგი მუხიგულაშვილთან საუბრის შემდეგ, „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ უფროსს, გია თვალავაძეს დავუკავშირდით და ზემოაღნიშნულის საქმის კურსში ჩავაყენეთ:

„ყველაზე კორექტულად, ამ ბრალდებებს შეიძლება სრული სისულელე და უაზრობა ვუწოდოთ. წესით, რა შეფასებასაც იმსახურებს, ვერ ვაკადრებ საზოგადოებას“, – გვითხრა გია თვალავაძემ.



# სოსო ცინცაძე: თუ ოკუპაციაზეა საუბარი, რა მნიშვნელობა აქვს 20 წლის წინ წაგვართვეს ტერიტორიები თუ 100 წლის წინ?

**ბრიუსელში გამართულ „ნატოს“ სამიტსა და რუსეთ-თურქეთს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაზე, პოლიტიკური ექსპერტი, სოსო ცინცაძე საუბრობს:**

– ბატონო სოსო, ქართული მხარე კიდევ ერთხელ დარჩა პირში ჩალა გამოვლებული, საქართველოს „ნატოს" კარები კიდევ ერთხელ მიუხურეს და მონტენეგროსავით იღბლიანი არ აღმოჩნდა. თქვენი აზრით, ყველაზე მეტად ხომ არ თამაშობს აქ რუსეთის ფაქტორი და ჩვენ მუდმივად საზღაპრეთში ხომ არ გვამყოფებენ?

– რუსეთის ფაქტორი აქ რასაკვირველია გარკვეულ როლს ასრულებს, მაგრამ არა მგონია გადამწყვეტს. მონტენეგრო ისე მიიღეს, რომ რუსეთისკენ არც გაუხედავთ. აქ სხვა მომენტია: როგორც ჩანს, „ნატოში" საქართველოში მიმდინარე პროცესებით მაინცდამაინც აღფრთოვანებულები არ არიან.

საქართველოს „ნატოში" შესვლას ხელს უშლის ის, რომ ჩვენ არ ვაკმაყოფილებთ იმ მოთხოვნებს რაც მათ გააჩნიათ. დაწყებული ასფალტის დაგებიდან დამთავრებული სასამართლოს დამოუკიდებლობით. ამავე დროს, ძალიან ბევრი გაუმართლებელი საბიუჯეტო თანხების ხარჯვაა. ამიტომ, მთელი რიგი თაიგულია საყვედურებისა და ძალიან ბევრი მომენტია.

მიუხედავად იმისა, რომ ხიდაშელი აპოკალიპსს ჰპირდებოდა ბრიუსელს, თუკი საქართველოს „ნატოში" არ მიიღებდნენ, არადა, პრაქტიკულად, ელემენტარულად შემოიფარგლნენ იმით, რომ რამდენიმე სტრიქონი ჩაინერა საქართველოზე.

– როგორ შეაფასებთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს პარიზის სამიტის შემდეგ, სადაც მთავარი თემა გლობალური დათბობის პრობლემა, რუსეთ-თურქეთს შორის არსებულმა კონფლიქტმა გადაფარა? რა ცვლილებებს შეიძლება ველოდოთ უახლოეს მომავალში?

– მე არა მგონია, რომ ეს ჩვენზე რაიმე სერიოზულად აისახოს. იმიტომ, რომ წინა მინისტრებთან შედარებით დღევანდელი ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი ნორმალურად იქცევა. საქართველოს პოზიცია არა მგონია რაიმე გამაღიზიანებელ ფაქტორად იქცეს. არ ველოდები, რომ რამე სერიოზული მოხდება.

– ამ ბოლო დღეებში საკმაოდ აქტუალური კითხვა გაჩნდა: რუსეთ-თურქეთს შორის სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში, ვის უნდა დაუჭიროს მხარი საქართველომ? საზოგადოების დიდი ნაწილის არგუმენტები იმდენად სუსტი და გამაღიზიანებელია, შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ჩვენ ან ისტორიული მეხსიერება გვღალატობს ან ჩვენს ცნობიერებას ბინდი გადაეფარა და მოვლენათა ობიექტური შეფასების განცდაც გაგვიქრა...

– ჩემი კომენტარი ისაა, რომ ესაა სრული იდიოტიზმი... რასაკვირველია, რუსეთი ოკუპანტია და ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, მაგრამ მე მიჩნდება კითხვა: თურქეთს არ აქვს ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული? თურქეთი არ არის ოკუპანტი? თუ ჩვენს პოლიტიკოსებს მხოლოდ 20-წლიანი მეხსიერება აქვთ? თუ ოკუპაციაზეა ლაპარაკი, რა მნიშვნელობა აქვს 20 წლის წინ წაგვართვეს ტერიტორიები თუ 100 წლის წინ? ამიტომ, ყველაზე სწორი იქნებოდა არ ჩავერიოთ ამ ორი, არც თუ ძალიან განსხვავებული თავისი ფასეულობებითა და ღირებულებებით, ჩვენი გიგანტი მეზობლის დავაში.

ჩვენი პოზიცია არავის არ ინტერესებს და როდესაც შენ იცი, რომ შენი პოზიცია აბსოლუტურად არავის აინტერესებს და არავითარი შენთვის დადებითი, გარდა უარყოფითი შედეგისა არ მოყვება, მაშინ რაიმე სახის ჩარევა სიბრიყვეა!

(ივერიონი)



# „მეორედ მოსვლა — „სიჯიუტის კოეფიციენტი და წარსული ბოღმა

დაბრუნდება თუ არა ბიძინა ივანიშვილი აქტიურ პოლიტიკაში და რა ფორმით? – ამ კითხვის საპასუხოდ ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი ამბობს, რომ ივანიშვილს კულისებიდან მართვა მობეზრდა. მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ექსპრემიერის აქტიური მონაწილეობის შესახებ განცხადება უმრავლესობის დეპუტატმა და ვიცესპიკერმა ზვიად ძიძიგურმა გააკეთა.

„უპრიანია დაისვას კითხვა, რატომ გადაწყვიტა მან, სახელისუფლებო შტოს სათავეში დაბრუნება. მე მგონი, მობეზრდა ადამიანს, ყალბ ვითარებაში არსებობა და კულისებს მიღმა სივრციდან ქართული ხელისუფლების მართვა. ძირითადი მოტივაცია მისი გადადგომისა იყო სურვილი მოფარებოდა აქტიურ პოლიტიკას და ის, რაც გასაკეთებელი იყო, მათ შორის, ბევრი თემა, რომელიც ნაკლებად პოპულარული იყო საზოგადოებისთვის, მან პირადად აიცილა თავიდან დიდი უკმაყოფილება, მაგრამ სახეზეა საწინააღმდეგო შედეგი. „ნაციონალური მოძრაობის“ წყალობით, მისი სახელი, გვარი, წარმომავლობა, ხედვა, მიკუთვნება, აღარ ყოფილა რაიმე მეორეხარისხოვანი თემის ნაწილი. ძალიან ხშირად ახსენებდნენ ოპოზიციონერები მის არსებობას საქვეყნოდ. ბოლოს და ბოლოს ბუნებრივი ნაბიჯია, როდესაც ადამიანი ხვდება წარუმატებლობას, მის მიერ შექმნილი პოლიტიკური ძალის. იმასაც კარგად აცნობიერებს ალბათ, რომ არც ერთ გამოკითხვაში ორხელისუფლებიანობის პრეტენზიის მქონე „ნაციონალებს“ და „მეოცნებეებს“, 50 პროცენტიც კი არ მოუგროვებიათ სამომავლო პარლამენტისთვის. ისიც ფაქტია, რომ თითქოს ევროკავშირთან და ნატოსკენ ჩვენი გზა შედარებით შეფერხდა. პარლამენტიც არ არის უმაღლესი ხელისუფლების ორგანო. თუ იგი კვლავ დაიწყებს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას და აღაზევებს საქართველოს, როგორც პარლამენტალურ სახელმწიფოს, მაშინ ცხადია მის ხელში იქნება ბევრად მეტი ბერკეტი, ვიდრე ეს გააჩნია დღევანდელ პარლამენტის თავკაცს. რა მოხდება, არ არის ძნელად პროგნოზირებადი, იმიტომ რომ ჩვენ განვლილი წლების განმავლობაში, სრულიად მკაფიოდ ჩამოვყალიბდით, შეფასებებისას რა არის უნარი ბატონი ბიძინასი, რა არის მიუნვდომლობა, რა არის მისი სიჯიუტის კოეფიციენტი. რატომ ვერ თავისუფლდება წარსული ბოღმებისგან. მისი ხასიათი უკეთ შეიცნო ჩვენმა საზოგადოებამაც და პოლიტიკურმა სპექტრმაც. „ოცნებამ“ და მისმა ნამსხვრევებმა უნდა იფიქროს, მოიძიოს მომავალ პარლამენტში არა ერთი პოლიტიკური ჯგუფი ახალი პოლიტიკური კოალიციის შესაქმნელად, რადგან დღევანდელი კონფიგურაცია არც „ნაციმოძრაობის“ და არც „ქართული ოცნების“, ქართველი ამომრჩევლებისთვის საიმედო არ არის. წინასწარი პროგნოზი ხმის მიცემის ამ პოლიტიკოსებისთვის, ბუნებაში არ არსებობს", – განაცხადა ცისკარიშვილმა. (პირველი რადიო)

# მურუსიძის ციხეში გაშვება ნებისმიერ წუთს შეიძლებაო, „ოცნება“ და აბა, მიდი, გაუშვი, თუ მაგარი ხარ? აა, არ გაწყობს, გჭირდება მონა მოსამართლეები, არა?!

ლევან მურუსიძეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვადა 2016 წლის აპრილში გასდის. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ახლა სააპელაციო სასამართლოში უვადოდ დანიშვნაზე ოცნებობს და არ არის გამორიცხული, ოცნება რეალობად ექცეს. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტს, არ დაუშვას ლევან მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნა, რადგან, კოტე კუბლაშვილის მარჯვენა ხელის, ლევან მურუსიძის უკლებლივ ყველა გადაწყვეტილება სტრასბურგის სასამართლოს მიერ ნეგატიურად შეფასდა.

იურისტი ლევან ალაფიშვილი ამბობს, რომ მოსამართლის უვადოდ გამწესება კანონით გათვალისწინებული განაწესია, რომელიც რიგ ქვეყანაში მუშაობს, რიგ ქვეყნებში – არ მუშაობს.

– იმის გათვალისწინებით, რომ მართლმსაჯულება ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შტოა, კანონისთვის და დემოკრატიული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა კანდიდატი აკმაყოფილებდეს კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. სხვა საკითხია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს გადაწყვეტილების მიმღები, – ამბობს ლევან ალაფიშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივაა, ხოლო საბჭო დამოუკიდებელი ორგანოა, რომლის გადაწყვეტილებებში ვერავინ ჩაერევა. ლევან მურუსიძის სააპელაციო სასამართლოში უვადოდ შესაძლო დანიშვნას, დეპუტატი თამარ კორძაია კანონში ჩაწერილი კრიტერიუმების თემით ხსნის და ამბობს, რომ მოსამართლეობის კანდიდატთან დაკავშირებით კანონში მათ შორის პიროვნულ რეპუტაციასა და წარსულ გამოცდილებაზეც არის საუბარი.

– ვიღაცას შეიძლება კონკრეტულ მოსამართლესთან დაკავშირებით კონკრეტული პოზიცია ჰქონდეს, მაგრამ საქართველოს პარლამენტი მსგავსი განცხადებებით მოტივირებული ვერ იქნება. მთავარია, კანონში გაწერილი რთული კრიტერიუმები, სადაც, სხვათა შორის, პიროვნულ რეპუტაციაზე და წარსულ გამოცდილებაზეც არის საუბარი.

როცა ამ მიმართულებით ვმსჯელობდით, დიახ, ეს კრიტერიუმები იყო გათვალისწინებული. მე არ მინდა, ვინმემ ჩათვალოს, რომ დღეს არის ხელისუფლება, რომელიც შურისძიებით აღვსილია წინა ხელისუფლების მიერ დანიშნული პირების მიმართ. მე არ მინდა შევეხოთ რომელიმე ადამიანის წარსულს კონკრეტული მტკიცებულებების გარეშე, – აცხადებს თამარ კორძაია.

დეპუტატი, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი შალვა შავგულიძე, რომელიც შსს-ს მაღალჩინოსნების მიერ მოკლული სანდრო გირგვლიანის ადვოკატი გახლდათ, აცხადებს, რომ სწორედ მურუსიძე იყო სანდრო გირგვლიანის საქმის ის მოსამართლე, რომელმაც დაზარალებული მხარის საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, ხოლო მსჯავრდადებულებს სასჯელი თითო წლით შეუმცირა.

– ლევან მურუსიძე არის უზენაესი სასამართლოს პალატის ერთ-ერთი მოსამართლე, რომელმაც გირგვლიანის ცნობილ საქმეზე ჩვენი საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა. ეს ის გადაწყვეტილებაა, რაზეც შემდეგ, სულ ცოტა ხანში, ევროპულმა სასამართლომ თქვა, რომ აღშფოთებულია, როგორ ცდილობდა საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლო სხვა სახელისუფლებო შტოებთან ერთად, ამ საზარელი დანაშაულის საქმეზე მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო, – აცხადებს შავგულიძე.

მისი თქმით, თუ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ცდილობს, მოსამართლე, რომლის საქმიანობას ევროპული სასამართლო ასეთ მკაცრ და ნეგატიურ შეფასებას აძლევს, უვადოდ განაწესოს სამოსამართლეო უფლებამოსილებით, ნათელია, რა უნდა „ქართულ ოცნებას“.

– სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ აგრძელებს „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე უარყოფით და ნეგატიურ ტრადიციებს. იმედი მაქვს, ლევან მურუსიძის შესაძლო უვადო გამწესებას სააპელაციო სასამართლოში, საზოგადოების მხრიდან ჯანსაღი რეაქცია მოჰყვება, – ამბობს შალვა შავგულიძე.

საერთაშორისო სამართლის ექსპერტი ლია მუხაშავრია მიიჩნევს, რომ მურუსიძის სააპელაციო სასამართლოში გამწესება ხელისუფლების მაღალ ეშელონებში შეთანხმებული საკითხია. მისი თქმით, ახლა ყველა ზომას მიმართავს ხელისუფლება, რომ ამ უხერხულობიდან თავი დაიძვრინოს.

– ასე ცუდად გახმაურებული მოსამართლე, როგორიც მურუსიძეა, ნაკლებად ვიცით. ხელისუფლებას მურისიძე სჭირდება, რადგან ამ მოსამართლეს იმდენად აქვს რეპუტაცია შელახული, რომ ნებისმიერ წუთს შეიძლება მურუსიძის ციხეში გაშვება. თაგვივით გამოჭერილია, მზად არის, ხელისუფლების ნებისმიერი დაკვეთა შეასრულოს, – აცხადებს ლია მუხაშავრია. (for.ge)

**რა მაგარ რამეს ამბობს თამარ კორძაია — „მე არ მინდა შევეხოთ რომელიმე ადამიანის წარსულს კონკრეტული მტკიცებულებების გარეშე“...**

**კონკრეტული მტკიცებულებები ვისზეც გქონდათ, ისინი ხომ რას ამბობთ, მიეცით პასუხისგებაში და აღადგინეთ სამართლიანობა.**

**თუმცა სადღაც კიდეც გვესმის ხელისუფლების — მონა მოსამართლეები აშკარად დაგჭირდებათ, რათა მერე თქვენი „გაიმასქნებული“ საქმეები „აპრავოთ“, დაყრდნობა შეძლოთ ვინმეზე...**

# ისე, დარწმუნებული ვარ, „შუსუსუ“ ფეხებს გაფშეკს და კატეგორიულად უარყოფს, რა ტოტალური კონტროლი, რის პოლიციური სახელმწიფო, მოქალაქეების უსაფრთხოებაზე ფიქრში ვათენ-ვაღამებთ



– საქართველოში ფარული პატრულირების შემოღება იგეგმება, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა შსს-ში განაცხადა.

– მნიშვნელოვანი სიახლე იქნება ასევე საქართველოსთვის პოლიციის შესაძლებლობის გაძლიერება და ფარული პატრულირების შემოღება, რაც გულისხმობს, რომ პოლიციის მანქანები ამოსაცნობი ნიშნების გარეშე, მაგალითად, მიკროავტობუსის ფორმით, წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით იმოძრავებენ, ავტომატურად, რეალურ დროში დააფიქსირებენ დარღვევებს და მძღოლთან კონტაქტის გარეშე მოხდება დამრღვევი პირების გამოვლენა და დაჯარიმება ვიდეოჯარიმების რეჟიმში, – განაცხადა ხუციშვილმა.

მისივე თქმით, ასევე იგეგმება გადასატანი რადარების შემოღება.

– დღეს წინასწარ ცნობილია, სად დგას რადარი და მძღოლი ცდილობს, ფრთხილად იყოს. სხვადასხვა დროს ეს რადარები სხვადასხვა ადგილას იქნება განთავსებული და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორივე მექანიზმი, რომელიც სიახლეა, გააძლიერებს, ერთი მხრივ, პოლიციის შესაძლებლობებს, რომ გზა გააკონტროლოს და მეორე მხრივ, მძღოლებს გაუჩენს განცდას, რომ რეალურად კონტროლი ხორციელდება იქ, სადაც საპატრულო პოლიციის ციმციმები არ ჩანს, – განაცხადა ხუციშვილმა. (პირველი რადიო)

**ეს რა გამოდის, ბიძიაბაბუა, ნასვამმა კაცმა ბოძზე ვეღარ უნდა მიაფსას, ეგრევე პოლიციის შენიღბული მანქანის კამერა გამოიჭერს?**

**ისე, დარწმუნებული ვარ, „შუსუსუ“ ფეხებს გაფშეკს და კატეგორიულად უარყოფს, რა ტოტალური კონტროლი, რის პოლიციური სახელმწიფო, მოქალაქეების უსაფრთხოებაზე ფიქრში ვათენ-ვაღამებთ და ეს ამბავიც მაგისთვის მოვიფიქრეთო. მაშ, მტყუნის?!**

**ყოველ შემთხვევაში, შთაბეჭდილება ასეთი იქმნება, თან მარტო ერთ კაცში კი არა, აბსოლუტურ უმრავლესობაში და ხომ იცით, ორი რომ გეტყვის, ხუთი რომ გეტყვის და ასი რომ გეტყვის, „ფეჩი“ ხარო, ბოლი უნდა ამოუშვა.**

**მოკლედ, დედას გეფიცებით, თუ რამე გვქონდეს დასამალი და მოდით, თქვე კაი ხალხო, პირდაპირ გვკითხეთ, იქნებ გპასუხობთ, რა სიკვდილად გინდათ ეს ტოტალური თვალთვალი, ან რა ჯანდაბამ მოგაფიქრათ ეს კვერცხობა, ჰა?! გამოჭერაზე ხართ, მამაძაღლი?**

**ამ რადარების „მუღამიც“ ხომ სწორედ ის არის, რომ მძღოლმა იფხიზლოს, არ გამოიჭირონ და იმიტომაც ამცირებს ხოლმე სიჩქარეს. ახლა თქვენ თუ კუკუდამალობანა უნდა გვეთამაშოთ რადარებით, ეგ სხვა საქმეა — აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ და რამე, არა?**

**აი, ერთი ადამიანური მაგალითიც მინდა, მოგიყვანოთ — ამას წინათ 4 წლის შვილი გამიხდა ცუდად, საკმაოზე მეტად ცუდად. სასწრაფომ ვარკეთილიდან დიღომში წაიყვანა და მე კი მანქანით გადარეული დავედევნე უკან. დიღმის ხიდზე გამომიჭირა კამერამ და 50-ლარიანი ჯარიმაც გავირტყი, მაგრამ 500-ლარიანიც რომ ყოფილიყო, მაინც არ ვინერვიულებდი, რადგან იმ მომენტში მხოლოდ შვილზე ვფიქრობდი და მთავარია, ყველაფერი გადასარევად დამთავრდა. ახლა ნახეთ — მაშინ ეს თქვენი შენიღბული სულელური მანქანები რომ ყოფილიყო, კაი გემრიელ 5 ათას ლარსაც ხომ ჩამახუტებდით და ნორმალურია ახლა ეს? არა!**

**ურევთ მაგრად, რა, ბურდავთ და გულწრფელად გირჩევთ, აზრზე მოდით, გონს მოეგეთ, სანამ დროა!!!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## დედას 2 წლის შვილი ადულებული ბორშის ქვაბში ჩაუვარდა

ბათუმში 2 წლის ბიჭი დედას ადულებული ბორშის ქვაბში ჩაუვარდა, რის შედეგადაც პატარამ სხეულის 45-პროცენტიანი დამწვრობა მიიღო. მას მე-3 ხარისხის დამწვრობა აღენიშნება. ბავშვი ბათუმიდან თბილისში რეანიმობილით გადმოიყვანეს. იაშვილის სახელობის თერმული დაზიანებისა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის ხელმძღვანელის, გუგა ქაშიბაძის განცხადებით:

„როგორც პაციენტის დედა ამბობს, მან ბორში გააკეთა და იქვე, იატაკზე დადო. 2 წლის ბიჭი ჯერ ცხელ ქვაბს წამოედო, შემდეგ კი პირქვე – მდუღარეში ჩავარდა. პატარას გულ-მკერდი, ზედა და ქვედა კიდურები დაეწვა. თავდაპირველად ბავშვი ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც პირველადი დახმარება ჩაუტარდა და იმავე დღეს რეანიმობილით ჩვენს კლინიკაში ჩამოიყვანეს. პაციენტი უმძიმეს და შოკურ მდგომარეობაში მივიღეთ. ამჟამად პატარა მოთავსებულია რეანიმაციულ განყოფილებაში და შესაბამისი მკურნალობა უტარდება“, – აღნიშნა ქაშიბაძემ. როგორც ქაშიბაძემ განაცხადა, დამწვრობის ცენტრში ბოლო სამი თვის განმავლობაში, მშობლების გაუფრთხილებლობის შედეგად, 38 ბავშვი მოათავსეს. აღსანიშნავია, რომ ეს 38 პაციენტი მშობლებმა კლინიკაში დაგვიანებით მოათავსეს და ისინი პატარებს სახლში ექიმბაშების მალამოებით მკურნალობდნენ, რამაც ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა გააუარესა.

ქაშიბაძე მშობლებს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ დამწვრობის დროს მშობლებმა ექიმბაშების მიერ დამზადებული გაურკვეველი შემცველობის მალამო არ გამოიყენონ.

(kvira.ge)

## რუსეთის გენშტაბის რუკაზე ოკუპირებული აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაშია

რუსეთის გენერალური შტაბის წარმომადგენელთა ბრიფინგზე, რომელიც სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნებოდა, საქართველოს რუკა წარმოდგენილი იყო აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან ერთად. გენშტაბის მაღალჩინოსნებმა თურქეთის ხელისუფლება და პირადად, პრეზიდენტი ერდოღანი „ისლამური სახელმწიფოსგან“ ნავთობის შეძენაში დაადანაშაულა. აღნიშნულ ფაქტს სოციალური ქსელების მომხმარებელთა მხრიდან გამოხმაურება მოჰყვა, რომლებიც აცხადებენ, რომ ნაკლებად საავარაუდოა, რუსეთის გენერალურ შტაბს შეცდომა დაეშვა. მათი ვარაუდით, თურქეთთან ურთიერთობების გაფუჭების ფონზე, რომელსაც ოკუპირებულ აფხაზეთში საკმაოდ ძლიერი პოზიციები აქვს, რუსეთს სურს საქართველოს „გარკვეული გზავნილი“ გაუგზავნოს.

(kvira.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

# მამა ელიზბარი: „ვინმეს სადმე გინახავთ, რომ ბიძინა ივანიშვილს იმ იმედგაცრუებისთვის, რაც ხალხს მოუტანა, ვინმესთვის შენდობა ეთხოვოს და ეთქვას, შემეშალა, მაპატიეთ და კაცი არ ვიყო, თუ არ გამოვასწოროო... პირიქითაცაა, იხტიბარს არ იტეხს და ხალხს თვალში ნაცარს აყრის, იმაზე მეტი გავაკეთე, რაც დაგპირდით, ის გავაკეთეო... “

**რატომ დაგვიანდა პატრიარქის მუსულმან სასულიერო პირებთან შეხვედრა? რას უწოდებს და რატომ აღარ უნდა ენდოს მოსახლეობა ბიძინა ივანიშვილს?**

**„ალიას“ მამა ელიზბარი** (დიაკონიძე) ესაუბრა:

**— მამაო, ჩვენი პატრიარქი მუსლიმანთა სამმართველოს წარმომადგენლებს რომ შეხვდა, მოვისმინე, რომ მხოლოდ ტერორიზმის საფრთხეზე არ უსაუბრიათ და დანარჩენის გახმაურება არ უნდათ. ხომ არ იცით, რაზე ისაუბრეს?**

– ამას ვინ რატომ ამბობს არ ვიცი, საუბარი იყო, ძირითადად იმ თემებზე, რაც თითქმის ყველამ გავიგეთ ტელევიზორით. აქ მთავარი ისაა, რომ თვითონ შეხვედრა არ იყო დროული, ეს შეხვედრა დაგვიანებულიც კი გახლდათ. ეს შეხვედრა მანამ უნდა მომხდარიყო, სანამ ის ყველასთვის ცნობილი კადრები გავრცელდებოდა, მუქარის. ეს შეხვედრა მაშინაც უნდა მომხდარიყო, როდესაც აზიზიეს მეჩეთზე წავიდა საუბარი და სამცხე-ჯავახეთში რელიგიურ ნიადაგზე სისხლისღვრას გადავურჩით.

**— რატომ არ შედგა ეს შეხვედრა?**

**— ეს მოხდა იმ მიზეზებით, რა მიზეზებზეც ჩვენ ძალიან ხშირად გვაქვს საუბარი „ალია“-„ქრონიკასთან“, ანუ საპატრიარქოში ჩაბუდებული უნიათობის გამო. ახლა, იმიტომ შეხვდნენ, რომ დიდი კატასტროფის წინაშე დავდექით, ვინაიდან ხალხში არსებობდა დაძაბულობა და გარდაუვალი გახდა ეს შეხვედრა.**

**ეს საკითხი მეტ-ნაკლებად გაირკვა. იმაზე მინდა ვთქვა „ქართული ოცნების“ შიგნით რაც ხდება. როგორც მეუბნებიან დეპუტატები სადაცაა ერთმანეთს თავპირს დაამტვრევენ, ოღონდ სიებში ისევ მოხვდნენ. ხედავთ სადამდე მივიდნენ? ვერ ჰყოფნით ის, რასაც მიირთმევენ და ერთმანეთის მირთმევა დაიწყეს.**

მე ადრეც ვამბობდი და ჩემი პროგნოზი გამართლდა, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ „ის მოვიდეს“ და „ეს არ მოვიდესო“... როცა ვითომ ერის გულშემატკივრად მოგაქვს თავი და ამ დროს იწყებ ხალხის დახარისხებას – შენ გაჭმევ და შენ არ გაჭმევო, ეს უკვე დიდ მარაზმში გადადის. მან გაყიდა უკვე თავისი თავი, რომ არ სურდა ქვეყნის კეთილდღეობა. ამ პარლამენტარებს კი, რა თქმა უნდა, ისევ უნდათ პარლამენტში მოხვედრა, წარმოიდგინეთ, წურბელა დააჯდა კაცს კისერზე და სისხლს სწოვს, წურბელას რომ უთხრა, წადიო, წავა, თუ შენ ძალით არ მოიშორებ?!. ასე არიან ესენიც... იმდენად გაუტკბათ ხალხის ხარჯზე განცხრომაში ცხოვრება, არ არსებობს, ესენი თავისით წამსვლელები არ არიან, ესენი უნდა მოაგლიჯო და გადააგდო.

**— და ვინ უნდა გააკეთოს ეს?**

– ვის კისერზეც ზის, იმან... ჩვენ, ხალხმა, უნდა გავაკეთოთ ეს...

**— როგორ?**

**— არჩევნები რომ მოვა, ეგ ხალხი არ უნდა ავირჩიოთ. არ უნდა ავირჩიოთ კი არა, საერთოდ უნდა გამოვყაროთ ეს ხალხი პარლამენტიდან.**

იმ პარლამენტარებიდან, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ, სამი-ოთხი ჩემი უახლოესი მეგობარია, მათთვისაც მითქვამს, რომ ყველა დეპუტატი გამოსაყრელია პარლამენტიდან. ის სამი-ოთხი ადამიანი, ვისზეც მე ვლაპარაკობ, ზოგი მსახიობია და ზოგი მოჭიდავე, შეეშვან პარლამენტს და თავიანთი საქმიანობა გააგრძელონ, არ არის მათი საქმიანობა კანონმდებლობა. პარლამენტში კი უნდა შეიყვანო ისეთი ადამიანი, ვისაც ხალხის პრობლემები ძირეულად ესმის და ვიღაცის ნათქვამზე ბრმად არ გაივლის. ისეთი ადამიანები უნდა შეიყვანო, ვისაც მართლა სტკივა ეს ქვეყანა და აქვს წარმოდგენა, როგორ გამოიყვანოს ქვეყანა ჩიხიდან.

ეს დღეები ექსპერტები საუბრობენ, ბიძინა ივანიშვილი უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაშიო და ზვიად ძიძიგურმა დღეს დაადასტურა, რომ ბრუნდება. ამ ადამიანის დაბრუნება არაფერ კარგს არ მოგვიტანს, ქვეყანა არ არის ეკლესია, სადაც ადამიანი თუ ერთხელ შეცდება, მოინანიებს და შევა თავიდან. მეორე კიდევ,

**ვინმეს სადმე გინახავთ, რომ ბიძინა ივანიშვილს იმ იმედგაცრუებისთვის, რაც ხალხს მოუტანა, ვინმესთვის შენდობა ეთხოვოს და ეთქვას, შემეშალა, მაპატიეთ და კაცი არ ვიყო, თუ არ გამოვასწოროო... პირიქითაცაა, იხტიბარს არ იტეხს და ხალხს თვალში ნაცარს აყრის, იმაზე მეტი გავაკეთე, რაც დაგპირდით, ის გავაკეთეო...**

**ბიძინა ივანიშვილი ჩვეულებრივი ქარაქუცა იმერელია და იმერულ ქარაქუცობას მე ვინმე მასწავლის, ზემო იმერელი ვარ... აი, რასაც ეძახიან ქარაქუცას, ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს ეს ადამიანი. მე პატივს ვცემ მის შემართებას, თავდადებას საკუთარი ოჯახის მიმართ, მაგრამ ქვეყანამ რა დააშავა?.. წურბელები დაგვასხა თავზე და თვითონ შუშის სასახლიდან უცქერის, როგორ წვალობს და ჯახირობს ხალხი. მისი პოლიტიკაში გაბრწყინება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური პიარი იქნება. ხალხისთვის სატყუარა, ჩვეულებრივი სანახაობა, ამ ადამიანმა არ იცის პოლიტიკა, არ იცის ქვეყნის მართვა და სამწუხარო ის არის, რომ მთელი ამ სამი წლის განმავლობაში სურვილიც კი ვერ ვნახე, რომ მას ეს შეესწავლა. ამიტომ, დარწმუნებულები ვარ, რომ თუ ხალხი ისევ ენდო, იგივე და უარეს დღეში აღმოვჩნდებით შემდეგი 4 წლის განმავლობაში.**

სხვათა შორის, ხალხს ახლა ისეთი დიდი დოზით ნაცრის შეყრა არ დასჭირდება, იმიტომ, რომ გაჭირვებისგან მხედველობა ისედაც უჭირს და შეიძლება ენდოს ისევ. გურიაში დადის ასეთი ანეკდოტი: ავტოავარია მოხდა და ქმარი გაიტანა მანქანამ. გარდაცვალების შემდეგ ამ კაცს თვალებს ვერ უხურავენ და ცოლი დასტირის, – მაი თვალები მაშინ გამოგეჭყიტა, მანქანა რომ გარტყამდა, ახლა რო ჭყიტავო... ამაზე კარგი შედარება ქართველ ხალხსა და ბიძინა ივანიშვილთან მიმართებაში, არ არსებობს... ხალხს რომ ვეუბნებოდი, დაუკვირდით, ვის ირჩევთ-თქო, გაეგონათ მაშინ და არ დაჭირდებოდათ ახლა თვალების ჭყეტა. მაშინ გაეხილათ თვალები, „რესპუბლიკელებს“ რომ ირჩევდნენ...

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა უსინდისოდ ტყუის

„დევნილთა პარტია“ აფხაზეთის მთავრობას აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ნაცვლად მოსახლეობაზე ზრუნვისა, აფხაზეთის მთავრობა 13 მილიონიან ბიუჯეტს არამიზნობრივად ხარჯავს:

„აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა უსინდისოდ ტყუის როდესაც საუბრობს სამინისტროების გაუქმების ხარჯზე თანხების გამოთავისუფლებაზე და ამ თანხების სამედიცინო და სოციალური პრობლემების მიმართვაზე, აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი მხოლოდ 1.431 ლარითაა გაზრდილი ბოლო სამი წლის განმავლობაში. ხოლო აფხაზეთის მთავრობის ხარჯი გაზრდილია 104,403 ლარით. 415 ათასი ლარის ნაცვლად გამოთავისუფლებულია 622 ათასი ლარი და მიმართულია სწორედ რომ ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდისა და ხელმძღვანელი პირების ხელფასებისკენ. რაც შეეხება სამინისტროების გაუქმებას, ამ სტრუქტურებს მხოლოდ სახელწოდებები შეეცვალა. ზემო აფხაზეთის მინისტრის აპარატს დაერქვა ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობა, რეგიონალური მართვის მინისტრის აპარატს – წარმომადგენლობები დასავლეთსა და აღმოსავლეთში. განსაკუთრებულ დავალებათა მინისტრის აპარატის ბაზაზე კი შეიქმნა ნდობის აღდგენისა და შერიგების სამინისტრო, რომელზეც, სამწუხაროდ, მთავრობის თავმჯდომარემ ერთი კრინტიც არ დაძრა, მაგრამ რაც

მთავარია, თავი კარგად მოიწონა განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების არაფრის მომცემი და სამარცხვინო პროექტებით. მთავრობის თავმჯდომარემ საზოგადოებას დაუმალა და ვირტუალურად კარგად შეფუთა, როგორ ახდენს მთავრობის სტრუქტურების ოპტიმიზაციას, რის შესახებაც საქართველოს ხელისუფლების სათანადო წარმომადგენლებმა ძალიან კარგად იციან, არადა რეალური რეფორმების საფუძველზე აფხაზეთის მთავრობის ბიუჯეტი ნახევარ წელიწადში 150 ბინით დააკმაყოფილებდა დევნილებს... დღევანდელ აფხაზეთის მთავრობას ერთი დიდი კლანური მაფია დაეპატრონა.

მთავრობის თქმით, ისინი კარგად არიან „ჩახედულები“ დევნილი მოსახლეობის პრობლემებში და მათი „მოგვარების“ გზებში, თუმცა თავიანთ 13-მილიონიან ბიუჯეტს ღომს, სულგუნსა და ტყემლის წვენს ახმარენ, წვენს, რომელშიც, თავმჯდომარის თქმით, თავადვე იხარშებიან“, – ნათქვამია პარტიის ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

# ღადაობა არ იქნება, მარგველაშვილმა მიშასთვის მოქალაქეობის გაუქმების მოთხოვნასაც ვეტო დაადოს?

საქართველოს მესამე პრეზიდენტს, ამჟამად ოდესის ოლქის გუბერნატორს, მიხეილ სააკაშვილს მოქალაქეობა, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში შეუწყდება.

მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის გაუქმების მოთხოვნით დოკუმენტაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დღეს შევიდა.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი აცხადებს, რომ მარგველაშვილი გადაწყვეტილებას კანონმდებლობის შესაბამისად მიიღებს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციას მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის რეკომენდაციით იუსტიციის სამინისტრომ მიმართა.

„ნაციონალურ მოძრაობაში" მიაჩნიათ, რომ ექსპრეზიდენტისთვის მოქალაქეობის შეწყვეტა რუსეთის ინტერესებში შედის.

განსხვავებულია უმრავლესობისა და „თავისუფალი დემოკრატების" პოზიცია. დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტა კანონით გათვალისწინებული ვალდებულებაა.

იურისტების განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილს მოქალაქეობას შეუწყვეტს, მას გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ექნება. (რეპორტიორი)

**ისეთ ქვეყანაში გვიწევს ცხოვრება და ისეთები ხდება ჩვენ გარშემო, ნამდვილად არ გაგვიკვირდება, რომ ადგეს გიორგი მარგველაშვილი და ბიძინა ივანიშვილის გასამწარებლად სააკაშვილს მოქალაქეობა ჩამოართვას კი არა, მრჩევლად დაინიშნოს.**

**აბა, ჩამოვყაროთ, რის მრჩევლად შეიძლება დაინიშნოს მარგველაშვილმა სააკაშვილი?**

**მაგალითად, ურჩევს ხოლმე — ძუძუზე კბენა სჯობს თუ ყურის ბიბილოზე? ბოტოქსი უფრო ხარისხიანია თუ სილიკონი?**

**ან ვთქვათ, იმაზეც მისცემს რჩევას, ტაილანდურ მასაჟს კბენითი მასაჟები რომ „მილიონ ტრისტაჯერ" ჯობია, ქინძი ვიყო!**

**ჰო, არც ის იქნებოდა ურიგო რჩევა, დამფრთხალი მიწაზე გართხმისას რა კუთხით უნდა დაეცეს, რომ ჭაჭები არ დაიზიანოს.**

**პრემიერის გალახვაზე რჩევის მიცემაც, ალბათ, ნორმალური იქნებოდა, მაგრამ ახლა ხომ აღარ მიუწვდება ხელი ამჟამინდელ პრეზიდენტს მთავრობის მეთაურზე და ნუ, ეს გავატაროთ...**

**მოკლედ, ვნახოთ, როგორ იქნება საქმე და დანარჩენი მერე გავაგრძელოთ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ვიწყებ აქციას! „მეარყარსაშში" — მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მძღოლების პროტესტი მთავრობის ინიციატივის წინააღმდეგ

მთავრობის ახალ ინიციატივას – 2016 წლიდან მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვას, უკვე ბევრი უკმაყოფილო ადამიანი გამოეხმაურა. მართალია, იუმორისტ ნიკა ქავთარაძეს მარჯვენასაჭიანი ავტომობილი უკვე ჰყავს, რომელსაც ახალი რეგულაცია არ შეეხება, მაგრამ მან ამ თემასთან დაკავშირებით „ფეისბუკში" სტატუსი გამოაქვეყნა და სოციალური კამპანიაც წამოიწყო:

– ვიწყებ აქციას!

ვისაც გყავთ მარჯვენასაჭიანი მანქანები, გადაიღეთ მსგავსი ფოტოები და ატვირთეთ „ფეისბუკზე" ჰეშტეგით №მეარვარაშიში,

**P.S.** დათაგეთ მეგობრებიც, რომლებსაც ჰყავთ მარჯვენასაჭიანი მანქანები, – წერს ნიკა ქავთარაძე „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე, რომელსაც უკვე ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თამაზაშვილი ელისაშვილს სასამართლოში უჩივის

საქართველოს პარლამენტის წევრი ალექსანდრე თამაზაშვილი საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის, ალექსანდრე ელისაშვილის ბრალდებას პასუხობს და აღნიშნავს, რომ ელისაშვილი პოპულისტია.

– მეუბნებიან, რომ შევეშვა და ყურადღება არ მივაქციო ამ ყოველივეს, რადგან ყველამ იცის, როგორი პოპულისტი, ინტრიგანია ელისაშვილი და მისი არავის არ სჯერა. მეც კი ვიცი, ვინაა და რას წარმოადგენს, მაგრამ არ ვაპირებ, „გავატარო"

ამ მართლაც და ინტრიგანის თავხედური ბრალდებები, ვინაიდან შესაძლებელია, ვინმეს კიდევ სჯეროდეს ვითომ და ხალხზე მზრუნველი „დამოუკიდებელი" დეპუტატის!

ის, რომ ელისაშვილი ინტრიგანი, მატყუარა და ჩვეულებრივი, დაქირავებული პოპულისტია, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება.

ფაქტია: მან ვერ გამოაქვეყნა ის ფოტო თუ ვიდეომასალა, სადაც, მისი მტკიცებით, მე „ვაკაჩავებ" ბინის გარეშე დარჩენილ მოსახლეობას. ვერც გამოაქვეყნებდა, რადგან ბუნებაში არ არსებობს მსგავსი ფაქტი.

გასაგებია, რომ კვლავ მოიტყუა პოპულისტმა ელისაშვილმა, მაგრამ კიდევ უფრო ნათელი რომ გახდეს საზოგადოებისთვის ეს ცილისმწამებელი ისტორია, ვთხოვ ბატონ ელისაშვილს დაასახელოს წელი, თვე, რიცხვი და ადგილი სადაც მოხდა აღნიშნული „დანაშაული". რა თქმა უნდა, ამასაც ვერ შეძლებთ, ბატონო ალეკო და საბოლოოდ დაინახავს საზოგადოება თქვენს რეალურ სახეს!

**P.S.** სარჩელი მზადდება... – აღნიშნავს თამაზაშვილი.

საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა, ალექსანდრე ელისაშვილმა განაცხადა, რომ ალექსანდრე თამაზაშვილის ხელმძღვანელობით ერთ-ერთი კორპუსიდან 12 ოჯახი სახლდება. როგორც ელისაშვილმა აღნიშნა, მას ამის დამამტკიცებელი ფოტოც აქვს და უახლოეს პერიოდში გამოაქვეყნებს. (რეპორტიორი)

**ვაახ, ბატონო ალეკო, თუ ასეთი ფოტო მართლა გაქვთ, მოგვეცით, უზარმაზარი სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ, ეგეთ რამეებზე „ალია" არასოდეს „ზადნავს"! თუ თქვენ რამე გაბრკოლებთ, ჩუმად მაინც გადმოგვეცით და მერე ჩვენ ვიცით!**

## „მარიხუანის მოხმარების სრული დეკრიმინალიზაციის შემთხვევაში, ხვალვე ყველა მარიხუანის მოწევას დაიწყებს"

დეპუტატმა ვახტანგ ხმალაძემ პარლამენტში სტაჟიორებთან და პრაქტიკანტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მარიხუანის მოხმარების სრული დეკრიმინალიზაციის შემთხვევაში, ხვალვე ყველა მარიხუანის მოწევას დაიწყებს.

მისი თქმით, მარიხუანის მოხმარება სისხლის სამართლის დანაშაულად რჩება, მაგრამ თავისუფლების აღკვეთას აღარ ითვალისწინებს.

– ბევრია, ვინც ამბობს, რომ მარიხუანის მოხმარებისთვის შეიძლებოდა, სასჯელი საერთოდ არ ყოფილიყო, მაგრამ ჩვენი ხალხის ხასიათი რომ ვიცი, ხვალვე ყველა სტაცებს ხელს და მარიხუანის მოწევას დაიწყებს. რატომ? – მოდაშია! სიგარეტის მოწევას უმეტესობა რატომ იწყებს? ერთი იმიტომ – „აი, მე უკვე დიდი ვარ" და წამხედურობით. ქალები მოწევას უფრო გვიან იწყებდნენ და დღეს გოგოებმა, მგონი, ბიჭებს გადაასწრეს სიგარეტის მოწევის დაწყების სისწრაფეში. შემდგომ რატომღაც დანებებითაც კაცები უფრო ადრე ანებებენ თავს, ვიდრე ქალები. პირდაპირ შემიძლია, რაიონები დაგისახელოთ, რომელ რაიონებზეც მითხრეს, რომ ეს თუ არადასჯადი გახდება, ქუჩაში მარტო დაბოლილებს დაინახავო. დაგისახელოთ ეს რაიონები, თუ თქვენც იცით, რომელი რაიონებია?! სასჯელი რომ არსებობს, ეს არის პრევენცია იმისა – „არ ქნა, ბიჭო, თორემ ეს გელის". აი, ეს არის, – განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთი საბჭოთა პროპაგანდისტულ მეთოდს დაუბრუნდა — თურქეთის პრემიერი

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, აჰმედ დავუთოღლუმ კიდევ ერთხელ უარყო რუსეთის ხელისუფლების ბრალდება იმის შესახებ, რომ თურქეთი „ისლამურ სახელმწიფოსთან" ნავთობით ვაჭრობს და აღნიშნული განცხადება საბჭოთა კავშირისდროინდელ ცრუ პროპაგანდისტულ მანქანას შეადარა.

– რუსულ პრესაში გავრცელებული და რუსეთის ოფიციალური პირების მიერ გაჟღერებული განცხადებები მე პირადად ბავშვობას მაგონებს. „ცივი ომის" დროს არსებობდა საბჭოთა პროპაგანდა. ყოველდღე ისინი ახალ ტყუილს იგონებდნენ, რომლისაც თავად სჯეროდათ და ფიქრობდნენ, რომ მთელ მსოფლიოს აჯერებდნენ, – განაცხადა დავუთოღლუმ. (ნიუპოსტი)

## „თალიბანის" ლიდერი მულა მანსური დაჭრილია

ავღანეთის ხელისუფლების მტკიცებით, რადიკალური მოძრაობა „თალიბანის" ლიდერი მულა მანსური მძიმედ არის დაჭრილი. ამის შესახებ ინფორმაციას „ბიბისი" ავრცელებს.

გამოცემის თანახმად, მულა მანსური პაკისტანის ქალაქ ქვეტაში, საველე მეთაურების შეხვედრაზე დაიჭრა. შეხვედრაზე თალიბების ხელმძღვანელებს შორის შელაპარაკება მოხდა, რომელიც შეიარაღებულ დაპირისპირებაში გაიზარდა. დაჭრილი ლიდერი საავადმყოფოში გადაიყვანეს. უცნობია, გადარჩა თუ არა მანსური.

მულა ახთარ მანსური „თალიბანის" ლიდერად 29 ივლისს მას შემდეგ დაინიშნა, რაც ყოფილი ლიდერის მოლა ომარის გარდაცვალება ოფიციალურად დადასტურდა. (ნიუპოსტი)

## კალიფორნიის თავდასხმაში მონაწილე ორივე პირი ლიკვიდირებულია

კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ბერნარდინოში მომხდარ თავდასხმაში ეჭვმიტანილი ორი პირი ლიკვიდირებულია.

„ფოქს ნიუსის" ინფორმაციით, ქალაქის პოლიციამ უკვე დაადასტურა, რომ ორივე ლიკვიდირებული პირი შეიარაღებული იყო. პოლიციის შერიფის განცხადებით, დამნაშავეები იდენტიფიცირებულები არიან. შენობაში უმისამართო ცეცხლი 28 წლის სიედ ფარუკმა და 27 წლის ტაშფინ მალიკმა გახსნეს.

შეგახსენებთ, კალიფორნიაში, ქალაქ სან ბერნარდინოში ცენტრალურ პარკთან ახლოს ორგანიზაცია **Inland Regional Center**-ში მომხდარ სროლას 14 ადამიანი ემსხვერპლა, 17 კი დაიჭრა.

გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელები შენობაში შეიჭრნენ და ცეცხლსასროლი იარაღით უმისამართოდ ისროდნენ. თავდასხმის მსხვერპლი **Inland Regional Center** არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობს. თავდასხმის მოტივი უცნობია. (ნიუპოსტი)

## აბანოთუბანში მეჩეთი გაქურდეს

თბილისში, აბანოთუბანში მეჩეთი გაქურდეს. გავრცელებული ინფორმაციით, მეჩეთში მისულ მრევლს კარი დილით გატეხილი დახვდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მომხდარ ფაქტს ადასტურებს. სამინისტროში აცხადებენ, რომ საქმე ქურდობაზე, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით არის აღძრული და საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. შინაგან საქმეთა სამინისტროში მომხდარის შესახებ სხვა დეტალებზე არ საუბრობენ. (ინტერპრესნიუსი)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. მდინარე აჭარაში
2. მსახიობი მედეა ...
3. რუსი მეცნიერი მიხეილ ...
4. თვით-ნასწავლი მხატვარი ნიკო ...
5. კურორტი ზუგდიდის რაიონში
6. ძვ. ბერძენი ფილოსო-ფოსი
7. ქართ. მინერა-ლური წყალი
8. ნიშნავს ჩირქო-ვანს
9. ქალაქი კახეთში
10. მსახიობი უაინონა ...
11. ქიმიური ელემენტი
12. ინდური კაბა
13. მსახიობი ჯულია ...
14. ხორბლის შეჭამანდი
15. ... მურომეცი
16. პოპკორნი
17. გემის კიდე
18. ნახტომი: ...-მორტალე
19. ძვ. რომაული სამოსი
20. დასა-კერებელი ნვრილი მძივი
21. ბოსტ-ნეული
22. წიაღი-სეული
23. იაპონური თეატრი
24. სოფელი ოზურ-გეთის რაიონში
25. ტროპი-კული ნაყოფი
26. თინეი-ჯერი
27. „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ პერსონაჟი
28. მტაცებელი ფრინველი
29. „ომი და მშვი-დობა“ ნატაშა ...
30. მზის სისტემის პლანეტა
31. მხატვარი კლოდ ...
32. სახელმ-წიფო აზიაში
33. დედა-მიწის მიზიდუ-ლობა
34. ნადუღის სანელე-ბელი
35. ვიოლინოს ჯოხი
36. მზის სისტემის პლანეტა
37. რუსული ხალხური სიმღერა-ნი საკრავი
38. მდინარე ჭიათურა-ში
39. ტბა დუშეთის რაიონში
40. შენობა. გამოფენ-ილია ექსპო-ნატები
41. ნარ-კოტიკული ნივთი-ერება
42. ავსტრიის დედაქა-ლაქი
43. დი-ზაინერი ... კარდენი
44. სახის მოძრავი ნაწილი
45. ნაკურთხი წყალი
46. ნამუსი
47. რას უწნდება კარიესი
48. პურის სოკო
49. ქიმიური ელემენტი
50. ყვანწალა, ანუ ...
51. კერა-მიკის ფილა კედელზე
52. ჯუზეპე ვერდის ოპერა
53. სოფელი რაჭაში
54. სპორტ. შეჯიბრე-ბის დასაწყისი
55. მე-ვიოლინე ვანესა ...
56. ბეთ-ჰოვენი. „... სონატა“
57. მომ-ღერალი ... ბადურაშ-ვილი
58. იაპონური თაიგული
59. მსახიობი მონიკა ...
60. მომ-ღერალი ... სოხაძე
61. მწერალი არტურ კონან ...
62. ზამბახი
63. ფან-ჯიკიძე. „... პატიოსანი“
64. ... კუზანოვი
65. ცხენის კისრის ბალანი
66. მომ-ღერალი ... კუტუნიო
67. „... ჭკუისა-გან“
68. ივლისის ხალხური საბელ-წოდება
69. მხ/ფ „... მნვანე ველი“
70. თონის გრძელი პური
71. ბარდი ვლადიმერ ...
72. ბიჭუნა ჰიუგოს მოთხრო-ბაში
73. ფუტკრების სახლი
74. ამბორი
75. სემი, ქამი და ...
76. მხატვარი ... გურული
77. „... მიუნჰა-უზენის თავგადა-სავალი“
78. მისი დედაქა-ლაქია ბაკო
79. კანფეტი ბავშვის ენაზე
80. ხარებთან ბრძოლა
81. მსახიობი ... ბეგაშვილი
82. სუბტრო-პიკული ნე
83. მო-კრიფე ... ჰოლი-ფილდი
84. კომ-პოზიტორი ... პაულსი
85. ყაიმი
86. სიმე-ბიანი ინსტრუ-მენტი
87. საკონ-ცერტო დარბაზი თბილისში
88. მსახიობი ... იოჰანსონი
89. ერთ-ერ-თი ... ამერ. ქვეყნებში
90. მეტიჩარა
91. რე-ჟისორი ... ჰოვარდი
92. მომ-ღერალი ... მჟავია
93. ერთნა-ხადი არაყი
94. ბოსტნის მავნე-ბელი
95. იტალიელი კომპო-ზიტორი
96. ზღვა საბერძ-ნეთთან
97. ვიწრო გზა ტყეში
98. მსახიობი მიკი ...
99. მხ/ფ „... რობინ-ზონი“
100. მსახიობი ... ჰეპბერნი
101. სვენ ... ერიქსონი
102. სიმაღლის მიხედვით დგომა
103. მისი დედაქა-ლაქია ლონდონი
104. ევერეს-ტი, ანუ ...
105. ზევსის მერიქიფე
106. ქალაქი საფრან-გეთში
107. შეხლუ-დული კვების რეჟიმი
108. მომ-ღერალი ... ჯონ ... ჯოვი
109. დიუმა. „დედო-ფალი ...“
110. მსახიობი ... გარსია
111. ლორის ცხვირი
112. „ჰამლეტი“ პერსონაჟი
113. სისხლის შემად-გენელი ნაწილი
114. მსახიობი ... გაბენი
115. ქართ. სუფრის ხელმძღ-ვანელი
116. მხ/ფ „... გზაზე“
117. რე-ჟისორი ... ბესონი
118. ფრანგი პოეტი შარლ ...
119. მათე-მატიკური უცნობი
120. ბამბის თხელი ქსოვილი
121. იტა-ლიური ფულის ერთეული
122. ისტო-რიული ქალაქი ინდოეთში
123. წყვილი ერთიანი ხარდში
124. მომ-ღერალი რობერ-ტინო ...
125. ელვის ... პრესლი
126. თურ-ქეთის დედაქა-ლაქი
127. პოლი-ტიკაში: ინდირა ...
128. წო-დება სამეფო კარზე
129. დიდი საჯარისო შენაერთი
130. კავ-შირშია ცხვირ-თან
131. ნორვეგიელი კომპოზიტორი ედვარდ ...
132. მსახიობი ... ვლადი
133. ურემი ... გადაბრუნ-დება
134. ფრინველი. გავრცე-ლებულია მექსიკაში
135. მატონი-ზირებელი სასმელი
136. მომ-ღერალი რაფაელა ...
137. ... დაიჭირავს სიკვდილ-სა
138. მხ/ფ „... კონგენი-ალურობა“
139. ... ცეცხლს შუა
140. დიდი ქვა
141. ლეონიძე. „... და ჩიკოტელა“
142. მსახ. ... ამირანა-შვილი
143. თავსამ-კაული
144. ქართ. ხალხური ზღაპარი
145. ბიოველი
146. ბუ-ნებრივი ლურჯი საღებავი
147. მი-მართვა ფრანგთა მეფისადმი

ანსიტენი: 1. ქოთოთი; 2. ჯადოსანი; 3. ფოთლიანი; 4. ფოთლებიანი; 5. ანანასი; 6. ფლამინგო; 7. ბოლოდროინდელი; 8. ბიო; 9. სიტყვიერი; 10. ნაიტლეი; 11. ფიფაქრა; 14. კოსმოსური; 15. ფილმი; 16. ბაზრიტონი; 17. ბოლოფილი; 18. სალტო; 19. ტოკა; 20. ბისკოტი; 21. ანანასი; 22. ფაფანი; 23. ნო; 24. ნაჩვენები; 25. ბინეარ; 26. ნიშნეული; 27. ეფერებული; 28. ძერა; 29. ოთახიფილი; 30. ბარბარა; 31. ბოლ; 32. ბარბარა; 33. ბინა; 34. ბარბარა; 35. ბინა; 36. ეკეთა; 37. ბალიშები; 38. ეფექტური; 39. ბაზრიფილი; 40. ნეშტეული; 41. ბაბინი; 42. ეფექტური; 43. ბინა; 44. ბარ; 45. ბარბარა; 46. ხიფლიანი; 47. ეფექტი; 48. ბინა; 49. ოფლი; 50. ბარბარა; 51. ეფექტური; 52. „ბარბალეს“; 53. ბინა; 54. ხმოვანი; 55. ეფ; 56. ბიფეთოვის; 57. ბინი; 58. ეკეთა; 59. ეფი; 60. ინა; 61. ფლიტა; 62. ოფლი; 63. ბარბარა; 64. ოფლი; 65. ფლიტა; 66. ეფექტური; 67. ბინ; 68. ბაბილონი; 69. ეფექტური; 70. ბინ; 71. ეფექტური; 72. ბიფეთოვის; 73. ეფექტური; 74. ბინ; 75. ბარბარა; 76. ეფექტური; 77. ბინ; 78. ბარბარა; 79. ეკეთა; 80. ეფექტური; 81. ბოფეთოვი; 82. ეფექტური; 83. ეფექტური; 84. ბარბიფლე; 85. ფლე; 86. ინფლიტი; 87. ფლიტარბინა; 88. ბაბილონი; 89. ეფი; 90. ბაბილონი; 91. ინა; 92. ბინ; 93. ბარბარა; 94. ინა; 95. ბაბილონი; 96. ბაბილონი; 97. ბინ; 98. ბარბარა; 99. ეფექტური; 100. ფლეა; 101. ბარბარა; 102. ეფექტური; 103. ბინ; 104. ბარბარა; 105. ეფექტური; 106. ბინ; 107. ეფექტური; 108. ბინ; 109. ბაბილონი; 110. ბინ; 111. ეფექტური; 112. ბიფეთოვი; 113. ბაბილონი; 114. ეფ; 115. ბინ; 116. ბინფლიტი; 117. ლეკა; 118. ბინფლიტი; 119. ფლეა; 120. ბინ; 121. ლიფა; 122. ბოა; 123. ინა; 124. ლეოპარდი; 125. ბარბარა; 126. ბინ; 127. ბაბილონი; 128. ეფექტური; 129. ბინ; 130. ბინ; 131. ბინ; 132. ინ; 133. ბინ; 134. ეფექტური; 135. ბინ; 136. ბინ; 137. ეფ; 138. ბინ; 139. ინ; 140. ლოფლი; 141. ბინ; 142. ინ; 143. ბინ; 144. ინ; 145. ინ; 146. ფლეა; 147. ბინ. ოფთხეფი: ეფექტური.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## სეულში „აეროფლოტის“ თვითმფრინავს მეხი დაეცა

რუსული ავიაკომპანია „აეროფლოტის“ თვითმფრინავს სამხრეთ კორეის დედაქალაქში დაშვებისას მეხი მოხვდა. ამის შესახებ სააგენტო „ტასი“ იუწყება. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. „მეხი მოსკოვიდან მიმავალ კომპანია „აეროფლოტის“ ლაინერ **A330**-ს მოხვდა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, ორი საათის შემდეგ თვითმფრინავი „შერემეტიევოს“ აეროპორტში განრიგის მიხედვით გაფრინდა“, – განუცხადა სააგენტოს სეულის აეროპორტის წარმომადგენელმა.

მისი ინფორმაციით, მსგავსი ინციდენტები ხშირად ხდება და თანამედროვე თვითმფრინავები მეხსაწინააღმდეგო სისტემებით არის აღჭურვილი. (kvira.ge)

## ივანიშვილი, გაიდამაკი და საფრანგეთის სასამართლო

„როგორც ჩანს ის დანაპირები, რომელიც მან 2012 წელს ჩამოარიგა, პირწმინდად შეასრულა – პენსიების გაზრდა 220 ლარამდე, იპოთეკარებისთვის სესხების ჩამოწერა, უფასო ფული, მილიარდი სოფლის მეურნეობაში, განახევრებული ტარიფები, 100 ქარხანა – ეს პირობები შეასრულა და ახლა უკვე, როგორც ჩანს, ბოლომდე აყვავება უნდა ქვეყნის“ – ასე ეხმაურება „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა ბიძინა ივანიშვილის აქტიურ პოლიტიკაში შესაძლო დაბრუნებას.

როგორც „ლეიბორისტებში“ ამბობენ, ივანიშვილი პოლიტიკურ იმუნიტეტს იქმნის, რომელიც საფრანგეთში მიმდინარე საქმეების გამოძიებიდან გამომდინარე სჭირდება:

„ის ცდილობს ერთგვარი პოლიტიკური იმუნიტეტი შეიქმნას იმ პროცესთან დაკავშირებით, რომელიც დაიწყო საფრანგეთში მის წინააღმდეგ. ვგულისხმობ იარაღით უკანონო ვაჭრობას „ანგოლა გეითსისი“ საქმეზე. მოგეხსენებათ, ამას წინათ გაიდამაკი ჩაბარდა ფრანგულ მართლმსაჯულებას და ინტენსიურად განახლდა ამ საქმის გამოძიება – ფულის გათეთრებისა და იარაღის უკანონო გაყიდვის საქმე, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ბიძინა ივანიშვილის ბანკი „რასიისკი კრედიტი“, ვფიქრობ, მას უნდა მოისხას პოლიტიკური ლიდერის მანტია და შეიქმნას პოლიტიკური იმუნიტეტი, რომ სამართლებრივი პროცესიდან დაიძვრინოს თავი. მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ეს მიზანი აქვს ბატონ ივანიშვილს“, – განაცხადა გიორგი გუგავამ. (პირველი რადიო)

# არც ერთი მძღოლის ხმა

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

3 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ახალი რეგულაციების პრეზენტაცია გაიმართა. ახალი წლის წინ ხელისუფლება არაერთ სიურპრიზს გვთავაზობს.

„სიურპრიზები“ კი ასეთია: 2016 წლის იანვრიდან ყველა კატეგორიის მართვის მოწმობას მიენიჭება 100 ქულა და პატრულის მიერ დაჯარიმების შემთხვევაში გარკვეული რაოდენობა დააკლდება. თუ ქულათა რაოდენობა ნულამდე ჩამოვა, მძღოლს მართვის მოწმობა გაუუქმდება და მოუწევს გამოცდის ხელახლა ჩაბარება.

შს მინისტრის მოადგილის, შალვა ხუციშვილის თქმით, ქულათა სისტემა გადახედვას საჭიროებს და მის საბოლოო ვარიანტზე საუბარი ჯერჯერობით არ შეუძლია. თუმცა, სანამ ქულა ნულამდე ჩამოვა, მანამდე მძღოლი მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას ქულების შემცირების თაობაზე და ასევე, მართვის მოწმობის გაუქმების თაობაზეც. მძღოლს მოწმობის გაუქმებიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეეძლება გამოცდის თავიდან ჩაბარებისა და მართვის მოწმობის აღება. „დაზარალებული“ პირი აბარებს ორივე გამოცდას, თეორიულსაც და პრაქტიკულსაც.

**(რა „ლაითად“ ამბობენ, გამოცდების ჩაბარება ორი თვის შემდეგ შეეძლებათო... გამოდის, ქულების განულებას ორთვიანი „ლიშენიაც“ ემატება. რატომ? გამოცდაში ფული იქნება გადასახდელი და თუ ადამიანი ტაქსაობს, ოჯახი ორი თვე მშიერიც უნდა ჰყავდეს და გაზის და დენის გარეშეც უნდა დარჩეს, იმიტომ, რომ შემოსავლის წყაროს უკეტავ. — რედ.).**

ვიდეოჯარიმები ქულების შემცირებაზე არ იმოქმედებს, ვიდეოკამერებით ხდება მანქანის იდენტიფიცირება და არა მძღოლის. დავუშვათ, მანქანა გაიტაცეს, ან ვიღაც სხვას გადავეცით მართვის უფლება და მოძრაობის წესები დაარღვია, ამ შემთხვევაში მხოლოდ დარღვევა ფიქსირდება და თანხაც აღინიშნება.

დაახლოებით რამდენ ჯარიმაზეა გათვლილი, რომ მძღოლს მართვის მოწმობა გაუუქმდეს?

შალვა ხუციშვილი: „როდესაც ჩვენ ადამიანს ვაძლევთ მართვის მოწმობას, მის მიმართ გვაქვს ნდობა, მაგრამ თუ იმდენჯერ დაარღვევს, რომ ეს ნდობა დადგება ეჭვქვეშ, მაშინ მოუწევს ხელახლა დაწყება. მაგალითად, თუ სასწრაფოს გზას არ დაუთმობ და დაეჯახები ისე, რომ მისი დანაშაული არ იქნება, შეიძლება ამან 70 ქულა დაგაკარგვინოს. აქ არ ვგულისხმობ საცობებს და იმ შემთხვევებს, როცა შენი ბრალი არ არის“.

სიახლე იქნება ისიც, რომ უახლოეს ხანში მართვის მოწმობის აღებისთვის საჭირო გამოცდის გავლა მოქალაქეებს ქალაქში, ავტომანქანების რეალურ მოძრაობაში მოუწევთ. ხუციშვილის განმარტებით, ეს არის საქართველოს ვალდებულება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე:

„ამაზე მიდის მუშაობა, რამდენიმე ვარიანტი განიხილება. მე არ შემიძლია გითხრათ ზუსტი დრო, მაგრამ ინტენსიურად ვმუშაობთ და ვცდილობთ, რომ მართვის მოწმობის ტესტის რეალურ მოძრაობაში გადატანა რაც შეიძლება მალე განხორციელდეს“.

მოკლედ, ძალიან კარგი რამე ყოფილა ასოცირების ხელშეკრულება, მალე იმასაც გვეტყვიან, მანქანაში როდის და რა დოზით უნდა ჩავრთოთ გათბობა ან ვენტილაცია. კი, მაგრამ ევროპამ თუ არ გვითხრა, ჩვენ თვითონ ვერ ვგრძნობთ, რომ ვინც დღეს მართვის მოწმობას უმაღლესი ქულებით იღებს, უმეტესობამ ტარება არ იცის?!

შემდეგი საკითხი: 2016 წლის პირველი მარტიდან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტი აიკრძალება. თუმცა უკვე რეგისტრირებული ავტომობილების არც გაყიდვას, არც ექსპლოატაციას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. შალვა ხუციშვილის განმარტებით, თუ თქვენს სახელზე დარეგისტრირებულია მარჯვენასაჭიანი ავტომობილი, არაფერი გზღუდავთ, პირველი მარტის შემდეგაც შეგიძლიათ გაყიდოთ, იზღუდება მხოლოდ შემოყვანილი მანქანის რეგისტრაცია“.

**პრეზენტაციამდე ერთი დღით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვისაც საჭე მარჯვნიდან მარცხნივ აქვს გადატანილი, უნდა ეყიდა სპეციალური „სტიკერი“, რომელზეც დაფიქსირებული იქნებოდა მონაცემები, ანუ „საჭე გადატანილია“. „სტიკერის“ ფასი უნდა ყოფილიყო 150 ლარი. მოსახლეობამ ვერ გაიგო და ერთგვარი გაღიზიანებაც კი გამოიწვია, მართლაც, რა შუაშია „სტიკერი“, ვის აინტერესებს, ჩემი მანქანის საჭე მარჯვნიდან მარცხნივაა გადატანილი თუ პირიქით? (ამ საკითხზე გუშინდელ მთავრობის სხდომაზე შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა განაცხადა, „გუშინ მედიით გაჟღერდა ინფორმაცია, რომ მარჯვენასაჭიან მანქანებზე დამატებითი გადასახადი წესდება ან იკრძალება მოძრაობა მარჯვენასაჭიანი ავტომანქანებით, რაც აბსოლუტურად ტყუილია. მსგავსი არაფერი იგეგმება. მფლობელებს, ვისაც გააჩნიათ უკვე რეგისტრირებული მარჯვენასაჭიანი ავტომანქანები ან ავტომანქანები გადატანილი საჭით, შეუძლიათ მთელი ცხოვრება გამოიყენონ ეს მანქანები, ჩვენ მათ არ ვეხებით. უბრალოდ იმ თარიღის შემდეგ, რაზეც დღეს ჩვენ შევთანხმდებით, მსგავსი მანქანების რეგისტრაცია აიკრძალება“ – რედ.)**

ვნახოთ, რა განმარტებას აკეთებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე „ალიასთან“: „თუ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების შემოყვანა აიკრძალება და ვიღაცამ მაინც შემოიყვანა, დავუშვათ, მას არ განუბაჟებენ, აძლევენ დროებით „სტიკერს“, ანუ უფლებას, რომ მიხედოს მანქანას, ან სხვა ქვეყანაში გაიყვანოს და გაყიდოს, ან საჭე გადაიტანოს 72 საათის განმავლობაში. 150 ლარი ღირდა სწორედ ეს „სტიკერი“, მაგრამ შემდეგ ჩასწორდა და ღირება 30 ლარი“.

ესე იგი, თუ ვინმე მაინც შეიძენს მარჯვენასაჭიან მანქანას შემოიყვანს, არ ჩამოერთმევა, მას 30-ლარიან „სტიკერს“ მისცემენ და 72 საათის განმავლობაში ვალდებულია, თავის ქონებას მიხედოს. თუ არ მიხედავს, ავტომობილი ჩამოერთმევა, დაჯარიმდება, წლიური ქულები შეუმცირდება და შეიძლება მართვის მოწმობის განულებასაც კი გამოჰკრას ხელი. ნახეთ, ყველაფერი როგორ მძივივითაა აკინძული, ბოლოს ყველაფერი მაინც ქულების შემცირებამდე მიდის და თანაც, კომპიუტერის იმედზე უნდა ვიყოთ, რომ არ აურევს.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი: საქართველოში საფუძველი ეყრება ფარული პატრულირების შემოღებას, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიციის მანქანები ამოსაცნობი ნიშნების გარეშე იმოძრავებენ და დააფიქსირებენ დარღვევებს. ეს მოხდება მძღოლთან კონტაქტის გარეშე, მათ არ ექნებათ გაჩერების და შენიშვნის მიცემის უფლება. დამრღვევი პირების გამოვლენა და დაჯარიმება განხორციელდება ვიდეოჯარიმების რეჟიმში. პრინციპში, ეს მოძრავი სათვალთვალო კამერებია, ანუ გადასატანი რადარები. ხუციშვილის თქმით, ვინაიდან დღეს წინასწარ ცნობილია, სად დგას რადარი და მძღოლი ცდილობს, ფრთხილად იყოს, ამ შემთხვევაში ყველგან გაფრთხილდება:

„სხვადასხვა დროს ეს რადარები სხვადასხვა ადგილას იქნება განთავსებული და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორივე მექანიზმი, რომელიც სიახლეა, გააძლიერებს, ერთი მხრივ, პოლიციის შესაძლებლობებს, რომ გზა გააკონტროლონ და მეორე მხრივ, მძღოლებს გაუჩენს განცდას, რომ რეალურად კონტროლი ხორციელდება იქ, სადაც საპატრულო პოლიციის ციმციმები არ ჩანს“.

**(ამას გინდა პატრულირება დაარქვით, გინდათ — ასინეთობა, ყველა ვარიანტში მაინც ფარული თვალთვალი გამოდის. დააყენეთ ქუჩებში დამატებითი სათვალთვალო კამერები და უთვალთვალეთ, რამდენიც გინდათ. რა გარანტია გვაქვს, რომ ერთ დღესაც, „ალიას“ რომელიმე ჟურნალისტი შსს-ზე რამე კრიტიკულს დაწერს და ამ მანქანებს „კუდზე“ არ დაასვამთ? ვიღაცა იტყვის, არც ეხლა გაჭირდებათო. მართალიც იქნება, მაგრამ თუ „გაუსკდათ“, მაგრა გაიჭედებიან, იმიტომ, რომ შსს-ს ოფიციალური თვალთვალის უფლება ჩამოერთვა. ამიტომ ჩნდება ეს ეჭვი. და კიდევ, თუ სწორად გვახსოვს, ფარული თვალთვალი, თქვენ რომ „პატრულირებას“ ეძახით, კანონით აკრძალულია, თუკი კონკრეტული პიროვნების მიმართ მამხილებელი მტკიცებულებები, ან საფუძვლიანი ეჭვი არ არსებობს. რა გამოდის, ამ კანონით ვინც საქართველოში მანქანით გადაადგილდება ეჭვმიტანილია? — რედ.)**

მეოთხე მნიშვნელოვანი საკითხი: სასწრაფოს, სახანძროსა და პოლიციის მანქანისთვის გზის არდათმობა, მართვის მოწმობის ჩამორთმევის ნაცვლად, 300-ლარიანი ჯარიმით შეიცვლება. შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩათვალეს, რომ მართვის

# „ქართულ ოცნებას“!

**ეს კი იმას ნიშნავს, მანქანებიდან გადმოსხედით მოტოციკლეტებზე და მოპედებზე, საცობები აღარ იქნებაო. ტაში! ჯერ ერთი, ქართველები ის ხალხი არ ვართ, მასობრივად მოტოციკლეტებით ვირბინოთ ჩინელებივით და მეორეც – ჯერ ჩინოვნიკებმა იარონ მოპედებით და ველოსიპადებით, როგორც ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრი, მარკ რუტე დადის სამსახურში და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ**

მოწმობის ჩამორთმევა ძალიან მკაცრი ღონისძიება იყო და მოგებაც მცირე. სჯობს, 300 ლარი შევიდეს ბიუჯეტში, ვიდრე ვიღაც „დარტყმული“ მართვის მოწმობის გარეშე დარჩეს და გარკვეული დროის შემდეგ ისევ დაიბრუნოს:

„მაგალითად, დღეისთვის ჩვენ გვაქვს მდგომარეობა, როდესაც სასწრაფოსთვის გზის არდათმობა მართვის მოწმობის ჩამორთმევით ისჯება, თუმცა ამის სტატისტიკა არის სავალალო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასწრაფოსთვის, სახანძროსთვის და პოლიციის მანქანისთვის გზის არდათმობა ამდენად მკაცრი არ უნდა იყოს, თუმცა ადმინისტრირება უნდა გამკაცრდეს“.

**ამიანებიც ფეხებზე გკიდიათ, ვისაც ოჯახის რჩენა იაფი, თუნდაც ძველი მანქანის ყიდვით აქვთ გადაწყვეტილი... განბაჟება კი არ უნდა გაამკაცრო, რეგისტრაციამდე „ტეხასმოტრი“ გაატარებინე და თუ ტექნიკურ ნორმებს აკმაყოფილებს გაანებე თავი, თუ არ აკმაყოფილებს, მიეცი გონივრული ვადა, რომ მანქანა შეაკეთოს და მერე დაურეგისტრირე. თუ ეს ცვლილებები მართლა ხალხის საკეთილდღეოდ გინდათ, ეს რთული მოსაფიქრებელია?**

**ხო, მოპედებს და ველოსიპედებს რაც შეეხება: ნებისმიერ ჩვენს ჩინოვნიკს რომ ჰკითხო, მისაბაძი ქვეყანაა თუ არა ჩვენთვის ნიდერლანდებიო, არც დაფიქრდება, ისე გეტყვის – კიო. ჰო და, როგორც ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრი, მარკ რუტე დადის სამსახურში ველოსიპედით, თქვენც ისე იარეთ და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ. – რედ).**

სანქციები იცვლება სიჩქარის გადაჭარბებაზეც: ნებადართულზე 40 კილომეტრ/საათის ფარგლებში სიჩქარის გადაჭარბება გამოიწვევს 50-ლარიან სანქციას, ხოლო 40 კილომეტრ/საათზე ზევით სიჩქარის გადაჭარბება უფრო მკაცრად დაისჯება. მნიშვნელოვანი სიახლეა, ასევე, ღერძულა ხაზის გადაკვეთისა და საპირისპირო ზოლში მოძრაობის დროსაც.

შალვა ხუციშვილი: „ალბათ, ბევრი შენიშნავდით, როდესაც თქვენ თქვენს ზოლში მოძრაობთ და ხედავთ, შუქნიშანზე გაჩერებულ ან საცობის შემთხვევაში, როგორ გადაკვეთს რომელიმე თავხედი მძღოლი და მოძრაობს პარალელურად საპირისპირო ზოლში იმისთვის, რომ გაასწროს ამ რიგს. ეს საკმაოდ დიდი პრობლემაა და ჩვენი ინფორმაციით, საცობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომწვევია. ამიტომ ამის მიმართაც გამკაცრდება და დამრღვევი 300-ლარიანი ჯარიმით დაისჯება“.

**(პატივცემულო შსს-ს მესვეურნო, საცობების დროს, „პაკ მინიმუმ“, ყველა გზაჯვარედინზე მოგიწევთ პატრულის დაყენება, რომ მოძრაობა მოაწესრიგოს და თუ რომელიღაც თავხედ საპირისპირო ზოლზე მაინც გადმოვიდა, დააჯარიმოთ კიდეც. ამხელა რესურსი გაქვთ პატრულში? — რედ).**

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც და გამოდის ინიციატივით, რომ ჩატარდეს საზოგადოებრივი კვლევა:

„შეიძლება, ერთი ადამიანი გავანაწყენოთ და 20-ის სიცოცხლე ვიხსნათ. ვფიქრობ, ამაზე შეიძლება საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩავატაროთ. ვკითხოთ მოსახლეობას, რა ურჩევნია. რაღაც ხარჯი შეიძლება გაწიოს ადამიანმა, რომელსაც არ აქვს კატალიზატორი, შეიძლება კომპანიებს ვთხოვოთ, რომ გააკეთონ განვადება, მაგრამ ეს სასწრაფოდ დასარეგულირებელია. ამის შემდეგ, ეტაპობრივად, ავტომანქანების დაზღვევა და სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება დაინერგება. ცვლილებები დროში გაიწერება. ვფიქრობ, ეს საკითხი ყველას აწუხებს. სიმსივნეებისა და სხვა დაავადებების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი არის გამონაბოლქვი“.

დიახ, არის ბევრი ავადმყოფობის გამომწვევი გამონაბოლქვი, მაგრამ აქ მთავარი უკატალიზატორო მანქანები კი არა, ათასობით ის ყვითელი ავტობუსი და სამარშრუტო ტაქსია, რომელთაც „უსირცხვილოდ“ გასდით ჭვარტლი და ამაზე არავინ ლაპარაკობს. ვინმე ერთხელ მაინც დაინტერესდა რა ხარისხის საწვავს ასხამენ? არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, ახალი ავტობუსები შემოგვყავს, თანაც ორსართულიანიო. კაი, ბატონებო, ორსართულიანი არ გვინდა, „ცალსართულიანები“ შემოიყვანეთ, მაგრამ სანამ შემოიყვანთ, გაზზე გადაიყვანეთ, საწვავზეც ხარჯებიც თვალისაცემად შემცირდება და ავტობუსებსაც გამონაბოლქვი არ ექნება.

**(თუ მართლა აინტერესებს პრემიერს გამონაბოლქვი და ხალხის ჯანმრთელობა და ბედი, მინისტრთა კაბინეტის და მას დაქვემდებარებული უწყებების მანქანები გადაიყვანოს ეკოლოგიურად სუფთა გაზზე, რომელსაც გამონაბოლქვი, პრაქტიკულად, არ აქვს და კერძო სტრუქტურებს ამით მაგალითი მისცეს. არა, არ შვრება ცოცხალი თავით... აი ეხლა რომ სააკაშვილის დრო იყოს, ამას ვინც წაიკითხავდა ხომ მოკვდებოდა სიცილით, რაებს უბრახუნებთ, მიშა ბენზინის წილშია და გიჟია გაზზე გადაიყვანოს, მერე ბიუჯეტის ფულს თავის ჯიბეში როგორღა გადაქაჩავსო... რა ვიცი, მართალია ვითომ, რომ ლაპარაკობენ, საწვავში „ნაცების“ „წილები“ „ოცნებამ“ გადაიფორმაო? რა ვიცი... — რედ).**

**(ხალხის ფულით ფუფუნებაში ცხოვრებამ როგორ მაგრად დაგაბრმავათ! ხალხი ვერ დაასაქმეთ და ის ადამიანებიც ფეხებზე გკიდიათ, ვისაც ოჯახის რჩენა იაფი, თუნდაც ძველი მანქანის ყიდვით აქვთ გადაწყვეტილი... განბაჟება კი არ უნდა გაამკაცრო, რეგისტრაციამდე „ტეხასმოტრი“ გაატარებინე და თუ ტექნიკურ ნორმებს აკმაყოფილებს გაანებე თავი, თუ არ აკმაყოფილებს, მიეცი გონივრული ვადა, რომ მანქანა შეაკეთოს და მერე დაურეგისტ-**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ივანიშვილი და „ოცნების“ პოლიტსაბჭო — რას განიხილავს მმართველი ელიტა

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, დღეს კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისში შესაძლოა პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართოს, რომელსაც, არ არის გამორიცხული, კოალიციის დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი დაესწროს. ინფორმაციის თანახმად, პოლიტსაბჭოს სხდომაზე ბოლო დღეებში „ქართული ოცნების“ ზოგიერთი ლიდერის და წევრის მიერ გაკეთებული სკანდალური განცხადებების შემდეგ კოალიციის სამომავლო სტარატეგია იქნება განხილული. საუბარია, რიმა ბერაძის, გუგული მაღრაძის და პაატა ზაქარეიშვილის განცხადებებზე. ამავე ინფორმაციის თანახმად, პოლიტსაბჭოზე შესაძლოა კიდევ ერთხელ იმსჯელონ საპარლამენტო არჩევნებზე კოალაციის სიასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, კოალიციის ბოლო პოლიტსაბჭოზე, რომელსაც ასევე ესწრებოდა ბიძინა ივანიშვილი, პარლამენტის წევრებს – სპორტსმენებს და მსახიობებს ღიად განუცხადეს, რომ ისინი მომავალ საპარლენტო სიაში აღარ იქნებიან. ინფორმაციის თანახმად, ამ სხდომაზე მომავალი საარჩევნო წლის სტრატეგიაზე და რეგიონებში „ქართული ოცნების“ და ზოგადად კოალიციის ახალი ოფისების გახსნაზე და რაიონული რგოლების ხელმძღვანელებზე იმსჯელებენ. (პირველი რადიო)

## გიორგი ფოფხაძე: საქართველოში მართვის მოწმობაზე ასი ქულა ყოფილა და საფრანგეთში სულ თორმეტი ქულაა

საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი, გიორგ ფოფხაძე შს სამინისტროს ახალ ინიციატივაზე, რის მიხედვითაც მძღოლებს ხშირი დარღვევების შედეგად მართვის მოწმობა ჩამოერთმევათ და გამოცდის ჩაბარება ხელახლა მოუწევთ, კომენტარს სოციალურ ქსელში აკეთებს:

„რას ერჩით, საქართველოში მართვის მოწმობაზე ასი ქულა ყოფილა და ამ საფრანგეთში სულ თორმეტი ქულაა და სამი წელია ქე ვარ მართვის მოწმობის გარეშე. თან ისე მალე თავდება ეს ქულები, თვალის დახამხამებას ვერ ასწრებ“, – წერს ფოფხაძე. (რეპორტიორი)

## „სრული კრეტინიზმია... მარტო მდიდრებს და ოლიგარქებს ექნებათ მანქანით გადაადგილების საშუალება“

„თავისფალი საქართველოს“ ლიდერისთვის გაუგებარია ის გადაწყვეტილებები, რომელის შსს-ს პრეზენტაციიდან გახდა ცნობილი. მართვის მოწმობის ჩამორთმევას ჯარიმების რაოდენობის მიხედვით და მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების აკრძალვას კახა კუკავა მოქალაქეებისთვის ზედმეტი პრობლემების შექმნად აფასებს და ამბობს, რომ თუ ამ ნაბიჯით ხელისუფლებას ქალაქის გადატვირთული მოძრაობის გათავისუფლება სურს, ეს „სრული კრეტინიზმია“. მისივე თქმით, მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვა გაჭირვებულ მოქალაქეებზე სერიოზულად აისახება:

„აბსოლუტურად გაუგებარია ამ ფორმით მძღოლებისთვის პრობლემის შექმნა იმიტომ, რომ მთელი რიგი ყველაზე უფრო გავრცელებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაში საერთოდ არ უკავშირდება მოძრაობის წესების არცოდნას და ტელეფონზე თუ ადამიანი ლაპარაკობს და მას აჯარიმებენ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას გამოცდა აქვს არასწორად ჩაბარებული. მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლება უშვებს სერიოზულ შეცდომებს და ამ ყველაფერს ერთდერთი შედეგი ექნება ის, რომ ჩვენს მოქალაქეებს შეექმნებათ ზედმეტი სირთულეები და ეს უკმაყოფილება ისევ მთავრობის წინააღმდეგ იქნება მიმართული. რაც შეეხება იმას, თუ ვინმე თვლის, რომ დედაქალაქში მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვის და კიდევ მართვის მონმობების ჩამორთმევის შედეგად მანქანების რაოდენობა შემცირდება და ეს იქნება საცობების პრობლემის გადაწყვეტის გზა, მანქანები ავკრძალოთ იმ მიზნით, რომ ქალაქში საგზაო მოძრაობა მოწესრიგდეს, ესაც სრული კრეტინიზმია. ამისთვის საჭიროა ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი გზების მშენებლობა ქალაქში, თბილისის განტვირთვა და რეგიონების განვითარება. ამას აკეთებს ყველა და არა ის, რომ ქალაქში მანქანები ავკრძალოთ, მაშინ ცხენებით ვიაროთ ისევ. ეს არის აბსოლუტურად არარაციონალური კამპანიური, საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სააკაშვილისთვის დამახასიათებელი, ერთჯერად გათვლებზე ორიენტირებული ღონისძიება. ეს არის არასერიოზული. დააჯარიმებ 5 ათას მძღოლს და თბილისის ქუჩები თავისუფალი გახდება? მარჯვენასაჭიანი ავტომობილები ჰყავს ჩვენი ქვეყნის ღარიბ მოქალაქეებს იმიტომ, რომ უფრო იაფი ჯდება. და საცობების განტვირთვა არ გულისხმობს იმას, რომ ღარიბებს ავუკრძალოთ ქუჩაში მოძრაობა და მარტო მდიდრებმა იმოძრაონ. ეს არის ანტიხალხური და ანტიდემოკრატიული მიდგომა. დემოკრატიულ და ნორმალურ ქვეყანაში მანქანა უნდა ჰყავდეს ყველას. ეს უნდა იყოს ამოცანა და ისე უნდა მოეწყოს ინფრასტრუქტურა, რომ მანქანებით ყველას შეეძლოს ქალაქში გადაადგილება. ან საზოგადოებრივი ტრანსპორტი განვითარდეს იმგვარად, რომ ადამიანებს არჩევანის საშუალება ჰქონდეთ. საკითხის გადაწყვეტა ამ ფორმით, რომ ისე გაძვირდეს მანქანები, რომ მარტო მდიდრებს და ოლიგარქებს ექნებათ მანქანით გადაადგილების საშუალება, ეს არის ამ პრობლემის არასამართლიანი გადაწყვეტა“, – განაცხადა კახა კუკავამ. (პირველი რადიო)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მოჭიდავე ზოგადად
2. პატარა ტანის ძაღლი
3. იალქანი
4. რეჟისორი მიხეილ ...
5. დოსტოევსკი. „ძმები ...
6. მსახიობი პიერ ...
7. ბერძნ. ანბანის პირველი ასო
8. დაბა თეთრიწყაროს რაიონში
9. ჩირქის გამომწვევი მიკრობი
10. სოფელი მარტვილის რაიონში
11. ზღაპრული ფრინველი
12. იაპონური თეატრი
13. რეჟისორი კლოდ ...
14. მუსიკ. ნაწარმოების ტემპი
15. „უდიპლომო სასიძო“ წეროძე
16. მონღოლი დიდებული
17. ბრედ პიტი ფილმში
18. პაკისტანის დედაქალაქი
19. მსახიობი ... მასტროიანი
20. აფროდიტეს საკრფო
21. პოეტი იოსებ ...
22. „ლვინის ქურდები“ კავსაძე
23. ...-კლარჯეთი
24. მათემატიკური უცხობი
25. ჰოლანდიელი მხატვარი
26. ბურღულეული
27. შიიტი და ...
28. გველის ხმიანობა
29. თეატრ „რომეოსის“ ხელმძღვანელი
30. პეტერბურგის არქიტექტორი
31. ინტერნეტით პირდაპირ ყურება
32. ალექსეი ტოლსტოის მოთხრობა
33. ბერძნ. ანბანის ბოლო ასო
34. „რომეო და ჯულიეტა“ პერსონაჟი
35. რუსი პოეტი მიხეილ ...
36. შემინული აივანი
37. მსახიობი ... ჰოფმანი
38. ქმრის და
39. მწერი
40. კლიპმეიკერი ... ფოცხიშვილი
41. მსახიობი მარლონ ...
42. ქიმიური ჭურჭელი
43. ... ხაიამი
44. ალამი
45. მახრჩობელა გველი
46. დროის საზომი ხელსაწყო
47. სიომარი ნადავლი
48. ინგლისური ლუდი
49. მისი დედაქალაქია თეირანი
50. მსახიობი ... მიურეი
51. მწერალი რევაზ ...
52. „ცელქვის მარცვალზე“
53. ორგანული გამხსნელი
54. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
55. ვაჟიშვილი
56. დიპლომატი ... ჩარკვიანი
57. გემის ეკიპაჟის მეთაური
58. საპნის ოპერა, ანუ ...
59. მსუბუქი
60. მსახიობი ტომი ... ჯონსი
61. რეჟისორი ... კუროსავა
62. ნივთიერება თამბაქოში
63. კომპოზიტორი სერგეი ...
64. მსახიობი მერაბ ...
65. ვულკანი ჰავაიზე
66. ფიზიკოსი. ცნობილია სიცარიელით
67. სასწორის ჯამი
68. მგალობელი ფრინველი
69. თამბაქოს მოსანევი ხელსაწყო
70. კოსმოდრომი ყაზახეთში
71. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
72. სამანიშვილების სიძე
73. არქიპელაგი გიგანტ. კუებით
74. ქალაქი რაჭაში
75. მიმართვა ინგლისელი ბაშაკაცისადმი
76. მსახ. ... ქავჟარაძე
77. სისხლისმწოველი მწერი
78. მსახიობი ... ჩხეიძე
79. მეზღაკრე ჰანს-ქრისტიან ...
80. ველური მსხალი
81. ყვავილი
82. „ნატვრის ხე“ ჭიაურელი
83. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
84. შტატი აშშ-ში
85. იაპონური არაყი
86. მსახიობი გეიდარ ...
87. სმენის ორგანო
88. ჯაჭვში ქალი ... ჰარი
89. რეჟისორი ... მურატოვა
90. ქალაქი აფხაზეთში
91. მწერალი მაქსიმ ...
92. გრძელი გოდორი
93. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
94. მეეტლის ადგილი ეტლზე
95. ზამთრის თვე
96. ჭუნების ბელადი
97. ბურატინოს მეგობარი ბიჭუნა
98. კაკაოიანი კანფეტი
98ა. ანტილოკას სახეობა
99. ნასესხები ფული
100. „... ფრანკის დღიური“
101. მწერალი ... კრისტი
102. მხ/ფ „... და მოედანი“
103. „კაკვ. ცაცრცის ხრე“ მოსამართლე
104. ... ფიტცჯერალდი
105. დეკორატიული ყვავილი
106. პროვინცია კანადაში
107. სამაგიდო თამაში
108. თავაშვებული ღრეობა
109. ძვლების დააგადება
110. იაპონური ალუბალი
111. სულხან-ორბელიანი
112. მდინარე აღმ. საქართ.
113. მანეთის მეასედი
114. ბოსტნეულის მწნილი
115. ცხენის რძის სასმელი
116. რაც ... გერგება, ... შეგერგება
117. ინდიელების ვარცხნილობა
118. ფირმა „...-პარი“
119. კურორტი ბულგარეთში
120. სითხის ან გაზის სადენი მილის საკეტი
121. ნაჭუჭიანი ნაყოფი
122. საკვაჭრო შენობა ძველად
123. ... მორჩილაძე
124. მცენარე კულინარიაში
125. მეჩეთის კომკი
126. მსახიობი ... არტმანე
127. პიპინიას შვილიშვილი
128. სახის ნაწილი
129. ქალაქი საფრანგეთში
130. გამის ხოტი
131. საოპერო პარტია
132. ქალაქი კახეთში
133. ნაბიჯი ბალეტში
134. „ბითლზ-ების“ მშობლიური ქალაქი
135. სპილენძარგის უცხრპლანეტელი
136. პორტუგალიის დედაქალაქი
137. მომღერალი ... სონაძე
138. ... ნასრედინი
139. „... დ ბერჟერაკი“
140. ქალაქი ფლორიდაზე
141. მისი დედაქალაქია რომი
142. შოკოლადი „...-გოლდი“

ანიმაციები: 1. ფალიაევი 2. ფეოდორ 3. აფეოკ 4. ალხაზოვიანი 5. კონდაურიანი 6. რიბადიანი 7. ალფა 8. ბენგალიანი 9. სმირნოვიანი 10. ბანდა 11. ფეიერკინი 12. ნო 13. დიკანიანი 14. თეკნიანი 15. კვიროსმაკარი 16. ნოინა 17. „ფრიკა“ 18. ია ალიანა 19. ბარხარიანი 20. ალფინი 21. ფოსტერ 22. ალიანი 23. ტაბ 24. ოკო 25. ბაბუ
ანიმაციები: 26. ვერონიკა 27. ნოსენკო 28. ხინინი 29. ალხაზოვანი 30. ოლიანი 31. „ალიანი“ 32. „ალიანი“; 33. ფენგი 34. ტრიბუნა 35. ბენგალიანი 36. ბენგალიანი 37. ფალიანი 38. ბენგალი 39. ფალიანი 40. ბანა 41. ბოლიანი 42. ალიანი 43. ფანა 44. ფოლა; 45. ბოა; 46. ხალიანი 47. ალიანი; 48. ალი; 49. ოლიანი 50. ბალი 51. ინგალიანი
52. ბოლეანი 53. ალეანი 54. ბოლი 55. ბენ; 56. ბენი 57. ეკალიანი 58. ოლიანი 59. ბრაზილია; 60. ბალი 61. „ალიანი“ 62. ალიანი 63. ბალი 64. ბალიანი 65. ბენგალიანი 66. ბოლიანი 67. ბალიანი 68. ბალიანი 69. ბალიანი 70. ბალეტიანი 71. ალიანი 72. ალალიანი 73. ალალიანი 74. ინა 75. ნენა; 76. ალიანი 77. ალიანი; 78. ბენგალი
79. ალბენგალი 80. ალიანი 81. ალიანი 82. ფენგალიანი 83. ბალ; 84. ალიანი 85. ბალ; 86. ფალიანი 87. ენინა; 88. ბალი 89. ენინა; 90. ბალ 91. ენინა; 92. ბალიანი 93. ბენ; 94. ალიანი; 95. ალიანი; 96. ალიანი 97. ალიანი; 98. ბალ; 99. ფალი; 100. ალ; 101. ალიანი 102. ბალიანი 103. ბენგალიანი 104. ალიანი; 105. ბენგალიანი
106. ბენგალიანი; 107. ალიანი; 108. ოლიანი 109. ბალიანი 110. ბალიანი 111. ალ; 112. ალ 113. ალ; 114. ალ; 115. ბენ; 116. ალ; 117. ალიანი; 118. ალ; 119. ბენ; 120. ალ; 121. ბენ; 122. ალ; 123. ალ; 124. ალ; 125. ბენ; 126. ბენ; 127. ალ; 128. ბენ; 129. ალ; 130. ალ; 131. ალ; 132. ალ; 133. ალ; 134. ალ; 135. ალ; 136. ალ; 137. ალ; 138. ბ; 139. ალ; 140. ბ; 141. ალ; 142. ალ; 143. ალ; 144. ალ; 145. ალ; 146. ალ; 147. ალ; 148. ალ; 149. ალ; 150. ალ; 151. ალ; 152. ალ; 153. ალ; 154. ალ; 155. ალ; 156. ალ; 157. ალ; 158. ალ; 159. ალ; 160. ალ; 161. ალ; 162. ალ; 163. ალ; 164. ალ; 165. ალ; 166. ალ; 167. ალ; 168. ალ; 169. ალ; 170. ალ; 171. ალ; 172. ალ; 173. ალ; 174. ალ; 175. ალ; 176. ალ; 177. ალ; 178. ალ; 179. ალ; 180. ალ; 181. ალ; 182. ალ; 183. ალ; 184. ალ; 185. ალ; 186. ალ; 187. ალ; 188. ალ; 189. ალ; 190. ალ; 191. ალ; 192. ალ; 193. ალ; 194. ალ; 195. ალ; 196. ალ; 197. ალ; 198. ალ; 199. ალ; 200. ალ; 201. ალ; 202. ალ; 203. ალ; 204. ალ; 205. ალ; 206. ალ; 207. ალ; 208. ალ; 209. ალ; 210. ალ; 211. ალ; 212. ალ; 213. ალ; 214. ალ; 215. ალ; 216. ალ; 217. ალ; 218. ალ; 219. ალ; 220. ალ; 221. ალ; 222. ალ; 223. ალ; 224. ალ; 225. ალ; 226. ალ; 227. ალ; 228. ალ; 229. ალ; 230. ალ; 231. ალ; 232. ალ; 233. ალ; 234. ალ; 235. ალ; 236. ალ; 237. ალ; 238. ალ; 239. ალ; 240. ალ; 241. ალ; 242. ალ; 243. ალ; 244. ალ; 245. ალ; 246. ალ; 247. ალ; 248. ალ; 249. ალ; 250. ალ; 251. ალ; 252. ალ; 253. ალ; 254. ალ; 255. ალ; 256. ალ; 257. ალ; 258. ალ; 259. ალ; 260. ალ; 261. ალ; 262. ალ; 263. ალ; 264. ალ; 265. ალ; 266. ალ; 267. ალ; 268. ალ; 269. ალ; 270. ალ; 271. ალ; 272. ალ; 273. ალ; 274. ალ; 275. ალ; 276. ალ; 277. ალ; 278. ალ; 279. ალ; 280. ალ; 281. ალ; 282. ალ; 283. ალ; 284. ალ; 285. ალ; 286. ალ; 287. ალ; 288. ალ; 289. ალ; 290. ალ; 291. ალ; 292. ალ; 293. ალ; 294. ალ; 295. ალ; 296. ალ; 297. ალ; 298. ალ; 299. ალ; 300. ალ; 301. ალ; 302. ალ; 303. ალ; 304. ალ; 305. ალ; 306. ალ; 307. ალ; 308. ალ; 309. ალ; 310. ალ; 311. ალ; 312. ალ; 313. ალ; 314. ალ; 315. ალ; 316. ალ; 317. ალ; 318. ალ; 319. ალ; 320. ალ; 321. ალ; 322. ალ; 323. ალ; 324. ალ; 325. ალ; 326. ალ; 327. ალ; 328. ალ; 329. ალ; 330. ალ; 331. ალ; 332. ალ; 333. ალ; 334. ალ; 335. ალ; 336. ალ; 337. ალ; 338. ალ; 339. ალ; 340. ალ; 341. ალ; 342. ალ; 343. ალ; 344. ალ; 345. ალ; 346. ალ; 347. ალ; 348. ალ; 349. ალ; 350. ალ; 351. ალ; 352. ალ; 353. ალ; 354. ალ; 355. ალ; 356. ალ; 357. ალ; 358. ალ; 359. ალ; 360. ალ; 361. ალ; 362. ალ; 363. ალ; 364. ალ; 365. ალ; 366. ალ; 367. ალ; 368. ალ; 369. ალ; 370. ალ; 371. ალ; 372. ალ; 373. ალ; 374. ალ; 375. ალ; 376. ალ; 377. ალ; 378. ალ; 379. ალ; 380. ალ; 381. ალ; 382. ალ; 383. ალ; 384. ალ; 385. ალ; 386. ალ; 387. ალ; 388. ალ; 389. ალ; 390. ალ; 391. ალ; 392. ალ; 393. ალ; 394. ალ; 395. ალ; 396. ალ; 397. ალ; 398. ალ; 399. ალ; 400. ალ; 401. ალ; 402. ალ; 403. ალ; 404. ალ; 405. ალ; 406. ალ; 407. ალ; 408. ალ; 409. ალ; 410. ალ; 411. ალ; 412. ალ; 413. ალ; 414. ალ; 415. ალ; 416. ალ; 417. ალ; 418. ალ; 419. ალ; 420. ალ; 421. ალ; 422. ალ; 423. ალ; 424. ალ; 425. ალ; 426. ალ; 427. ალ; 428. ალ; 429. ალ; 430. ალ; 431. ალ; 432. ალ; 433. ალ; 434. ალ; 435. ალ; 436. ალ; 437. ალ; 438. ალ; 439. ალ; 440. ალ; 441. ალ; 442. ალ; 443. ალ; 444. ალ; 445. ალ; 446. ალ; 447. ალ; 448. ალ; 449. ალ; 450. ალ; 451. ალ; 452. ალ; 453. ალ; 454. ალ; 455. ალ; 456. ალ; 457. ალ; 458. ალ; 459. ალ; 460. ალ; 461. ალ; 462. ალ; 463. ალ; 464. ალ; 465. ალ; 466. ალ; 467. ალ; 468. ალ; 469. ალ; 470. ალ; 471. ალ; 472. ალ; 473. ალ; 474. ალ; 475. ალ; 476. ალ; 477. ალ; 478. ალ; 479. ალ; 480. ალ; 481. ალ; 482. ალ; 483. ალ; 484. ალ; 485. ალ; 486. ალ; 487. ალ; 488. ალ; 489. ალ; 490. ალ; 491. ალ; 492. ალ; 493. ალ; 494. ალ; 495. ალ; 496. ალ; 497. ალ; 498. ალ; 499. ალ; 500. ალ; 501. ალ; 502. ალ; 503. ალ; 504. ალ; 505. ალ; 506. ალ; 507. ალ; 508. ალ; 509. ალ; 510. ალ; 511. ალ; 512. ალ; 513. ალ; 514. ალ; 515. ალ; 516. ალ; 517. ალ; 518. ალ; 519. ალ; 520. ალ; 521. ალ; 522. ალ; 523. ალ; 524. ალ; 525. ალ; 526. ალ; 527. ალ; 528. ალ; 529. ალ; 530. ალ; 531. ალ; 532. ალ; 533. ალ; 534. ალ; 535. ალ; 536. ალ; 537. ალ; 538. ალ; 539. ალ; 540. ალ; 541. ალ; 542. ალ; 543. ალ; 544. ალ; 545. ალ; 546. ალ; 547. ალ; 548. ალ; 549. ალ; 550. ალ; 551. ალ; 552. ალ; 553. ალ; 554. ალ; 555. ალ; 556. ალ; 557. ალ; 558. ალ; 559. ალ; 560. ალ; 561. ალ; 562. ალ; 563. ალ; 564. ალ; 565. ალ; 566. ალ; 567. ალ; 568. ალ; 569. ალ; 570. ალ; 571. ალ; 572. ალ; 573. ალ; 574. ალ; 575. ალ; 576. ალ; 577. ალ; 578. ალ; 579. ალ; 580. ალ; 581. ალ; 582. ალ; 583. ალ; 584. ალ; 585. ალ; 586. ალ; 587. ალ; 588. ალ; 589. ალ; 590. ალ; 591. ალ; 592. ალ; 593. ალ; 594. ალ; 595. ალ; 596. ალ; 597. ალ; 598. ალ; 599. ალ; 600. ალ; 601. ალ; 602. ალ; 603. ალ; 604. ალ; 605. ალ; 606. ალ; 607. ალ; 608. ალ; 609. ალ; 610. ალ; 611. ალ; 612. ალ; 613. ალ; 614. ალ; 615. ალ; 616. ალ; 617. ალ; 618. ალ; 619. ალ; 620. ალ; 621. ალ; 622. ალ; 623. ალ; 624. ალ; 625. ალ; 626. ალ; 627. ალ; 628. ალ; 629. ალ; 630. ალ; 631. ალ; 632. ალ; 633. ალ; 634. ალ; 635. ალ; 636. ალ; 637. ალ; 638. ალ; 639. ალ; 640. ალ; 641. ალ; 642. ალ; 643. ალ; 644. ალ; 645. ალ; 646. ალ; 647. ალ; 648. ალ; 649. ალ; 650. ალ; 651. ალ; 652. ალ; 653. ალ; 654. ალ; 655. ალ; 656. ალ; 657. ალ; 658. ალ; 659. ალ; 660. ალ; 661. ალ; 662. ალ; 663. ალ; 664. ალ; 665. ალ; 666. ალ; 667. ალ; 668. ალ; 669. ალ; 670. ალ; 671. ალ; 672. ალ; 673. ალ; 674. ალ; 675. ალ; 676. ალ; 677. ალ; 678. ალ; 679. ალ; 680. ალ; 681. ალ; 682. ალ; 683. ალ; 684. ალ; 685. ალ; 686. ალ; 687. ალ; 688. ალ; 689. ალ; 690. ალ; 691. ალ; 692. ალ; 693. ალ; 694. ალ; 695. ალ; 696. ალ; 697. ალ; 698. ალ; 699. ალ; 700. ალ; 701. ალ; 702. ალ; 703. ალ; 704. ალ; 705. ალ; 706. ალ; 707. ალ; 708. ალ; 709. ალ; 710. ალ; 711. ალ; 712. ალ; 713. ალ; 714. ალ; 715. ალ; 716. ალ; 717. ალ; 718. ალ; 719. ალ; 720. ალ; 721. ალ; 722. ალ; 723. ალ; 724. ალ; 725. ალ; 726. ალ; 727. ალ; 728. ალ; 729. ალ; 730. ალ; 731. ალ; 732. ალ; 733. ალ; 734. ალ; 735. ალ; 736. ალ; 737. ალ; 738. ალ; 739. ალ; 740. ალ; 741. ალ; 742. ალ; 743. ალ; 744. ალ; 745. ალ; 746. ალ; 747. ალ; 748. ალ; 749. ალ; 750. ალ; 751. ალ; 752. ალ; 753. ალ; 754. ალ; 755. ალ; 756. ალ; 757. ალ; 758. ალ; 759. ალ; 760. ალ; 761. ალ; 762. ალ; 763. ალ; 764. ალ; 765. ალ; 766. ალ; 767. ალ; 768. ალ; 769. ალ; 770. ალ; 771. ალ; 772. ალ; 773. ალ; 774. ალ; 775. ალ; 776. ალ; 777. ალ; 778. ალ; 779. ალ; 780. ალ; 781. ალ; 782. ალ; 783. ალ; 784. ალ; 785. ალ; 786. ალ; 787. ალ; 788. ალ; 789. ალ; 790. ალ; 791. ალ; 792. ალ; 793. ალ; 794. ალ; 795. ალ; 796. ალ; 797. ალ; 798. ალ; 799. ალ; 800. ალ; 801. ალ; 802. ალ; 803. ალ; 804. ალ; 805. ალ; 806. ალ; 807. ალ; 808. ალ; 809. ალ; 810. ალ; 811. ალ; 812. ალ; 813. ალ; 814. ალ; 815. ალ; 816. ალ; 817. ალ; 818. ალ; 819. ალ; 820. ალ; 821. ალ; 822. ალ; 823. ალ; 824. ალ; 825. ალ; 826. ალ; 827. ალ; 828. ალ; 829. ალ; 830. ალ; 831. ალ; 832. ალ; 833. ალ; 834. ალ; 835. ალ; 836. ალ; 837. ალ; 838. ალ; 839. ალ; 840. ალ; 841. ალ; 842. ალ; 843. ალ; 844. ალ; 845. ალ; 846. ალ; 847. ალ; 848. ალ; 849. ალ; 850. ალ; 851. ალ; 852. ალ; 853. ალ; 854. ალ; 855. ალ; 856. ალ; 857. ალ; 858. ალ; 859. ალ; 860. ალ; 861. ალ; 862. ალ; 863. ალ; 864. ალ; 865. ალ; 866. ალ; 867. ალ; 868. ალ; 869. ალ; 870. ალ; 871. ალ; 872. ალ; 873. ალ; 874. ალ; 875. ალ; 876. ალ; 877. ალ; 878. ალ; 879. ალ; 880. ალ; 881. ალ; 882. ალ; 883. ალ; 884. ალ; 885. ალ; 886. ალ; 887. ალ; 888. ალ; 889. ალ; 890. ალ; 891. ალ; 892. ალ; 893. ალ; 894. ალ; 895. ალ; 896. ალ; 897. ალ; 898. ალ; 899. ალ; 900. ალ; 901. ალ; 902. ალ; 903. ალ; 904. ალ; 905. ალ; 906. ალ; 907. ალ; 908. ალ; 909. ალ; 910. ალ; 911. ალ; 912. ალ; 913. ალ; 914. ალ; 915. ალ; 916. ალ; 917. ალ; 918. ალ; 919. ალ; 920. ალ; 921. ალ; 922. ალ; 923. ალ; 924. ალ; 925. ალ; 926. ალ; 927. ალ; 928. ალ; 929. ალ; 930. ალ; 931. ალ; 932. ალ; 933. ალ; 934. ალ; 935. ალ; 936. ალ; 937. ალ; 938. ალ; 939. ალ; 940. ალ; 941. ალ; 942. ალ; 943. ალ; 944. ალ; 945. ალ; 946. ალ; 947. ალ; 948. ალ; 949. ალ; 950. ალ; 951. �

## რატომ უნდა მიიღოთ ერთი კოვზი თაფლი ძილის წინ – მედიკოსების რჩევები

თაფლს ბუნებრივ ანტიბიოტიკს უწოდებენ. რაც უფრო ადრეული ასაკიდან დაიწყებს ადამიანი თაფლის რეგულარულ მიღებას, მით უფრო შეძლებს ჯანმრთელობის შენარჩუნებას და სიბერის დამარცხებას

თაფლის უნიკალური თვისებაში იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლია, არასრულფასოვანი კვებით გამოწვეული ხარვეზები შეავსოს ადამიანის ორგანიზმში.

თაფლი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ბუნებრივი პროდუქტია. მის შემადგენლობაში **B** (ტიამინი, რიბოფლავინი, პირიდოქსინი), **E**, **K**, C ვიტამინები, პროვიტამინი A – კაროტინი, პანტოტენის, ნიკოტინის, ფოლიუმის და ასკორბინის მჟავეებია. თაფლში 13-20 პროცენტი წყალია, 80 პროცენტზე მეტი ნახშირწყლები (გლუკოზა, ფრუქტოზა, საქაროზა, მალტოზა), 0,4 პროცენტი ცილა. იგი შეიცავს დიასტაზას (ამილაზა), კატალაზასა და ფოსფატაზას ფერმენტებს. ამასთანავე, თაფლი გამოდევნის ტოქსიკურ ნივთიერებებს ორგანიზმიდან.

მისი მიღებისას ორგანიზმი უფრო კარგად უმკლავდება სხვადასხვა ინფექციებს, იზრდება ორგანიზმის ტონუსი, შრომისუნარიანობა და ამტანობა. ის 25 პროცენტით ტკბილია შაქარზე, ორგანიზმისთვის ადვილად შეთვისებადი და ნახშირწყლების მარაგის აღსადგენად ყველაზე მისაღები პროდუქტია. შეიძლება ითქვას, რომ თაფლი ორგანიზმისთვის უნივერსალური დამცავი საშუალებაა.

თაფლს მრავალმხრივი სამკურნალო თვისება აქვს – ის ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის, ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მონესრიგებას, ფილტვებისა და სასუნთქი გზების ნორმალურ ფუნქციონირებას, ამაღლებს ჰემოგლობინს და ორგანიზმის იმუნურობას, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს. ადამიანის ორგანიზმისთვის სასარგებლო ნივთიერებების ეს საწყობი არა მარტო ჯანმრთელობის ხელშესაწყობად, არამედ სილამაზისთვისაც ფართოდ გამოიყენება. ეს ძვირფასი პროდუქტი სახის კანისთვის, ცელულიტების საწინააღმდეგოდ და დამამშვიდებელი აბაზანებისთვის საუკეთესოა.

გარდა ამისა, თაფლი თქვენი სხეულის ფორმებს დიეტის გარეშე შეამცირებს. დიეტოლოგები გვარწმუნებენ, რომ საკმარისია, ქალბატონებმა ძილის წინ ერთი კოვზი თაფლი მირთვან, მათი სხეული დიეტის გარეშე დაიწყებს ცხიმებისგან განთავისუფლებას.

***newposts.ge***



## რა კავშირი აქვს ქმრის სიმაღლეს ცოლის ბედნიერებასთან?

ალბათ, ხშირად შეგინიშნავთ, როგორ მკვეთრად უსვამენ ხაზს გოგონები თავიანთი მონონებული სუბიექტის სიმაღლეს. მაღალ მამაკაცს ქალისთვის თავის მოწონების გაცილებით დიდი შანსი აქვს.

სამხრეთ კორეელი კი ტე სონუ იკვლევდა, თუ რა კავშირი ჰქონდა ცოლის ბედნიერებას ქმრის სიმაღლესთან. შედეგად ორი დასკვნა მიიღო. პირველი ის, რომ ქალები, რომელთა ქმრებიც საგრძნობლად მაღლები არიან ცოლებზე, თავიდან ძალიან ბედნიერად გრძნობენ თავს. მეორე ის, რომ ეს ბედნიერება თითქმის სრულიად ქრება 18-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ.

სონუს კვლევაში ინდონეზიის მასშტაბით 7850 დაოჯახებული ქალი მონაწილეობდა. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ მაღალი მამაკაცისადმი მიზიდულობას ბიოლოგიური მიზეზები ჰქონდა (შეჯვარების შემდეგ უკეთესი შთამომავლობის გაზრდა).

„მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია, რომ ქალები მაღალ მამაკაცებს ანიჭებენ უპირატესობას, არც ერთი კვლევა არ იძლევა დასკვნას, რომ მაღალი კაცების ცოლები უფრო ბედნიერები არიან“, – აღნიშნა კვლევის ავტორმა.

2014 წელს, აშშ-ში ჩატარებული კვლევის თანახმად კი, 48.9 პროცენტი მაღალი მამაკაცების გაცნობას ანიჭებდა უპირატესობას.

თუ ბედნიერების ხარისხებს შორის სხვაობა არ არის, რა მნიშვნელობა აქვს, ქმარი ნახევარი თავით მაღალია, თუ ბავშვივით დაგყურებს ზევიდან. აი, კიდევ ერთი თავსატეხი ქალებზე.

***lenta.ru***



## მამაკაცი სწორი ნაწლავით... თვალების გადატანას ცდილობდა

რა შეიძლება მოიპარო ხორცპროდუქტების საწარმოდან, სადაც მუშაობ – ხორცი, ტყავი, საქონლის რქები, ბოლოს და ბოლოს, ჭურჭელი. როი ტილბოტი უფრო კრეატიული და წინდახედული აღმოჩნდა, საქონლის თვალები მოიპარა.

ერთ-ერთ საღამოს, როცა სამსახურიდან ბრუნდებოდა, პოლიციამ გააჩერა და ალკოტესტში ჩაბერვა სთხოვა. სავარძლიდან წამოდგომისას კი, როის შარვლიდან თვალები დაუცვივდა. თურმე „კონტრაბანდა“ უკანა ტანით გადაჰქონდა. პოლიციამ იფიქრა, არიქა, პოტენციური მკვლელი გვყავს ხელშიო, იარაღი მოიმარჯვა და ბორკილები დაადო. დაკითხვაზე მიყვანილი როის აღსარება კი ასეთი იყო: „ხორცის გადამამუშავებელ ქარხანაში ვმუშაობ. თანამშრომლებს უფლება არ გვაქვს, მორჩენილი ხორცი წავიღოთ. რაც არ სჭირდებათ, ყრიან. ეს ძალიან არაეკონომიური საქციელია, კომპანია საერთოდ არ ფიქრობს ადამიანებზე“. როი ტილბოტის მონათხრობით გაოგნებულმა პოლიციამ ერთი კითხვის დასმა ძლივს მოახერხა, რაში სჭირდებოდა მაინცდამაინც საქონლის თვალები. რატომ და საკვებში ვუმატებო, გარდა იმისა, რომ სადილი უფრო გემრიელი გამოდის, იმპოტენციასაც კურნავსო. უკანა ტანით გამოტანა კი ერთადერთი საშუალებაა, რომ დანაშაულზე არავინ დაგიჭიროსო.

პოლიცია ჯერაც არ მოსულა გონს და არ გადაუწყვეტია, დასდებენ თუ არა ბრალს როის ქურდობის გამო. ცნობისთვის, როის საქონლის თვალებთან ერთად ხორცის საჭრელი დანებიც გამოუყოლებია ხელისთვის.

***etotupo.ru***



## მსოფლიოში ყველაზე მარტოხელა მოსწავლეს საშობაო მისალოცი ბარათებს გაუგზავნიან

ახალი ამბების ბრიტანული ონლაინ პორტალი თავის მომხმარებლებს სთავაზობს, რომ 10 წლის მოსწავლეს, არონ ანდერსონს, რომელიც ბრიტანეთის ერთ-ერთ კუნძულზე ცხოვრობს, საშობაო მისალოცი ბარათები გაუგზავნონ.

რატომ მაინცდამაინც არონი? იმიტომ, რომ კუნძული, რომელზეც არონი ცხოვრობს, 65 ადამიანისგან არის დასახლებული. არონი თავისი სკოლის ერთადერთი მოსწავლეა. ყველა საგანს ერთი მასწავლებელი ასწავლის და მისი მეგობრები იხვი, ცხვარი და ძაღლი არიან.

„ძალიან მინდა, რომ არონის სახეზე ღიმილი დავინახო“, – ამბობს იდეის ავტორი.

იმისთვის, რომ ბიჭს გზავნილები მიეღო, წინასწარ დაუკავშირდნენ სკოლას, სადაც არონი სწავლობს, და მის მშობლებს. სიკეთის ქმნის მსურველებს კი აცნობეს, რომ 7 დეკემბრამდე არაფერი გაეგზავნათ, რათა ბიჭს ერთად მიეღო ყველა მილოცვა, თანაც შობის დადგომამდე.

„ვწუხვარ, რომ არონს მარტო უწევს სკოლაში სწავლა, მაგრამ ის ნამდვილად ბედნიერია. მას მოსწონს უფროსებთან ურთიერთობა. მოსწონს, როცა მიემგზავრება და სხვა ბავშვებთან უწევს შეხვედრა“, – აღნიშნა არონის დედამ.

ნეტა, ამ ბრიტანულმა გამოცემამ თუ იცის, რა მდგომარეობაა ქართულ სკოლებში? მაგალითად, სამტრედიის ერთ-ერთ სოფელში 800 კომლიდან 80-ია დარჩენილი და სკოლა სულაც გააუქმეს. სანამ ფუნქციონირებდა, მაშინაც ერთი მოსწავლე იყო. იგივე მდგომარეობაა სვანეთის ერთ-ერთ სოფელში, სადაც სულ რამდენიმე კაცი ცხოვრობს და აქედან ერთია სკოლის მოსწავლე. ჩვენს მარტოხელა მოსწავლეებს ვინ დაურიგებს მისალოცს ბარათებს? ან საერთოდ, მისალოცი ბარათებით თუ გვარდება პრობლემა?

***lenta.ru***



## გააკარით კედელზე და წაიკითხეთ, როცა ცუდ ხასიათზე იქნებით

თუ ხშირად გაქვთ ცუდი განწყობა, თუ ფიქრობთ, რომ არაფერი გამოგდით და გგონიათ, რომ არავის სჭირდებით, გთავაზობთ მოტივაციის ამამაღლებელ სტატიას. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ:

– დედამიწაზე მინიმუმ 2 ადამიანი მაინც არის, ვისთვისაც მთელ ცხოვრებას დათმობდით.

– სულ ცოტა, 13 ადამიანს უყვარხართ ისე, როგორც შეუძლია.

– ერთადერთი მიზეზი, რის გამოც შეიძლება ვინმეს არ უყვარდეთ, არის ის, რომ, უბრალოდ, სურს, თქვენ გგავდეთ.

– თქვენს ღიმილს შეუძლია, გააბედნიეროს ისინიც კი, ვისაც არ მოსწონხართ.

– არსებობს ის, ვინც ყოველღამე ძილის წინ თქვენზე ფიქრობს.

ვიღაცისთვის ყველაფერი ხართ.

– მაშინაც კი, როცა დიდ შეცდომას უშვებთ, ამით თქვენს ცხოვრებაში რაღაც იცვლება.

– დაიმახსოვრეთ! როცა ცხოვრება კიდევ ერთ შანსს გაძლევთ, ესე იგი ყველაფერი გამოგივათ.

– ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა იმისთვის, რომ დილით სინანულით გაიღვიძოთ.

– გიყვარდეთ ადამიანები, რომლებიც კარგად გექცევიან, დაივიწყეთ ისინი, რომლებიც ამას არ აკეთებენ და გჯეროდეთ, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს.

– თუ შანსი გამოგიჩნდათ – გამოიყენეთ! თუ ეს შანსი მთელ თქვენს ცხოვრებას ცვლის, დაე, ასეც მოხდეს.

– არავის უთქვამს, რომ ეს ადვილი იქნებოდა. მათ მხოლოდ გითხრეს, რომ ეს ამად ღირს.

***mainfun.ru***



– ტერორისტი, რომელმაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებით სავსე თვითმფრინავი გაიტაცა, იმუქრება, რომ, თუ მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, ყოველ საათში თითო ტყვეს გაათავისუფლებს...

*****

– საყვარელო, მე პირველი ქალი ვარ შენთვის?

– რა თქმა უნდა, ძვირფასო!

– აბა, თინიკო, ნინიკო, თაკო და მაკო?

– არა, ეგენი ქალიშვილები იყვნენ...

*****

– ძვირფასო ვლადიმერ ვლადიმერის ძევ! გისურვებთ უმტკიცეს ჯანმრთელობას! იმედი გვაქვს, ასეთი მტკიცე ჯანმრთელობა საშუალებას მოგცემთ, იცოცხლოთ არა მხოლოდ გამოძიებამდე და სასამართლომდე, არამედ პატიმრობის ვადის ამოწურვამდე!!!

*****

მოსკოვი. ამერიკის დაზვერვის თანამშრომელი და მისი რუსი აგენტი კონსპირაციულ ბინაში სხედან, ჩაის სვამენ.

რუსი:

– მისმინე, მაიკლ, ახლა მე შენ საიდუმლო ინფორმაცია მოგაწოდე და ესე იგი, ჯაშუში ვარ?

ამერიკელი:

– არა, ვასია, ჯაშუში მე ვარ. შენ მოღალატე ხარ, მოღალატე!!!

*****

– დაბადების დღეს გილოცავ!

– დიდი მადლობა, მაგრამ რომელი ხარ?

– რა მნიშვნელობა აქვს, შენ ის მითხარი, სად ვქეიფობთ და რომელ საათზე?

*****

ჩანაწერი ავტომოპასუხეზე:

– დიდი ალბათობით, სახლში ვარ, მაგრამ არ მსურს ველაპარაკო ერთ ჩემთვის ძალიან უსიამოვნო ადამიანს. დატოვეთ შეტყობინება და თუ არ გადმოგირეკეთ, ესე იგი ეს უსიამოვნო ადამიანი თქვენ ყოფილხართ.

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მუსიკალური ბალიში ძილის წინ იავნანას გიმღერებთ

პრინციპში, ბრიტანელების მიერ გამოგონილი ბალიში მხოლოდ იავნანას კი არა, ნებისმიერ სიმღერას შეგისრულებთ, რომელიც თქვენს გემოვნებაში ჯდება.

ამ უცნაური და ამასთანავე, ბევრისთვის სასურველი გამოგონების ავტორების განმარტებით, ბალიში ნამდვილი მელომანებისთვისაა განკუთვნილი, რომლებსაც ძილის წინ მუსიკის მოსმენა უყვართ, თუმცა ყურსასმენების მოუხერხებლობის გამო, ამას ყოველთვის ვერ აკეთებენ, თანაც ექიმებიც ხომ ყურსასმენების ხშირად გამოყენებას არ გვირჩევენ?

ბრიტანული „სოუნდ ასლიპის“ მუსიკალური ბალიშის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის სიმღერებს პორტატული აუდიოპლეერების დახმარებით ჩაგირთავთ, ხმას კი ქსოვილის შიგნით დამალული დინამიკებიდან გაიგებთ, თანაც, მხოლოდ თქვენ და არავის შეწუხება არ მოგიწევთ. უკეთესი კომფორტისთვის ბალიში პატრონის თავის ფორმასაც იმახსოვრებს.

„სოუნდ ასლიპის“ ნაწარმის შეძენა უკვე შესაძლებელი ყოფილა ინტერნეტ-მაღაზიების დახმარებით. მისი ფასი 30-დან 50 აშშ დოლარამდე მერყეობს.

*pronowosti.ru*

## ჩინური ნემსებით მკურნალობა უსაფრთხო სულაც არ არისო

შეიძლება ითქვას, ნემსებით მკურნალობის ჩინურ მეთოდს მთელი მსოფლიო იცნობს და ის გამოჯანმრთელებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდად მიიჩნევა, თუმცა აღმოჩნდა, რომ სეანსები არც ისე უსაფრთხო ყოფილა, როგორც ამას ბევრი ამტკიცებს.

რაც ყველაზე მთავარია, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას თავად ჩინელი სპეციალისტები ავრცელებენ, რაც დაჯერების საფუძველს უფრო მეტად იძლევა.

საქმე ისაა, რომ ნემსებით მკურნალობის სეანსები თურმე მნიშვნელოვნად ზრდის სხვადასხვა ინფექციის გაჩენის ალბათობას, რაც, დაგვეთანხმებით, ჯანმრთელობისთვის საკმაოდ დიდი უსიამოვნების მომტანია.

ჩინელი სპეციალისტების ინფორმაციით, გასული საუკუნის 70-იან წლებში აკუპუნქტურას (ნემსებით მკურნალობა) ბე ჰეპატიტის ეპიდემია ხუთჯერ გამოუწვევია, რაც მაშინ საგულდაგულოდ გასაიდუმლოვდა და მომხდარს ნათელი მხოლოდ დღესღა მოეფინა.

ასევე, ცნობილი ყოფილა შემთხვევები, როცა ნემსებით მკურნალობის სეანსებისგან ადამიანები ტუბერკულოზითა და სტაფილოკოკური ინფექციებით დაავადებულან.

საბედნიეროდ, აკუპუნქტურას შიდსის გავრცელება ჯერჯერობით არ მოჰყოლია, თუმცა რა მოხდება მომავალში, წინასწარ პროგნოზირება ძალიან რთულია.

*factroom.ru*

## შვილებს ეპიტაფიით: „სიგარეტმა მომკლა“, დაკრძალვა უანდერძა

აწგარდაცვლილი ბრიტანელის, ალბერტ ვიტამურის საფლავის ქვაზე ეპიტაფიის: „სიგარეტმა მომკლა“ ხილვა დღესაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ასეთი გაფრთხილებით, ალბერტ ვიტამურს მწეველებისთვის იმ საშიშროების წარმოჩენა სურდა, რომელიც ნამდვილად რეალურია და რომელსაც ყოველწლიურად ათასობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

როგორც ირკვევა, ბრიტანელი 65 წლის ასაკში ფილტვის კიბოს მსხვერპლი გახდა, სასიკვდილო სარეცელზე კი მან შვილებს უანდერძა, რომ საფლავის ქვაზე ზემომოყვანილი ეპიტაფია დაეტანათ.

ეჰ, არსებულ რეალობას თუ გავითვალისწინებთ, მწეველების დაფიქრებას, სამწუხაროდ, ვერც ეს ეპიტაფია შეძლებს...

*mainfun.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**4 დეკემბერი:** დიდი ალბათობით, დღეს ძალიან დიდი სიურპრიზი გელით. მეტის თქმა სისულელე იქნება. დაელოდეთ მომენტს და დატკბით მოულოდნელობით.

**ყური 22.04-21.05**

**4 დეკემბერი:** საკუთარი თავის შეცოდებაზე დროსა და ენერგიას ტყუილად ნუ დახარჯავთ. ძალიან ბევრი ადამიანი ინატრებდა თქვენს მდგომარეობაში ყოფნას.

**ტყუპები 22.05-21.06**

**4 დეკემბერი:** ინფორმაციის უშრეტი წყარო იქნებით და უნდა მოუფრთხილდეთ, რომ არ გაჟონოს. ამ ინფორმაციების კარგად გადამუშავება ცხოვრებას გაგიადვილებთ.

**ყლორტები 22.06-22.07**

**4 დეკემბერი:** არ დაგავიწყდეთ, რომ გუნდურ თამაშში მთავარი შეთანხმებული მოქმედებებია. შეეცადეთ, კოლეგებთან ურთიერთობაში მსგავს რამეს მიაღწიოთ.

**ლომი 23.07-22.08**

**4 დეკემბერი:** დღეს სამყარო შესაძლებლობების ფარგლებში ისეთი იქნება, როგორის ნახვასაც ისურვებდით. ეს სიტუაცია მაქსიმალურად გამოიყენეთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**4 დეკემბერი:** მზად იყავით იმისთვის, რომ ვიღაცის ემოციებმა შეიძლება წყობილებიდან გამოგიყვანოთ. ასეთ ვითარებაში სიმშვიდის შენარჩუნება რთული იქნება.

**ცხრა 23.09-22.10**

**4 დეკემბერი:** მოგეჩვენებათ, რომ თქვენს გარშემო ყველა მსუბუქად შეირყა. მათი ჭკუაზე მოყვანა არ გამოგივათ, ამიტომ შეეცადეთ, მათგან არ გამოირჩეთ.

**ორიანყალი 23.10-21.11**

**4 დეკემბერი:** საკუთარი ვალდებულებების შესრულების დაწყება ძალიან გაგიჭირდებათ. მუდმივად რაღაც შეგიშლით ხელს. ძალიანაც ნუ მოდუნდებით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**4 დეკემბერი:** თუ მოინდომებთ, დღეს დასვენებას და გართობას შეძლებთ. კარგად დაფიქრდით, დაუმთავრებელი საქმე თუ გაქვთ, არც მისი მომთავრება გაგიჭირდებათ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**4 დეკემბერი:** არანაირ საუბარს არ გაექცეთ, დღეს ისინი თქვენთვის სასარგებლო აღმოჩნდება. ერთ-ერთ საუბარში იმას მოისმენთ, რისი გაგების იმედიც კი არ გქონდათ.

**მერწყული 20.01-18.02**

**4 დეკემბერი:** დღეს ნებისმიერ წამოწყებაში იღბალი თქვენს მხარეს იქნება. დაუმთავრებელ საქმეებს თუ ბოლომდე მიიყვანთ, პრობლემებსაც მოიცილებთ.

**თევზები 19.02-20.03**

**4 დეკემბერი:** თუ დამოუკიდებლობის დიდი მოყვარული ხართ, საეჭვოა, ეს დღე მოგეწონოთ, მაგრამ, თუ გსურთ, თქვენი ცხოვრება ვინმეს დაუკავშიროთ, ფანტასტიკურ შედეგს ელოდეთ.

**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

**„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი**

**(15 საათიდან)**

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**

## უსინათლოების საშველად „თვალებიანი“ ფეხსაცმელები გამოიგონეს

სპეციალური ფეხსაცმელები უსინათლოებისთვის ჩინელმა მეცნიერებმა გამოიგონეს, რომლითაც უახლოეს მომავალში გაწვრთნილი ძაღლების სრულად ჩანაცვლებაა დაგეგმილი.

საქმე ეხება „თვალისჩინიან ფეხსაცმელებს“ ე.წ. „ელექტრონული სათვალეებით“, რომლის საიდუმლოც შემდეგში მდგომარეობს: მასში ჩამონტაჟებულია მინიატურული კომპიუტერი, რომელსაც ნივთების განლაგების განსაზღვრა ექოლოკატორის დახმარებით შეუძლია.

მისი მუშაობის პრინციპის თანახმად, როცა მინიკომპიუტერი საგნების მდებარეობას განსაზღვრავს, ულტრახმოვან ტალღებს ტვინში წამიერად გზავნის. მაგალითად, „თვალებიან“ ფეხსაცმელს შეუძლია 5-სანტიმეტრიანი ბორდიურისა და ასეთივე სიღრმის მქონე ორმოს „დანახვა“. როგორც კი უსინათლო ადამიანი რაიმე სახის დაბრკოლებას უახლოვდება, ფეხსაცმელი მაშინვე ვიბრირებას იწყებს და სანამ მას არ გადალახავს, მოქმედებას არ წყვეტს.

ზუსტად როდის უნდა დაიწყოს ასეთი საჭირო ფეხსაცმლის სერიული წარმოება, სამწუხაროდ, არ ზუსტდება, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ბაზარზე მის გამოჩენას ძალიან ბევრი ადამიანი მოელის.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

კოტე ბაზარში ქილაში ჩასმულ კოღოს ყიდის. ქილაზე წარწერაა: „მამაკაცების შემცვლელი – 20 ლარი“. კოტეს „ტავარით“ ერთი მომხიბვლელი ქალი დაინტერესდა:

– როგორ უნდა გამოვიყენო?

– მარტივად – სახლში რომ მიხვალთ, გაშიშვლდით, ქილას თავი მოხსენით და დაწექით... თუ რამე პრობლემა შეიქმნა, დამირეკეთ. აგერ, ჩემი ნომერიც...

საღამოს კოტეს ტელეფონი ურეკავს:

– მოვედი, გავშიშვლდი, გამოვუშვი, დავწექი, კოღო კი ჭერს მიაფრინდა და მორჩა...

– იწექით, არ გაინძრეთ, ახლავე გამოვდივარ!

შევარდა კოტე კლიენტთან და კოღოს მიაძახა:

– ოე, იდიოტო, მიყურე და დაიმახსოვრე – უკანასკნელად გაჩვენებ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია 211359457

კვირის ქრონიკა

**გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე**

**რედაქტორი:** თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე 599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჟაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

**577-444-442**

**მიხეილ სახვაძე**

221 21 80

(შიდა ნომერი 108)

*E-mail: reklama@alia.ge*

®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

9 772298 000000

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

**რედაქციის მისამართი:** აასდიმასლაძე, I კვარტალი მ0-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.22